


კავკასიის ეთნოლოგიური
კოებული



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი

კავკასიის
ეთნოლოგიური
კრებული

XV

თბილისი

2014

Papers of Caucasian Etnology XV

Кавказский этнологический сборник

XV

„ქავების ეთნოლოგიური კრებული“ ივანე
ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის
განყოფილების პერიოდული ორგანოა.
ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ კრებულის
XV გამოშვებას. მასში დაბეჭდილი ნაშრომები
ეხება კავკასიის ხალხთა ეთნიკური
კულტურის პრობლემებს.

რედაქტორი: როლანდ თოფჩიშვილი

**რეცენზენტები: თამაზ ფუტკარაძე
ნოდარ შოშიტაშვილი**

© ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი

რედაქტორისაგან

წინამდებარე „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული – XV“ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების პერიოდული ორგანოა. უდავოა, კავკასიის ეთნოლოგიის პრობლემებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, არა მხოლოდ ისტორიულ-ეთნოლოგიური და შემეცნებითი, არამედ თანამედროვე ურთიერთობების თვალსაზრისითაც. კავკასიაში ბოლო ორი ათეული წლის გამნავლობაში რთული პროცესები მიმდინარეობს. ამითაცაა გამოწვეული, რომ რუსეთში კავკასიის პრობლემებზე არაერთი ინსტიტუტი მუშაობს – ისინი ხელისუფლებას, უშიშროების თვალსაზრისით, მთელ რიგ რეკომენდაციებს აძლევენ. საქართველოში კავკასიური პრობლემების, ქართულ-კავკასიური ურთიერთობების კვლევა მხოლოდ მეცნიერთა მცირე ჯგუფის ნებისმიერობაზეა დამოკიდებული. წვენს ქვეყანაში ჯერჯერობით დასახელებული პრობლემისადმი (საერთოდ მეცნიერებისადმი) სახელმწიფოებრივი მიდგომა არ არსებობს, არ არის პრიორიტეტული მიმართულებანი ჩამოყალიბებული.

წინამდებარე კრებული ეხება კავკასიის ეთნოლოგიისა და ისტორიის სხვადასხვა საკითხს. ნათოა ჯალაბაძისა და ლაგვრენტი ჯანიაშვილის ნაშრომებში განხილულია ქართულ-ოსური ურთიერთობების პრობლემები. ამ თემის აქტუალურობაზე საუბარი, ვფიქრობთ, საჭირო არაა. ქართულ-ოსური ურთიერთობები, ოსური ეთნოლოგიის საკითხების შესწავლა არც საბჭოთა და და არც პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ მეცნიერებაში მაინცდამიანც აქტუალური არ იყო (მხედველობაში არა გვაქვს იშვიათი გამონაკლისები). ამ კუთხით წარმოდგენილი ნაშრომები გამოირჩევა.

ანალოგიური ვითარება გვქონდა ისტორიული აღმოსავლეთ კახეთის, ე. წ. საინგილოს მიმართ. ქართველი ეთნოლოგები საინგილოს შესწავლითაც არ იწუხებდნენ თავს. მართალი ვიქნებით თუ ვიტყვით: მათ

ამის საშუალებას საბჭოთა აზერბაიჯანის ხელისუფლება არ აძლევდა. საინგილოს ეთნოლოგიის სხვადასხვა საკითხებს ეძღვნება ეთნოლოგების სალომე ბახია-ოქრუშაშვილისა და ირმა კვაშილავას სტატიები.

სვანეთის მიმართ ქართველი ეთნოლოგები ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდნენ. მიუხედავად ამისა, ბევრი საკითხი ჯერ კიდევ შეუსწავლელია. მომავალში ეთნოლოგებმა კვლავ დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ დასაკლებ საქართველოს მთიანეთს. სწორედ საქართველოს ამ მნიშვნელოვანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის ეთნოლოგიის კონკრეტულ საკითხებს ეძღვნება როზება გუჯჯიანისა და კავკასიულის ნაშრომები.

ბოლო წლებში ქართველ მეცნიერებს თურქეთში იქაურ ქართულ მოსახლეობაში ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მასალების შეკრების შესაძლებლობა მიეცათ. შეიქმნა არაერთი საყურადღებო ნაშრომიც. იმედია ამ თვალსაზრისით მეცნიერული აქტიურობა მომავალშიც არ შენელდება. იმერხეველთა მეტყველებას ეძღვნება ლინგვისტ ინგა ღუგიძის ნაშრომი.

დღეს ქართული მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა უნდა იყოს დედაქალაქისა და მისი გარეუბნების შესწავლა, ვინაიდან უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ყველა მხარის მოსახლეობამ მოიყარა აქ თავი. ეს პროცესი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდის ბოლო წლებში დაიწყო. სწორედ თბილისისა და მისი შემოგარენის დემოგრაფიული საკითხების შესწავლას ეძღვნება მირიან ხოსტაშვილის სტატია.

თანამედროვე ქართული სოფლის ეთნოლოგიური შესწავლა ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა, რადგან ქვეყნის განვითარება უმეტესწილად სოფლის განვითარებაზეა დამოკიდებული. ამ პრობლემას ეძღვნება ციციონ პაპიაშვილის ნაშრომი; მან კონკრეტულად შეისწავლა ზემო იმერეთის სოფელ არგვეთის თანამედროვე დემოგრაფიული მდგომარეობა და მეურნეობის იქ გავრცელებული ფორმები.

საქართველოს ეთნიკური უმცირესობებიდან კრებულში ამჯერად ყურადღება დაეთმო იუზიდებსა და

ასირიელებს. დღემდე იეზიდების/ქურთების ეთნოგრაფიის საკითხებზე მხოლოდ ლამარა ფაშავა მუშაობდა. იეზიდების პრობლემით სხვა ავტორებიც დაინტერესდნენ – დომიტრი პირბარისა და რუსტამ რზგოიანის ნაშრომი იეზიდების ეთნიკური იდენტობის პრობლემას ეძღვნება. საქართველოში ასურელების სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემებს ეხება პაპუნა კაციტაძის სტატია.

ბოლო დროს ქართველთა მეზობლები არა მხოლოდ საქართველოს ისტორიას ამახინჯენენ, არამედ ქართული კულტურის ბევრ მიღწევაზეც აქვთ პრეტენზია. მათი სამიზნე ამჯერად ქართული კეებითი კულტურის ისეთი მიღწევა გახდა, როგორიცაა სულუგუნი. კარგა ხანია ოს და აფხაზ მკლევრებს სულუგუნზე პრეტენზია გაუჩნდათ. ისინი აღნიშნავენ, თითქოს ქართველებმა სულუგუნის კეთება მათგან ისწავლეს. ცოტა ხნის წინ კი სომხებმა ოფიციალურად იჩივლეს ევროკავშირში, რათა ამ ორგანიზაციას სულუგუნი, როგორც ქართული პროდუქტი არ დაერეგისტრირებინა. როლანდ თოფხიშვილის ნაშრომი სწორედ ამ პრობლემას ეძღვნება. ნაშრომში დადასტურებულია, რომ სულუგუნის კულტურა ქართველებს არავისგან არ უსწავლიათ და რომ ის მხოლოდ კოლხეთის დაბლობზეა შექმნილი. გარკვეული მიზეზების გამო ეს სტატია რუსულ ენაზე იბეჭდება.

კიორგი კულუნაშვილი ნაშრომი ილია ჭავჭავაძისა და თანამედროვეობის პრობლემას ეძღვნება. ავტორის მოსახრებით, დღევანდელი ქართული საზოგადოება XIX-XX საუკუნის მიჯნაზე არსებული პრობლემებისაგან შორს ვერ წავიდა, რომ ის მანკიერებანი და სისუსტეები, რაც მაშინ აფერხებდა ჩვენი საზოგადოების განვითარებას, ისევ გადაულახავია. განსხვავება კი მდგომარეობს იმაში, რომ მაშინ ამას აფერხებდა რუსეთის იმპერიული ხელისუფლება და რუსული შოვინიზმი, დღეს (უფრო ზუსტად 2012 წლის შემოდგომამდე) ამაში დამნაშავეა თავად ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტი.

2014 წლის დასაწყისში სოციალურ ქსელში გაჩნდა ჩამონათვალი ათი ტრადიციისა, რომლებზედაც

ქართველმა ხალხმა უარი უნდა თქვას. გაზეოთმა „პვირის პალიტრა“ აღნიშნულის შესახებ ინტერვიუ სთხოვა როლანდ თოფჩიშვილს. გაზეთის რედაქტორს, როგორც ჩანს, ჰკუაში არ დაუჯდა მისი დაბეჭდია. კრებულში ამ ინტერვიუს შედარებით ვრცელ ვარიანტს გთავაზობთ, რომლის სათაურიცაა „ტრადიციების შესახებ“.

კრებულში იბეჭდება როლანდ თოფჩიშვილის რეცენზია ეთნოლოგ ელდარ ნადირაძის სადოქტორო დისერტაციაზე, რომლის დაცვაც 1998 წელს შედგა.

„პავპასიის ეთნოლოგიის კრებულის“ წინა ნომრებში დაიბეჭდა ცნობილი ქართველი ეთნოლოგის რუსულან ხარაძის ხევსურეთში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები. ამჯერად რუსულან ხარაძის არქივიდან იბეჭდება სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურის პირველი ნაწილი.

სამეცნიერო სტატიები

როზეტა გუჯვაჯიანი

სარიტუალო პურების ისტორიიდან სვანეთში

სვანეთის ტრადიციული ყოფა საწესო-სარიტუალო პურების დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ცნობილია, სვანეთში ტრადიციულ ლოცვას (ლიმზირ//ლიმზირ) კომპლექსური სახე ჰქონდა და მას აუცილებლად ახლდა მატერიალური შესაწირავები (პური, ზედაშე, სანთელი, ზვარაკი), ლოცვის ტექსტები, საგალობლები//ფერხულები. ლოცვის დასრულების შემდეგ იმართებოდა საერთო ტრაპეზი. შესაწირავის სახეობები მისადაგებული იყო წლიურ საეკლესიო კალნდართან და სხვადასხვა დღესასწაულის ან წმინდანის ხენების დღესთან. ზვარაკთან, „ლემზირებთან“, ზედაშესთან და სანთლებთან ერთად, სარიტუალო პურების ნაირსახეობებიც შეიწირებოდა.

კორნელი გეგელიძის აზრით, „სვანეთში შემონახული ლოცვის რიტუალი პგავს „ქამის წირვას“, ქართულ სრულ ლიტურგიას“ (*კეკელიძე 1912: 336*). მსგავს დაკირვებას გამოთქვამს ვერა ბარდაველიძეც: სვანური ლოცვის//ლიმზირ-ის „ცნებას უდგება ქართული სიტყვა „წირვა“, ვინაიდან როგორც ეს უკანასკნელი, ისე სვანური – ლიმზირი აღნიშნავდა არა მარტო ლოცვას, არამედ ერთდროულად ლოცვასა და მსხვერპლის მიზანას“ (*ბარდაველიძე 1939: 78*). გვიანი შუასაუკუნეებისა და XIX საუკუნის სვანეთში, რომელიც ქვეყნის დეცენტრალიზაციის, ცაიშისა და ცაგერის ეპარქიების დაშლის შემდეგ, საპუთარი ძალებით ინარჩუნებდა ქართულ სამართალსა და სულიერი ცხოვრების წესს, სულიერი ცხოვრება ხალხური ელფერით იმოსებოდა. ქამისწირვის ესა თუ ის ელემენტი, აღმოფხვრას კი არ

ნებდებოდა, არამედ ხალხური საბურველით იფარებოდა და სვანეთის ტრადიციული კულტურის აუცილებელ ნაწილად ყალიბდებოდა. ამ პერიოდში ჩამოყალიბებული ტრადიციული ლოცვის არაერთი ელემენტი ცოცხალია ჩვენს დროშიც.

უმთავრესი პური, რომელიც ლოცვის განუყოფელი ატრიბუტია, ხალხური სეფისკვერია, სვანურად „ლეზირ“-ი, თუმცა ტერმინი „სეფისკვერიც“ შემონახულია სვანეთის ყოფაში. ვერა ბარდაველიძე „სეფისკუერ//სეფისკვერ“-ს სვანეთის ბევრ თემში ადასტურებს, მაგალითად, უშებულში, ბეზოში და სხვ. უშებულის მასალით, შობასა და ახალ წელს შუა, უშებულელები მართავდნენ მიცვალებულთა სულების მოსახსენიებელ ხარჯებს, ამ დროს აცხობდნენ დიდი ზომის აფუქბულ კვერებს – „სეფისკუერ“-ებს, თითოს ყოველი უშებულელისათვის, რომლებსაც იგი შინ მიჰქონდათ და დილით უზმოზე შექცეოდნენ (ბარდაველიძე 1939: 75). ბეზოში კი „სეფისკვერ“-ს აცხობდნენ კამატობის დღეობისათვის¹ (ბარდაველიძე 1939: 89). ახალი წლის დღეობისათვის ცხვებოდა ე. წ. „ფუქსნა ლემზირ“-ი, რომლის პარალელური სახელი „სეფისკუერ“-ია და ამით უზმოზე მამაკაცები ეზიარებოდნენ.

ტერმინი სეფისკვერი აუცილებლად მოიხსენიება ლოცვებისას, მაგალითად, ლოცვის ლახამულურ ვარიანტში მეტად საინტერესო კონტექსტია შემონახული, იქ სეფისკვერი არა მარტო იხსენიება, არამედ იგი გაძლიერებულია მისი „იერუსალიმური წარმომავლობითაც“: „ჩემი ლოცვა ოჯალების ზედაშის, ირსელანის სეფისკვერის გვარად მიიღე, მადლიანო“ (ბარდაველიძე 1939: 177).

სვანური კილოების უდიდესი სპეციალისტები ვარლამ თოფურია და მაქსიმე ქალდანი „ლეზირ“-ს

¹ kaÁSoba eZRvneboda beCos dasavleTiT, CubexeviS TemSi, maRaL mTaze aRmarTulkaÁSis (toponimia) mTavarangelozis eklesiis dReobas, romelic Zv. stiliT 31 dekembers aRiniSneboda.

განმარტავენ, როგორც „სეფისკერს, შესაწირ პურს“ (თოფურია, ქალდანი 2000).

სარიტუალო პურები (სეფისკერები//ლემზირები) განსაკუთრებული „წმიდად“ მოწეული, დაფქვილი და შენახული მარცვლეულისაგან ცხვებოდა. სარიტუალო ფქილი სპეციალურ კიდობანში ინახებოდა და ღვთისმშობლისადმი იყო შეწირული („ლამარიაშ ტაბლა“). ყოველ ოჯახს საცკეთესო ყანის ერთი მონაცემი (მდიდარ ოჯახებს კი – მთელი ყანები) სალოცავისათვის ჰქონდა მიძღვნილი და მასზე მოწეული მოსავალი მხოლოდ და მხოლოდ სარიტუალო დანიშნულებისათვის გამოიყენებოდა. ასეთ ყანაში მოყვანილი ხორბალი, ფეტვი, კანაფი, მოგვიანებით, სიმინდიც, როგორც უკვე ვთქვით, სპეციალურ კიდობანში ინახებოდა და მას ოჯახის უფროსი დიასახლისი, შუახნის ასაკს გადაცილებული საპატიო მანდილოსანი² განაგებდა.

სეფისკერი (ლემზირი), სვანეთში, დიოფიზიტური ტრადიციის თანახმად, მოიზილებოდა წყლით, ცომი აუცილებლად საფუვრით უნდა აფუებულიყო და ჰქონდა მარილი.

სარიტუალო პურები, ძირითადად, ორი დანიშნულებით გამოიყენებოდა – ღვთის შესაწირავად და მიცვალებულთა სულების მოსახსენიებლად. პურების ამ ორ სახეობას სვანურად „საღერმათ“ (საღმრთო) და „საქვნიშ“ (სულისათვის) ეწოდება. ნებისმიერი სარიტუალო პური აუცილებლად საფუვრით უნდა აფუებულიყო, მსგავსად, სეფისკერისა.

ლემზირები, როგორც უკვე ითქვა, სეფისკერის ხალხური ნაირსახეობებია. უმთავრესი ლემზირი მამა ღმერთისადმი შეიწირება, მას ტრადიციულ ყოფაში წინამდლი სეფისკერი – მუჟებ ლემზირ ჰქვია. წინამდლო სეფისკერის პარალელური სახელია „ფუსნა

² შუახნის ასაკს გადაცილებული ქართველი მანდილოსნის უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით იხ. ნ. მინდაქვ, ადამიანის სიცოცხლის ასაკობრივი ციკლების ფსიქო-ფიზიოლოგიური თავისებურებანი და ცხოვრების ტრადიციული წესი, ქ. ჩუბინი, 2, თბ., 2003.

სეფსგუერ“-ი. „ფუსნა ლემზირ“//„სეფისგუერ“-ი ფუძებრტყელი და ბურთულა კვერია, მრგვალია, მის ზედაპირზე ჯვარია ამოსახული. აღბეჭდილი ჯვარი ზოგ თქმში კვერის მთელ ზედაპირზეა გადაკლებული, ზოგან კი გამოვეანილია ოთხი თითოთ კვერის შუა ნაწილის ოდნავი შეზნექის საშუალებით³ (**ბარდაველიძე 1953: 77**). ცხვებოდა ჯვრის ფორმის ლემზირიც, რომელიც, ასევე მამა დმერთს ეძღვნებოდა (**ბარდაველიძე 1953: 77-80**).

სენეტის ტრადიციულ ყოვაში დასტურდება შესაწირავი პურების დიდი მრავალფეროვნება, ფორმისა და შიგთავსის, ასევე ფუნქციის მიხედვით.

ზოგიერთი სარიტუალო პური მხოლოდ ოჯახის წვერთათვის ან ლოცვის რიტუალის მონაწილეთათვის იყო განკუთვნილი. მათ სვანურად „უწონაშ“ (სხვისათვის უხილავი) ერქვა.

საწესო პურების ერთ სახეობას „პგანჭილ“//„ქუანჭილ“-ები, ან „ანჭი-ქუანჭი“ ეწოდება. ეს პურები ცხვებოდა და შეიწირებოდა ბარბალობას, შობას, „წმინდანების სახელით შემონახულ ღვთაებათა“ დღეობებში (ბარდაველიძე 1953; **Бардашвили 1957; მარგიანი 1973**).

XX საუკუნის 90-იან წლებში კვანჭილები, შეიწირებოდა მთელი ბრწყინვალე შვიდეულის მანძილზეც და მის შემდგომ კვირაში (მსგავსად არტოსის პურისა). კვანჭილებს აცხობდნენ გათვენებამდე და დილით, მზის ამოსვლამდე შეწირავდნენ. ლოცვის შემდგა კი ამავე კვერებით გაიხსნილებდნენ.

ვერა ბარდაველიძის დაკვირვებით, „კვენჭილების შეწირვისა და შეწირულით ზიარების რიტუალის წარმოება მაინცდამაინც სისხამ დილით, ბინდის გაყრისას მისი დამთავრება მზის ამოსვლამდე... ნათლად მოწმობენ იმას, რომ ეს რიტუალი და კვერი მთიების კულტის

³ „ფუსნა ლემზირ“-ის //„სეფისგ ერ“-ის გრაფიკული გამოსახულება მოცემულია ვერა ბარდაველიძის ნაშრომებში (**ბარდაველიძე 1953: 77**), ხოლო კვერის მულაჟი ინახება ეროვნული მუზეუმის ეთნოლოგიის განყოფილებაში.

ამსახველი უნდა ყოფილიყო“ (ბარდაველიძე 1953: 88). თუკი ამ რიტუალს ისტორიული განვითარების დინამიკაში განვიხილავთ და უურადღებას გავამახვილებთ იმ გარემოებაზე, რომ რიტუალის შემსრულებლის მენტალობა დრო-უმის შესაფერისად იცვლებოდა და ვითარდებოდა, შეიძლება დაფუშვათ, რომ არქაული მთიების კულტის ასეთი ცოცხალი სახით არსებობა XX ს-ის 30-იანი წლებისათვის, ნაკლებ სავარაუდოა. ვფიქრობ, ამ რიტუალის შემსრულებელთა მენტალობაში, კვერის შეწირვისა და შემდეგ ამავე კვერით უზმოზე გახსნილების წესის დამკვიდრება, სეფისკვერისა და არტოსის პურის გახალხურებული აღქმის შედეგია. მით უმეტეს, რომ წარმოქმნილი ასოციაციური მსგავსება უაღრესად ნათელი და გამჭვირვალეა: ცნობილია, რომ, საეკლესიო სწავლებით, სასურველია მორწმუნებს შინ მუდამ პქონდეს ნაკვეთი სეფისკვერი, რომელიც უამისწირვის შემდეგ ურიგდებათ მორწმუნებს როგორც ევლოგია⁴ (კურთხევა), ნაწილს იქვე მიიღებენ, თუ კი უზმოდ არიან, ნაწილი კი შინ მიაქვთ, მცირე ნაწილებად ჭრიან და ყოველ დილით საუზმემდე ნაკურთხ წყალთან ერთად მიიღებენ (სეკ 1994: 410).

ენათმეცნიერ გ. როგაგას დაკვირვებით სვანური „კვანჭ“-ი და ზანური „კვანჯ“-ი ქართული „კვარის“ კანონზომიერი შესატყვისობებია (როგაგა 1990: 79-80). ე. ჭკუასელის აზრით, მთელ საქართველოში იკვეთება კვერძირის მქონე პურთა საკრალური მნიშვნელობა. კვერ-/კვარ-/კვანჯ-/კუანჭ-ილ-/გუჭ-ალ- ძირების სემანტიკურ-ფონოლოგიური კავშირიც თვალსაჩინოა (ჭკუასელი 2014).

გვრაუდობ, რომ „კვანჭილ“//„კუანჭილ“-ები სეფისკვერის პაგანიზებული ნაირსახეობებია.

„კვანჭილ“//„კუანჭილ“-ების ფუნქციურ დატვირთვა მსგავსია არტოსის პურის მიღების ტრადიციისა. ცნობილია, რომ აღდგომიდან მთელი ბრწყინვალე

⁴ ევლოგია, დიდი სჯულისკანონის თანახმად „ნაკურთხი პურია“ (იხ. დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ვ. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975, გვ. 565).

შვიდეულის მანძილზე ეკლესიაში კანკელის წინ მდგარ მაგიდაზე წმინდა პური (არტოსი) დევს, იგი ამ დღეებში მადლით იმოსება. აღდგომის სწორზე არტოსს მცირე ნაწილებად ჭრიან და მორწმუნებს ურიგებენ. მორწმუნები, თავის მხრივ, ამ ნაჭრებს უფრო მცირე ნაწილებად ყოფენ და მთელი წლის განმავლობაში, ავადმყოფობის ან განსაცდელის უამს, უზმოზე მიიღებენ, ვითარც სულიერ წამალს (სეგ 1994: 410). ცნობილია, რომ სვანური ეთნოგრაფიული მასალითაც, ლოცვის (ლიმზირის) დროს ეკლესიაში მოტანილი, შეწირული კვერების ნაწილი (ლოცვის შემდეგ) მლოცველებს უკანვე მიაქვთ და შინ, უზმოზე იხმევენ.

განსაკუთრებით ბეგრი წვრილი ფორმის ლემზირი შეიწირებოდა მზგეფის დროს, რომელსაც სვანურად „იარუნენსგა“ (ორთაშუა) ეწოდება. მაგალითად, ცხეუმარის თემში, ისევე როგორც სხვა სოფლებში ბალსკემოო, „იარუნენსგა-ს განმავლობაში ყოველდღიურად მართავდნენ ლიმზურ-ებს. თითოეულ ოჯახში გამოაცხობდნენ ბლომად ლემზირს და სადილის წინ შესწირავდნენ მათ სვანეთისა და მეზობელი კუთხეების სალოცავებს. პირველად თავის სოფლის სალოცავებს მოიხსინებდნენ, შემდეგ მახლობელი სოფლებისას; როდესაც ბალს-ქეკმოო სალოცავების მოხსენებას მორჩებოდნენ, ბალს-ზემოურებზე გადავიდოდნენ, შემდეგ ქვემო-სვანეთის სალოცავებს ჩამოჰყებოდნენ და ბოლოს ლეჩეუმის, სამეგრელოსა და აფხაზეთის ეკლესიების ხეენებით დამთავრებდნენ. თავის სოფლის და მახლობელი სოფლების ხატებს სათითაოდ ჩამოთვლიდნენ და თვითეულ მათგანს სამ-სამ ცალ ლემზირ-ს შესწირავდნენ, ხოლო დანარჩენების მიმართ ან თვითეული სოფლის მთავარ სალოცავს ახსენებდნენ და ან ზოგადად მოიხსენებდნენ – ამა და ამ სოფლის სალოცავებს დიდებაო. შესაწირავი ლემზირები ყველა ლამარიაშ ტაბლაშ-ისაგან იყო გამომცხავრი და როგორც ეს ფქვილი, ისე ლემზირ-ები უწონაში იყო – მათ ისე გამოაცხობდნენ, შესწირვდნენ და შესჭამდნენ, რომ

ოჯახისათვის უცხო პირებს არ აჩვენებდნენ და არც აგემებდნენ“ (ბარდაგელიძე 1939: 62).

ბესარიონ ნიუარაძის ინფორმაციით, შესაწირავი კვერგის გარკვეულ სახეობას „კირქადოლ“-ი (გორგალი) ჰქვია. კირქადოლებს „ოჯახი თავის წევრთა შორის გაინაწილებს და ყოველ კვირა დილას... მიიღებს როგორც ეკლოგიას... სჭამენ ხელპირდაბანილნი...“ (ნიუარაძე 1973: 74-75). ზემოთადწერილი რიტუალი გრძელდება მთელი დიდმარხევის განმავლობაში (ნიუარაძე 1973: 74-75)..

სარიტუალო პურები სხვადასხვა მასალისაგან მზადდებოდა: უმეტესად ხორბლის ფქვილისაგან, მაგრამ, ზოგიერთ შეთხვევაში საწესო პურს გულსართიც ჰქონდა (მარხვისას – კანაფის მარცვლის ფქვილგარეული, დანაყილი ნიგვზის გულსართი... ხსნილში – ყველის გულსართი); ზოგიერთი დღეობის სარიტუალო პური ფეტვის ან სიმინდის ფქვილისგან ცხვებოდა.

იანობის დღეობისათვის, რომელიც 9 (22) დეკემბერს ადინიშნებოდა, სვანეთის ზოგიერთ თემში, ოჯახებში უქმობდნენ და ფეტვის ან სიმინდის კვერებს აცხობდენ, იან მადლიანის სახელზე ლოცულობდნენ. რიტუალი ვერა ბარდაველიძის აზრით, დღეობა „ან დეცეშ“-ს – იონა წინასწარმეტყველს ეძღვნება და მასში იკვეთება წინარექრისტიანული რიტუალი, რომელიც ფეტვის ღვთაებას უკავშირდება (ბარდაგელიძე 1951: 51-66). ნინო აბაკელიას აზრით კი, „იანობა“ მართალი ანასაღმი მიძღვნილი დღეობაა (აბაკელიძა 1991: 25-31). ამავე დღეებში, ლახამულის თემში სიმინდისა ან ფეტვის „ლემზირებით“, ხოლო ეცერში სიმინდისა და ყველისაგან დამზადებული „ჭიშდვრებით“ ლოცულობდნენ.

სვანეთში არსებობდა სარიტუალო პურების დაჭვრეთის//დაბეჭდვის ტრადიციაც. მორწმუნე მოსახლეობა გვიან დრომდე იუქნებდა სპეციალურ საბეჭდავებს, რომლებიც, ზოგადად, არსებობდა მთელ საქართველოში და მსოფლიოს მრავალ ეთნიკურ კულტურაშიც.

სარიტუალო პურის „დაბეჭდვის“ სვანეთში არსებული ტრადიციის შესახებ სამეცნიერო საზოგადოებას პირველ ინფორმაციას ცნობილი მოღვაწე,

თავადი თათარებან დადეშქელიანი აწვდის. თავადმა დადეშქელიანმა 1909 წელს ეცერის თემიდან ექვთიმე თაყაიშვილს თბილისში გამოუგზავნა ხის ნივთი კ. წ. „დასტაგი“ და სტატია „შენიშვნა შესახებ სიტყვისა „დასტაგისა“. თათარებან დადეშქელიანის სტატია გამოქვეყნდა მისი გარდაცვალების შემდეგ „ძელი საქართველოს“ II ტომში 1913 წელს. სტატიას ახლავს ამ ნივთის ფოტო და სარედაქციო მინაწერი: „აწ განსვენებულმა ცნობილმა მამულიშვილმა თავადმა თათარხან დადეშქელიანმან საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს გამოუგზავნა პატარა ხის ნივთი, მოგრძო და ოთხკუთხევდი, ორ გვერდზე ლამაზი ჩუქურთმა აქვს ბაწრის მსგავსი და ორ გვერდზე ჩაღრმავებულია, თავში ოთხი პატარა სვეტი უზის, ბოლო პრტყელი აქვს ჯვარედინის ხაზებით... თავადმა წერილით გვაცნობა, ამ ნივთს ქვემო სვანეთში⁵ დასტაგი ჰქვიაო და ქალები დღესაც ხმარობენ პურის დასაბეჭდავათო“ (**დადეშქელიანი 1913.** 139). თათარებან დადეშქელიანის სტატიაში გაანალიზებულია „ქართლის ცხოვრების“ ერთი ეპიზოდი (სარკინესთან გამართული ბრძოლა), ხოლო პურის საბეჭდავი მხოლოდ შენიშვნაში იხსენიება: „ჩემგან გამოგზავნილ დასტაგს ახლა ხმარობენ... დასავლეთ სვანეთის სოფლებში; სხვაგან მე არ მინახავს, და ხმარობენ მარტო ორ დღეს წელიწადში გამოცხობილი პურის დასაბეჭდავად, მსგავსად სეფისგვერისა“ (**დადეშქელიანი 1913.** 143). სამწუხაროდ, ავტორი არ აკონკრეტებს ამ ორ დღეს, მაგრამ გვთავაზობს ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო დაკვირვებას, რომ პურის საბეჭდავს სვანეთში იყენებდნენ სეფისგვერის „ბეჭდების“ წესის ანალოგით.

თათარებან დადეშქელიანის მიერ გამოგზავნილი ნივთის მსგავსი რამდენიმე ექსპონატი დაცულია მესტიის მუზეუმში, სადაც მათ „დაგი“-ს უწოდებენ. ტერმინი „დაგი“ იხსენიება ლიფანალის ციკლის დროსაც (სულთა მოხსენიების კვირეული სვანეთში, იწყება

⁵ იგულისხმება ზემო სვანეთის კ. წ. ბალხქვემო ნაწილი.

განცხადების//ნათლისდების წინა სადამოს და სხვადასხვა ხანგრძლივობისაა). ამ დღეებში ნახშირით სახეს იხატავდნენ, აკვნის ბავშვებს შუბლზე ჯვარს გამოსახავდნენ და ამ პროცესს „ლითგენი”//„დაგი” ერქვა (ბარდაგელიძე 1953. 250). ტერმინის ანალიზი ქვემოთ იქნება წარმოდგენილი.

პურის სვანურ საბეჭდავს აღწერს ნიკო მარიც. მან 1911 და 1913 წლებში იმოგზაურა სვანეთში, სადაც მეცნიერს თავად თათარყან დადეშქელიანის მმა თავადი ოთარი მასპინძლობდა, ვინაიდან თათარყანი უკვე გარდაცვლილი იყო⁶.

ნიკო მარი, სხვა საინტერესო ეთნოგრაფიულ მასალასთან ერთად, სარიტუალო პურების საბეჭდავის აღწერილობასაც გვთავაზობს: „პურებს ბეჭდავენ ხის ოთხეუთხა მტკაველის სიგრძის მქონე დაფით. ამ ინსტრუმენტს ამჟამად ეცერში ეძახიან „ლადგი“-ს, ძველად კი ზოგიერთი ეცერელის მონათხრობით, მას „დასტა“-ს⁷ უწოდებდნენ (Mapp 1913. 9).

პურის სვანურ ტვიფარს ვერა ბარდაველიძე „საჭვრეთ“-ს და „ბეჭდარ“-ს უწოდებს და ამ საკითხზე საუბრობს ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშების აღწერისა და გაანალიზების კონტექსტში: „ჩვენი ტაბულების (XVIII ტაბულის 5-6 ნახატი) ნახატებს რიტუალური კვერების საჭვრეთი (ბეჭდარ) ეწოდება. მაგრამ თვით გამოსახულებიანი წინწკლების რგოლები და მათ ცენტრში თითო წინწკალი, მთელ საჭვრეთს კი არ წარმოსახავს, არამედ საჭვრეთის იმ ნაწილს, რომლითაც რიტუალური კვერების დაჭრელება ხდებოდა“ (ბარდაგელიძე 1953. 51), რადგანაც „საჭვრეთი“ რამდენიმე ნაწილისაგან შეღგებოდა და ყოველ ნაწილს თავისი დანიშნულება ჰქონდა. 1957 წელს გამოცემულ რესულენოვან წიგნში კი ვერა ბარდაველიძე

⁶ თავად დადეშქელიანთა ამ შტოს რეზიდენცია ეცერის თემში, სოფელ ბარშში მდებარეობს, ანუ იმ სოფელში, საიდანაც იქნა გამოგზავნილი „დასტაგი“.

⁷ როგორც ამ ნაშრომიდან ჩანს, ნიკო მარი, არ იცნობს თათარყან დადეშქელიანის სტატიას.

უშუალოდ საბეჭდავს, ხის ტკიფარს ახსენებს: „სვანების ძელ ყოფაში შემონახულია ხის ტკიფარები (штампы), რომელიც განკუთვნილია სარიტუალო პურებისათვის, მათ შორის არის სპირალის გამოსახულებიანი ტკიფარიც“ (*Бардакелиძე 1957*: 143).

საბეჭდავებს კაცობრიობის ისტორია უძველესი დროიდან იცნობს (*ლორთქიფანიძე 1969*. 1). უძველესი საბეჭდავები ძირითადად თიხისაგანაა დამზადებული, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ხის საბეჭდავებიც არსებობდა და მათ ჩვენს დრომდე მასალის სიმყიფის გამო ვერ მოაღწიეს (*ლორთქიფანიძე 1969*. 13). წინაქრისტიანული ხანის საბეჭდავები აღმოჩენილია საქართველოშიც. აღრეული საბეჭდავები გამომწვარი თიხისაა, შემდეგ მათ რბილი ქვები ცვლის, თავის იჩენს ბრინჯაოს საბეჭდავებიც (*Бардакелиძе 1957*: 62).

აღრეული ხანის საბეჭდავები აღმოჩენილია სვანეთშიც სვანეთის კომპლექსური ექსპედიციის მიერ (*ჩართოლანი 1976*. 9).

აღრეული შუასაუკუნეებიდან, ცხადია, წინაქრისტიანული პურის საბეჭდავი ხმარებიდან გამოდის და მას სეფისკვერის ყალიბები ცვლის. სეფისკვერისა და ევლოგიის კვერის ტკიფარები ასახავს იმ ცნობილ პროცესს, როდესაც საქართველოს ეკლესიებში, ტრადიციულად არსებულ წმიდა იაკობის ანუ სირიულ-პალესტინურ ლიტურგიას, XI საუკუნის პირველი ნახევრიდან თანდათანობით ბიზანტიური ანუ ორანე ოქროპირის ლიტურგია ცვლის (*ჯობაძე 1980*; *ჯობაძე 1979*, *ჯობაძე 2001*; *ხაგთახი 1998*; *დამბაშიძე 1998*⁸).

⁸ ვახტანგ ჯობაძე რამდენიმე ნაშრომში სატბრობს სეფისკვერის ყალიბებზე და მათ ადარებს ანტიოქიის ქართული მონასტრების არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილ სეფისკვერისა და ევლოგიის კვერის ტკიფარებს (*ჯობაძე 1979*, *ჯობაძე 2001*). ამავე თემას ებმაურებიან სხვა ქართველი არქეოლოგებიც, მაგალითად, რუსთავში აღმოჩენილი VI-VIII საუკუნეების ეკლესიის საბეჭდავის ანალიზის დროს (*ხაგთახი 1998*). დადგენავანში ნაპოვნი, X-XI საუკუნეებით დათარიღდებული სეფისკვერის ქართულწარწერიანი საბეჭდავის შესახებ მსჯელობს გივი დამბაშიძე (*დამბაშიძე 1998*) და ა. შ.

გარდა ოფიციალური, საეკლესიო სეფისკვერისა და ეპლოგის პეტრი ტვიფარ-საბეჭდავებისა, ქართულ ყოფაში შემონახულია გვიანი შუა საუკუნეების, ასევე XIX ს-ისა და თვით XX ს-ის დასაწყისის სარიტუალო პურების ხალხური საბეჭდავებიც, რომლებიც ერთმანეთისაგან ფორმითა და ორნამენტით, ასევე მასალით განსხვავდება, მაგრამ ყველა მათგანის დანიშნულება რიტუალური პურების „დაჭვრეთა“//„დაბეჭდვა“.

სარიტუალო პურებთან დაკავშირებით (კვერები, სამეცნიერო, განატეხი, ქადა, გოგა...) მდიდარი ეთნოგრაფიული ლიტერატურა მოგვეპოვება. ეთნოგრაფთა ნაშრომებში აღწერილი და გაანალიზებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი საწესო პურები, მათი „დაჭრელების“, „დაჭვრეთის“, „დაბეჭდვის“, გამოქვერწვის ხალხური მეთოდები. შესწავლილია ამ რიტუალების ჩამოყალიბებელი რწმენა-წარმოდგენები და თანმხლები წესჩვეულებები⁹.

⁹ ვ. ბარდაველიძის ნაშრომების გარდა იხ. **მ. ხიდაშელი.** ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკელი ხელოფერი ადრეული რკინის ხანაში, თბ., 1982; **ალ. ოჩიაური.** ქართული ხალხური დღესასწაულები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1991; **გ. გარდატხაძე-ქიქმაძე.** ქართული ხალხური დღეობები (რაჭა-ლეჩხემი), თბ., 1995; **ჯ. რუხაძე.** ზოგიერთი აგრძელებული წესჩვეულება XIX ს-ის დასავლეთ საქართველოში, მსე, ტ. XIV, თბ., 1968; **ნ. მაჩაბელი.** მინდვრის სამეშაოებთან დაკავშირებული რიტუალური კვერები, მსე, ტ. XXI, თბ., 1981; **დ. გორგაძე.** დაქრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში, თბ., 1987; **ი. სურგულაძე.** ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ., 1993; **ნ. ბრეგაძე.** რიტუალური ნამცხვრების ისტორიისათვის, „ანალები“, №1, თბ., 1999; **ნ. მინდაძე, ნ. აბაკელია.** სამცხე-ჯავახეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში და **გოცირიძე.** კახეთის 1987 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში წიგნში „საველუ-ეთნოგრაფიული ძიებანი (1986-1987 წწ.), თბ., 1990; **ნ. ლამბაშიძე.** ახალწლის დღეობათა ციკლი აღმოსავლეთ საქართველოში (ერწო-თიანეთი), თბ., 2004; **ქ. ალაგერდაშვილი.** ზოგიერთი რიტუალური პურის სიმბოლიკა ახალწლის ციკლის დღესასწაულებში ქართული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით (სვანეთი), კრ. „ოჩხარი“, თბ., 2002; **გ. ნადირაძე.** ჯვრის ქრისტიანული ბუნებისათვის, ქ. რელიგია, №7-8-9, თბ., 1996 და ა. შ.

სავარაუდოა, რომ სვანეთის ტრადიციულ ყოფაში შემონახული „დასტაგი“//„დაგი“//„ლადგი“ ლიტურგიკული სეფისკვერის ბეჭდვის ანალოგითაა გაჩენილი და ამ ნივთის გამოყენება ტრადიციულ ყოფაში საეკლესიო სწავლების გახალხურების შედეგია¹⁰, მით უმეტეს, რომ ეს დაკვირვება გაკვრით უკვე გამოთქმული აქვს სვანეთის ყოფის შესახიშნავ მცოდნეს თათარები დადგეშეძლიანს (დადგეშეძლიანი 1913. 143).

რასაკვირველია, გაქრისტიანების შემდეგ არსებული სეფისკვერის საბეჭდავი ყალიბის სულიერი არსი და დანიშნულება მკვეთრად განსხვავდებოდა არქაული პერიოდის მსოფლადქმისაგან. ბუნებრივია, ახალი რელიგიური თვითშეგნების გაჩენის შედეგად, ადამიანთა ცნობიერებაში ხდება ყოველი თემის და სიმბოლოს გადაზრება ქრისტიანული მსოფლმხედველობის შესაბამისად და ამა თუ იმ მთავარ იდეას და საგანს ახალი მნიშვნელობა ენიჭება, თუნდაც იმავე იდეის და საგნის ფარგლებში.

უძველესი, არქაული ხანიდან მოყოლებული, ვიდრე XX საუკუნის 30-იან წლებამდე, საქართველომ ისტორიის სხვადასხვა ეტაპი განვლო, მათ შორის, ქრისტიანობის სანგრძლივი მონაკვთიც. ამიტომ, ვფიქრობ, სვანური სარიტუალო პურების საბეჭდავები ქრისტიანული მსახურების პაგანიზაციის ნიმუშებია. ამ მხრივ სვანეთის ყოფა მსგავსია საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში შემონახული ტრადიციებისა და ზოგადად, მსოფლიოს ქრისტიანული ქვეყნების ტრადიციებისა. სეფისკვერის ყალიბის ანალოგით გაჩენილი ხალხური პურის საბეჭდავი ტვიფარები ცნობილია მთელ ქრისტიანულ სამყაროში. ეს ყალიბები ვრცელ ქრონოლოგიურ მონაკვეთს მოიცავს. არის ადრეული ხანის ხალხური საბეჭდავებიც – V-VI საუკუნეებისა; საშუალო საუკუნეების ყალიბები და თანამედროვე ტვიფარებიც. მაგალითად, ტიბერიასის

¹⁰ რაჭულ სარიტუალო პურთან – „განატეხთან“ დაკავშირებით მსგავს დასკვნას გვთავაზობს 6. აბაკელია (აბაკელია 1999. 11).

გათხრების შედეგად აღმოჩენილ ყალიბებზე გამოსახულია... დიაგონალური ჯვრები, ხოლო კეფარ ბარამის ყალიბის ფრაგმენტზე (ზემო გალილეა) ჯვრის მხრებს შორის ჩანს მზის სხივების გამოსახულება, ეს ფრაგმენტიც ბიზანტიურ პერიოდს მიეკუთვნება (ეგ 1994: 591-594) და ა. შ.

საყურადღებოა ლიტურგიკული პურის ყალიბების უდიდესი სპეციალისტის გ. გალავარისის აზრი, რომ სეფისკერების ტფილებთან მიმართებაში ნაკლებმნიშვნელოვანია მათი ქრონოლოგიური დატვირთვა, ვინაიდან, ხშირად არქეოლოგიური გათხრებისას ყალიბი გამოყენების ადგილის ნაცვლად, მისგან საკმაოდ მოშორებით, სხვაგან არის ნაპოვნი. ამის მიზეზს მკვლევარი პურის ყალიბების გამომყენებელთა მენტალობაში ეძიებს, რომელთათვისაც ყალიბი წმინდა, საგვარეულო ნივთის აზრობრივ დატვირთვას ატარებდა, რადგანაც იგი ტრადიციულად საკრალურ ნივთად მიიჩნეოდა. ხანდახან კი, მოსახლეობა ორიგინალის იმიტაციას ქმნიდა და ორიგინალის ნაცვლად მას იყენებდა (ალაგარის 1970: 21).

თათარყან დადგეშქლიანის მასალით „დასტაგით“ პურს წელიწადის ორ დღეს ბეჭდავნენ (დადგეშქლიანი 1913: 143), ნიკო მარის ინფორმაციით კი სვანები საბეჭდავს ბეკრ დდესასწაულზე იყენებდნენ. იგი ამ „ნაბეჭდ“ პურებს ორ ნაწილად ყოფის: 1. სადღესასწაულო, საზეიმო, სალოცავად შესაწირ პურებად (სვანურად „სადერმათ“ – სადმრთო) და 2. მიცვალებულთა სულების მოსახსენიებლად, შესანდობად ნაკურთხ პურებად (სვანურად „საქვნიშ“ – სულისათვის). სადღესასწაულო პურებს აცხობენ ყველა დიდ საუფლო დდესასწაულზე, მიცვალებულთა მოსახსენიებლად განკუთვნილ პურებს კი – მარიამობას („ლიმრიე“), ნათლისდებას (განცხდაბ), ადდგომის II დღეს („ლიჯგრი“ – კურთხევა), სულომოფენობის წინა შაბათს, ახალი წლისა და ნათლისდების შუა პერიოდში (Mapp 1913: 8-9). ჩვენს მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალაც იდენტურია, თუმცა,

ცხადია, ეს მასალა უფრო მწირია, ვინაიდან მთხოვობდები თვითონ უკვე აღარ ასრულებენ პურების „დაბეჭდვის“ რიტუალს, ისინი ნანას ისესენებენ. მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს რიტუალური პურების „ლემზირების“ ცხობის ტრადიცია, ლემზირს უკეთებენ ოთხ ქიმს ან მასზე ამოკვეთენ ჯვარს ან „აჭრელებენ“. შემონახულია, აგრეთვე, ნაძერწი რიტუალური პურების ტრადიციაც.

ე. ი. შესაწირავის **სახეობა** განსაზღვრავდა „დაბეჭდვის“ წესს და ყოველმა მთხოვობელმა იცოდა „დასტაგი“//„დაგი“ //„ლადგი“-ს ამა თუ იმ ნაწილით ან ორნამენტით რომელი პური უნდა დაბეჭდილიყო. „საღმრთო“ პურებს ბეჭდავდნენ ორნამენტით (რომბების, ჯაჭვი, კვადრატებისაგან შემდგარი დიაგონალები, მზის, ბორჯლალის გამოსახულებები და ა. შ.), მიცვალებულთა მოსახსენიებლად განკუთვნილ პურებს კი, საბეჭდავის იმ ნაწილით ტვიფრავდნენ, რომელზეც მხოლოდ ჯვარი იყო გამოსახული, მსგავსად საეკლესიო მიცვალებულთა მოსახსენიებლი სეფისკვერებისა.

სვანური	პურის	საბეჭდავის
„დასტაგი“//„დაგი“//„ლადგი“-ს		ლიტურგიკული
პრაქტიკიდან მომდინარეობას ადასტურებს ტერმინოლოგიაც. როგორც უკვე ითქვა, შემონახულია, პურის საბეჭდავის რამდენიმე პარალელური სახელი: „დასტაგი“, „დაგი“, „ლადგი“. თათარყან დაღეშელიანის განმარტებით, „ენგურის ხეობის სვანეთის დასავლეთის სოფლებში ახლაც ხმარობენ სტაგიდან ¹¹ ქმნილ სიტყვებს: და-სტაგ=დასტაგი, ლა-სტაგ-ი=სა-სტაგ-ისი, ლი-სტაგ-ი=და-სტაგ-ვა, ნა-სტაგ-ვ=ნა-სტაგ-უვი და სხვა. სიტყვებიდან ჩანს, რომ სტაგი რამე საგნის სანიშნოს – კუთვნილებას შეადგენს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ყოველ საგანს თავისებური დასტაგი აქვს“ (დადეშელიანი 1913 , 142-143). ნიკო მარის აზრით, „დასტაგი ირანული წარმოშობის სიტყვაა, ხელის მტევნის მნიშვნელობით“ (Mapp 1913 , 9), სულხან-საბა თრბელიანი სტაგ-ს განმარტავს, როგორც „რუს სათავეს“ (თრბელიანი 1993 , 110). იმავე თათარყან		

¹¹ სტაგი შეხაძლოა ბერძნული წარმომავლობის ფუნქცია.

დადეშქლიანის ცნობით, „იმერეთის კუთხეებში, სადაც ჯერ არ არის დავიწყებული ძველი სახელწოდება, წისქვილის წელის... გადმოსაშობ ფიცარს, ანუ გათლილ ქვას უწოდებენ დასტაგს“ (დადეშქლიანი 1913: 143). ანდრო ლეკიაშვილის მასალით „დასტაგი“ ქართული ხალხური დვინის წნევების ქართლური ტერმინია (ლეკიაშვილი 1963: 123). და ა. შ. მიუხედავად მრავალფეროვანი დეფინიციებისა, შეიძლება დავასკვნათ, რომ „დასტაგი“//„დასტაკი“ აზრობრივად „ნიშნის დადებას“, „აბბეჭდვას“, „დაწნევას“ გულისხმობდა. რაც შეეხება, „დაგი“-ს და „ლადგი“-ს, აქ ასოციაცია ლიტურგიკულ პრაქტიკასთან მეტად ოვალსაჩინოა, ვინაიდან ძველქართულად შენაწირ, ეკლესიაში მიტანილ, მიძღვნილ პურს „დაგების პური“ ეწოდებოდა. იხ. ბიბლიის ლექსიკონი: „პური დასაგებელი (დაგების პური), „ტაბლა დასაგებელი პურისათვის“ (ბლ 2000: 24). ხოლო ხელოვნებათმცოდნე ხ. კაპანაძის ნაშრომის თანახმად, რომელშიც განხილულია სამკვეთლოს თავდაპირველი ფუნქციური დანიშნულება, „სამკვეთლოს შეიძლება სადაგებო ვუწოდოთ, რომელიც შენაწირავისათვის (დაგების პურის მისაღებად) გამოიყენებოდა“ (კაპანაძე 2002: 58-59) და როგორც ვხედავთ, იგი ამავე აზრობრივი დატვირთვით შემოგვენახა სვანურშიც.

ამრიგად, ერთი კონკრეტული ეთნოგრაფიული ნივთის („დასტაგი“ - „დაგი“ - „ლადგი“) გაანალიზების კონტექსტში, შევეცადეთ, წარმოგვეჩინა სვანეთის ტრადიციულ ყოფაში ბოლო დრომდე შემონახული რიტუალური პურების „დაბეჭდვის“ წესები, მასთან დაკავშირებული რწმენაწარმოდგენები და მენტალური მახასიათებლები, რომლებიც, სავარაუდოდ, ქრისტიანული სწავლების, ლიტურგიკული პრაქტიკის გახალხურებული ფორმებია, გამომდინარე ობიექტური ისტორიული გარემოებებიდან.

ჩვენი დროისათვის, ლემზირი, მირითადად, მომცრო ზომისაა, მისი ოთხივე მხარეს, ჯვრის სიმბოლიკის მიხედვით, არის მონიშნული ქიმით. ხშირად, მაგალითად, ბალსქვემოთ, ლემზირზე ჯვრის სიმბოლურ

გამოსახულებას ოთხივე მხარეს ჩანგლის ანაბეჭდით ტვიფრავდნენ, ან სამი თითის დადებით.

გარდა ლემზირებ-ისა, სარიტუალო პურების ნაირსახეობას ქმნიდა ყველისგულიანი, დიდი ზომის პურიც – „ლესკარ“. „ლესკარ“-ი ცხვება სსნილის დროს, მაგალითად „პარპულაშის“ (პეტრე-პავლობის) დღეობაზე. ეცერის თემში პეტრე-პავლობის დღესასწაულს „გემლარ“-ის სალასკარო ჯგუფი აღნიშნავს დიდი დღეობით (სოფლები: ჭელირი, ბარში, ქურაში), მორიგეობით ამ სამი სოფლის ეკლესიებთან. ზვარაკის შეწირვით, ზვარაკის გულ-დვიძლით, სეფისკვერებით, სანთლებით, ზედაშითა და ლესკარებით დოკულობენ. ლესკარი ყოველ ოჯახს ერთი ცალი გამოაქვს. ლესკარი დიდი ზომისა და მრგვალი ფორმის ხაჭაპურია. ის სკარის, ანუ სოფლის საკრებულოსათვის არის განკუთვნილი. ლოცვის დასრულების შემდეგ გამართულ ტრაპეზზე ლაგდება შესაწირავი. ზვარაკის მოხარულები ხორცის, ლემზირებისა და ლესკარის თითო ნაჭერი ყოველ შემწირველს, უბან, თავის ოჯახშიც მიაქვს და მეორე დილით ამ შესწირავით იხსნილება.

როგორც ვხედავთ, სვანეთის ტრადიციულმა ყოფამ შემოინახა ლიტურგიკულ სეფისკვერთან (ევლოგის კვერთან, არტოსის პურთან) დაკავშირებული ტერმინოლოგია და ყოფაში გადაიტანა მისი ხალცური ანალოგიები (ლემზირ, „სეფისკურ// სეფისკვერ, კუანჭილ// კვანჭილ...“), რომელთაც თავისი ადგილი დაიკავეს მოხახლეობის რელიგიურ ცხოვრებაში და რომლებიც საეკლესიო ღვთისმსახურების (ლიტურგიკის) კლასიკურ ფორმას მოკლებული მრევლის სანუგაშოდ ჩამოყალიბდნენ ლოცვის და ქამისწირვის ამგარი ინოვაციური სახით და ფორმით.

არათუ ძველად, არამედ ჩვენს დროშიც, ყოველი დიდი „ლიმზირი“-დან (ლოცვიდან, საეკლესიო დღეობიდან) მობრუნებულ მლოცველს, შინ მოაქვს შეწირული, „ნაკურთხი“ პურების – „სეფისკვერ“//„ლემზირ“-ების ნაწილი და მათ ოჯახის წევრებს ურიგებს. ხოლო განსაკუთრებული მასშტაბურობით

გამორჩეული დღეობებიდან, მაგალითად, „კვირიკობიდან“ უბან, თავის თემში დაბრუნებული მღლოცველი, „ლემზირ“-ს ძალიან პატარა ნაჭრებად ჭრის და მთელ სოფელს ჩამოურიგებს, როგორც დიდ სიწმინდეს.

ამრიგად, გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ სვანეთის ტრადიციულ ყოფაში არსებული და ჩვენი დროისთვისაც ცოცხალი სარიტუალო პურები, დანიშნულებისა და მნიშვნელობის მიხედვით, საეკლესიო სეფისკვერების, ეპლოგისა და არტოსის პურების პაგანიზებული ფორმებია. ამავე კონტექსტშია განხილული სარიტუალო პურების საბეჭდავი ყალიბების არსი და ფუნქცია. ვითქობ, რომ სვანური საწესო პურის საბეჭდავების ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებული გავლენა იქონია ევქარისტიული პურის საბეჭდავმა, სეფისკვერის ტვიფარყალიბმა და სეფისკვერთან დაკავშირებულმა საეკლესიო წეს-ჩვეულებებმა.

დამოწმებული ლიტერატურა

აბაკელია 1999 – აბაკელია ნ. ზოგიერთი ადრექტისტიანული ელემენტი ქართულ ტრადიციაში. ანალები, I, თბ., 1999.

აბაკელია 1991 – აბაკელია ნ. ქრისტიანულ წმინდანთა კულტები დასავლეთ საქართველოში, ანუ კიდევ ერთხელ „ან დეცეშ“-ს შესახებ. კრ., დიდგორი, თბ., 1991.

ბარდაველიძე 1939 – ბარდაველიძე გ. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტვ., 1939.

ბარდაველიძე 1951 – ბარდაველიძე გ. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. IV, „ან დეცეშ“, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, V, თბ., 1951.

ბარდაველიძე 1953 – ბარდაველიძე გ. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბ., 1953.

- ბს 2000 – ბიბლიის ლექსიკონი** (მასალები). ტ. II, 2000.
- დადეშქელიანი 1913 – დადეშქელიანი ო. შენიშვნა**
შესახებ სიტყვისა „დასტაგისა“. ძველი
საქართველო, ტ. II, ტფ., 1913.
- თოფურია, ქალდანი – თოფურია გ., ქალდანი გ. სვანური**
ლექსიკონი. თბ., 2000.
- კაპანაძე 2002 – კაპანაძე ნ. სამკვეთლოს თავდაპირველი**
ფუნქციური დანიშნულებისა და მრევლის
ასაკობრივი დიფერენციაციის თაობაზე. ქრ.
ხელოვნებათმცოდნეობა, №4, თბ., 2002.
- ლექიაშვილი 1963 – ლექიაშვილი ა. ქართული ხალხური**
ღვინის წნევები. მსე, XII-XIII, თბ., 1963.
- ლორთქიფანიძე 1969 – ლორთქიფანიძე გ. ძველი**
საქართველოს გლიპტიკური ძეგლების
კორპუსი. I, თბ., 1969.
- მარგიანი 1973 – მარგიანი ივ. ვინ იყვნენ „პაპები“ ანუ**
„ბაპები“? ქრ. ეთნოგრაფიული წერილები
სვანეთზე, თბ., 1973.
- ნიუარაძე 1973 – ნიუარაძე გ. სვანეთის ზოგიერთი**
ჩვეულებანი და ცრუმორწმუნეობანი. ქრ.
ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, თბ.,
1973.
- ორბელიანი 1993 - ორბელიანი სულხან საბა. ლექსიკონი**
ქართული. II, თბ., 1993.
- როგაგა 1990 – როგაგა გ. სვან. კვანჭ//კვანჭილ სიტყვის**
წარმომავლობის საკითხი. ეტიმოლოგიური
ძიებანი, თბ., 1990.
- სეგ 1994 – საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ.,**
საქართველოს საპატრიარქო, 1994.
- სურგულაძე 1993 – სურგულაძე ი. ქართული ხალხური**
ორნამენტის სიმბოლიკა. თბ., 1993.
- ლამბაშიძე 1998 – ლამბაშიძე გ. ევქარისტული პურის**
(სეფისკვერის) ქართულწარწერიანი საბეჭდავი
დადესტნიდან. კავკასიის არქეოლოგიური
კონფერენცია, I, თბ., 1998.
- ჩაართოლანი 1976 – ჩაართოლანი შ. მასალები სვანეთის**
არქეოლოგიისათვის. თბ., 1976.

- ჭეშახელი 2014** – ჭეშახელი გ. ქართული რელიგიური წეს-ჩვეულებები და სარიტუალო ლექსიკა (სვანეთისა და სამეგრელოს ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). სადოქტორო დისერტაციად წარდგენილი ხელნაწერი.
- ხავთასი 1998** – ხავთასი გ. სეფისკვერი-ევლოგიის საბეჭდავი რუსთავიდან. კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია. I, თბ., 1998.
- ხახუტაიშვილი 1964** – ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე I. თბ., 1964.
- ჯობაძე 1980** – ჯობაძე, გ. სეფისკვერის ქართული ტოფარი ანტიოქიიდან. მრავალთავი, VII, თბ., 1980.
- ჯობაძე 2001** – ჯობაძე გ. წმ. ბარლაამის მონასტერი გასიუსის მთაზე. მრავალთავი XIX, თბ., 2001.
- Бардавелидзе 1957** - **Бардавелидзе В. В.** Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство Грузинских племен. Тб., 1957.
- Кекелидзе 1912** - **Кекелидзе К. С.** Иерусалимский канонар. VIII в., Тиф., 1912.
- Mapp 1913** - **Mapp H. Я.** Из поездок в Сванию. Христианский Вопрос, т. II, вып. I, С. Пет., 1913.
- ჯობაძე 1979** - ჯობაძე გ. ედიევალ რეად შტამპ ფრომ ნტიოცჰ ანდ ეორგია, რიენს ჩრისტიანუს, ანდ 63, 1979, ჭიესბადენ.
- ეიგ 1994** - ეიგ . ყზანგინე რეად შტამპ ფრომ თიბერიას; იბერ ნნუეს ჩსტუდიუმ იბლიცუმ რანცისცანუმ, 44 (1994) 591-594.
- ალაგარის 1970** - ალაგარის . რეად ანდ ტჟე იტურგყ. ონდონ, 1970.

პაპუნა კაციტაბე

საქართველოს ასურელების სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები

„ასურელი“ ქართული და სომხური ტრადიციის მიხედვით ნიშნავს „სირიელს“ ანუ ქრისტიან არამეელს (წერეთელი 1976ა: 155). ასურელების თვითსახელწოდებაა „ათურაი“, „სურაი“, „ქალდაი“. ასურელები არიან სემიტური მოდგმის ხალხი, ითვლებიან არამეელების შთამომავლებად და ძირითადად ცხოვრობენ სირიაში, თურქეთში და ირანში (სე 1997: 240).

სირიელების, იგივე – ასურელების რაოდენობა საქართველოში 2002 წლის მონაცემებით შეადგენს 3 299 კაცს, რაც თითქმის ნახევარია 1989 წლის მაჩვენებლისა (6 206 კაცი 1989 წელს). სახეზეა მოსახლეობის კლების დინამიკა რაც შეადგენს 53,2%-ს. ასურელთა წილი საქართველოს მთელს მოსახლეობაში კი ისევე როგორც 1989 წელს 2002 წელსაც 1,1%-ია (საქართველოს... 2002: 110).

საქართველოში ასურელთა გამოჩენის შესახებ ინფორმაცია ქართლის ცხოვრებაშია დაცული. ლეონტი მროველი ქართლის მოსახლეობაში ასურელებსაც ასახელებს (ქც. 1955: 16). „ამის შემდეგ მათი კვალი ადარ შეინიშნება, თუ არ ჩავთვლით „სირიელ (იგივე „ასურელ“) მამათა“ სხვადასხვა რეგიონში დამკვიდრებას (*ძღებრიშვილი 1999*: 153). „ასურელმა მამებმა“ დიდი კულტურული როლი ითამაშეს საქართველოს ისტორიაში და მათ სახელს უკავშირდება საქართველოში სამონასტრო ცხოვრების დამკვიდრება (კეკელიძე 1956: 19).

არსებობს ვარაუდი, რომ XVIII საუკუნეში ერეკლე II-ის მეფობის პერიოდში ასურელები პირველად ჩამოსახლდნენ საქართველოში. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ასურელი ქათალიკოსის მარშმიტის და ეპისკოპოს ესაიას წერილები ერეკლე მეორისადმი

(წერეთელი 1976ა: 155). ოუმცა ქართული წყაროებითა და საარქივო მასალებით ეს ვარაუდი არ დასტურდება.

XIX საუკუნის I ნახევრიდან დაიწყო ასურელების მიგრაცია მშობლიური ადგილებიდან. დღეს ემიგრირებული ასურელები მთელ მსოფლიოში არიან გაფანტულნი. მათი ერთი ნაწილი საქართველოშიც დამკვიდრდა. 1827 წელს თურქეთიდან, ურმიის რაიონის ორი სოფლიდან (ორმედაჯი და თაქურდება) ლტოლვილი ასურელები ჯერ ერევნის გუბერნიაში, ხოლო შემდეგ თბილისში დასახლებულან (ძღებრიშვილი 1999: 153).

ასურელების ყველაზე მრავალრიცხოვანი დასახლებაა სოფელ ქანდაში, სადაც 1867 წლიდან სახლდებიან ასირიელები, როცა ეს სოფელი მუხრანბატონის საკუთრება იყო და ისინი 1900 წლამდე ხიზნებად ითვლებოდნენ, ხოლო 1900 წელს მდიდარმა ასირიელმა – უსტა ალავერდიმ შეიძინა ეს სოფელი და 1917 წლამდე ყველა გადასახადს ის იხდიდა (ხონდულაშვილი 2001: 43).

ასურელთა ჩამოსახლების ფაქტს საქართველოში ამის შემდეგაც, საბჭოთა პერიოდშიც პქონდა ადგილი. 1922 წლის ზაფხულში ბათუმის და ახალქალაქის მაზრებში თურქეთის ტერიტორიიდან შემოვიდნენ ხომეხი და ასირიელი ლტოლვილები (ხონდულაშვილი 2001: 43).

დღეს საქართველოში ასურელები ცხოვრობენ სოფელ ქანდაში (მცხეთის რაიონი), ვასილევგაში (გარდაბნის რაიონი), ასევე ცხოვრობენ ქალაქებში – თბილისში, ქუთაისში, სამტრედიასა და ზესტაფონში) (სე 1997: 240).

სოფლად მცხოვრები ასირიელების (მაგალითად, სოფელ ქანდაში) ძირითადი საქმიანობა სოფლის მეურნეობა, მიწათმოქმედება, მესაქონლეობა იყო, ხოლო თბილისში ისინი ძირითადად კუსტარული წარმოებით იყვნენ დაკავებულები, როგორიცაა კალათების დამზადება, ზოგიც ავეჯით ვაჭრობდა, 13-25 წლის ახალგაზრდები ვესსაცმელების მწმენდავები იყვნენ, ქალები წინდებს ქსოვდნენ, მათს ართავდნენ და ა. შ. (ხონდულაშვილი 2001: 44).

სოფლის მეურნეობის გარდა სოფლად მცხოვრები აისორები კარგად ფლობდნენ სახლის მშენებლობის საქმეს. ასურელებში იყვნენ კალატოზები, მლესავები, დურგლები. მათ შეეძლოთ სახლის კედლების მხატვრულად გაფორმება, რაშიც ხშირად „ვეფხისტყაოსანის“ ცნობილ ილუსტრაციებს იყენებდნენ (ძლებრიშვილი 1999: 154).

საქართველოში მცხოვრებ ასურელებში გავრცელებულია ახალი არამეული ენა, რომელზეც XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან იქმნებოდა სხვადასხვა ლიტერატურა. აქ გვხვდება ამ ენის აღმოსავლური დიალქტების მთელი ჯგუფი (ურმიული, საღამასური, ჯილუ, ვანური, ბოტანი) (წერველი 1976ა: 155).

აღსანიშნავია, რომ ვანის დიალექტი, რომელზეც მეტყველებენ ასურელების ნაწილი, რომელთა წინაპრები თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ვანის ვილაიეთიდან ჩამოსახლდნენ, ბოლო დრომდე არ იყო ცნობილი (ხონდულაშვილი 2001: 43).

საქართველოში მცხოვრები არამეელების (ასურელების) დიდი ნაწილისათვის სირიული დამწერლობა ცნობილი არ არის და მშობლიურ ტექსტებს (წერილებს, ლექსებს, ზღაპრებს) როგორც წესი ქართული ასოებით გადმოსცემენ, ანუ ქართულ ანბანს იყენებენ საკუთარ ენაზე წერისას (წერველი 1976ა: 155).

ასურელებს აქვთ საკუთარი ტრადიციები, გადმოცემები (ზღაპრები, არაკები, ანდაზები). მათ გააჩნიათ საკუთარი პროზაული და პოეზური ნაწარმოებები. საქართველოში ცხოვროდნენ ასირიელი პოეტები, რომლებიც მშობლიურ ენაზე წერდნენ. მათ შორის არიან ფრიდონ ათეურაია, დავით ილიანი და სხვ. თბილისში გამოდიოდა ასურული ჟურნალი და გაზეთი, რომელშიც, სხვასთან ერთად, იბეჭდებოდა ქართული ლიტერატურის თარგმანებიც. ამ მხრივ აღნსანიშნავია სირიულენოვანი ორკვირეული ჟურნალი „მადინხა“ (აღმოსავლეთი), რომელიც 1913-1914 წლებში იბეჭდებოდა და გაზეთი „ქორხვა დმადინხა“ (აღმოსავლეთის

ვარსკვლავი) რომელიც 1926-1938 წლებში გამოდიოდა თბილისში. ამ უპანასკნელში ქართულთან ერთად გამოყენებული იყო ლათინური ანბანის საფუძველზე საბჭოთა კავშირში შექმნილი დამწერლობა, რომელმაც ვერ პპოვა ფართო გავრცელება ასურელებში (**წერეთელი 1976: 155**).

ასირიელების ყოფითი ურთიერთობებში მძღვრობდა პატრიარქალური გადმონაშთები. ასირიელები იყოფოდნენ გვარებად და შესაბამისად ყოველ გვარს თავისი ხელმძღვანელი (მალიქი) ჰყავდა, რომელიც, თავის მხრივ, ითვლებოდა ტომის ყველა წევრის ხელისუფლად. ერთ-ერთი ასეთი მალიქი იმყოფებოდა თბილისში, მაგრამ მისი ავტორიტეტი შედარებით უმნიშვნელო იყო. ამ ფაქტის მიზეზად ა. სონღულაშვილს მოჰყავს ის გარემოება, რომ თბილისელი ასირიელები ხელისუფლების დახმარების იმედზე უფრო იყენებს, რაც, თავის მხრივ, მალიქის ავტორიტეტს და გავლენას აკნინებდა (**სონღულაშვილი 2001: 45**).

ამ შემთხვევაში სახეზეა პროცესი, სადაც ჩანს ეთნიკური იდენტობის ფაქტორის და სამოქალაქო იდენტობის ფაქტორის გადაკვეთის მომენტი, რომლის შედეგად სამოქალაქო იდენტობა (ამ შემთხვევაში სახელმწიფო ინსტიტუტების მეშვეობით) ძლიერდება ეთნიკურის დასუსტების თანადროულად, რასაც ურბანულ დასახლებებში უფრო აქვს ადგილი, ვიდრე სოფლად, რადგან ქალაქში, როგორც წესი, სოფელთან შედარებით უფრო ინტენსიურია ეთნიკური ურთიერთობები.

ასირიელები მონაწილეობდნენ მეზობელ ქართველთა ხალხურ და რელიგიურ დღესასწაულებში; ადგილი ჰქონდა შერულ ქორწინებებს ქართველებსა და აისორებს შორის, ასრულებდნენ ქრისტიანული რელიგიის მიხედვით დაწესებულ დღესასწაულებს და რიტუალებს (**მღებრიშვილი 1999: 154**).

ასურული დღესასწაულები ძირითადად ქრისტიანული დღესასწაულებია, როგორიცაა აღდგომა,

შობა, მარიამობა, არის მარეზი, ბანზაიას – წმინდა ზაიას დღესასწაული, მარორას დღესასწაული. სოფელ ქანდაში არის წმინდა მარეზის ეკლესია და წელიწადში ორჯერ იანვარში და ივლისში აღინიშნება ამ წმინდანის დღესასწაული. გარდაბანში არის პატარა ეკლესია წმინდა აბრამის სახელობის, სადაც აღდგომიდან ასი დღის შემდეგ აღინიშნება მარორას დღესასწაული. ეროვნული დღესასწაულებიდან ასურელები 7 აგვისტოს აღნიშნავენ ასურელი წამებულის დღეს, ხოლო პირველ აპრილს აღნიშნავენ ასურელთა ახალ წელს, რომელიც სათვისტომომ აღადგინა 20 წლის წინ. წელს ასურელებმა აღნიშნეს 6762 წელი (აღამოვი 2012).

1992 წელს საქართველოში დაფუძნდა საქართველოს ასურელთა საერთაშორისო კონგრესი, რომელიც ასურულ თემს წარმოადგენს.

ქვეყანაში ფუნქციონირებენ ასურელთა კულტურული ორგანიზაციები, ასურული ცეკვის ანსამბლები („ნინევია“, „დაიანა“), რუსულ და ქართულ ენაზე გამოისახურელთა გაზეთი „ავი-უთა“. 1995 წელს თბილისში დაარსდა ასურულ-ქალდეური კათოლიკური მისია, რომლის მიზანი ასურელებში სულიერი, ჰუმანიტარული და საგანმანათლებლო სფეროების განვითარებაა (ეთნოსები 2008: 181).

საქართველოში ასურელები ისევე, როგორც სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, ტრადიციულად მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან, მაგრამ სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხი, რაც გულისხმობს ეთნიკურ ჯგუფებში ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებას და ამავე დროს სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბებას, – განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე საქართველოსათვის. „მიუხედავად საზოგადოების მასობრივი პოლიტიზაციისა, ეროვნული იდენტობის პოლიტიკურ განზომილებას – სამოქალაქო ცნობიერებას – ძალიან მოკრძალებული ადგილი უკავია ჩვენს რეალობაში“ (აბაშიძე 2010: 55).

ეთნიკური იდენტობის განსაზღვრისას

ასურელებთან გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ერთ-ერთი მშობლის, განსაკუთრებით მამის ან წინაპრების წარმომავლობას. საქართველოში მცხოვრებ ასურელებში ხშირია შერეული ოჯახები. შესაბამისად, ეს მიღომა ხელს უწყობს თემის არსებობას. დასაშვებია ისეთი გამონაკლისები, როდესაც შერეული ოჯახის წარმომადგენელს, რომელსაც დედა ან ბებია ყავს ქართველი, ან სხვა რომელიმე ეროვნების და პიროვნება მაინც თავს თვლის ასურელად, მის ამგარ ინდივიდუალურ მიღომას მაინც იზიარებს ჯგუფი. ენას, რელიგიას ან კულტურას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან არსებობენ ადამიანები, რომლებიც არ ფლობენ ენას, მაგრამ თავს მიიჩნევენ ასურელებად (ადამოვი 2012).

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის მიზანია ქვეყანაში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებში სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბება. ინდივიდი არ უნდა იყოს მხოლოდ მექანიკურად მიკუთვნებული კონკრეტული პოლიტიკური ერთობისადმი, არამედ მას უნდა გააჩნდეს ორგანული კავშირის გრძნობა დანარჩენი თანამოქალაქეებისადმი, ტერიტორიისადმი, სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი და ატრიბუტებისადმი (სართანია 2005: 7).

„საქართველოში ასირიელების საუკუნოვანი თანაცხოვრობის შედეგად ბოლო წლებში მოხდა ინტეგრაცია ქართველებთან, რაც გამოიხატა მათ მიერ სალაპარაკო ქართული ენის დამკვიდრებაში და ასირიელების გვარსახელების ქართულ ყაიდაზე გაფორმებაში „ძე“ და „შვილის“ წარმოებით. დიდი როლი ითამაშა იმანაც, რომ ეს მოხდა დასავლეთ საქართველოს შედარებით უფრო ეროვნულ გარემოში, და, რაც მთავარია, იმანაც, რომ ასირიელები ქრისტიანები არიან (მართლმადიდებლები და კათოლიკები), მაგრამ ეროვნული თვითშეგნებით მაინც ასირიელებად დარჩენენ“ (აბესაძე 1999: 75).

საქართველოს ასურელების სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ

ენობრივი ინტეგრაციის კუთხით – 80% ინტეგრირებულია საზოგადოებაში, რადგან ფლობენ ქართულ ენას. ამ მხრივ პრობლემა არსებობს გარდაბნის რაიონში, სადაც მცხოვრები ასურელები სწავლობდნენ რუსულ სკოლაში. თბილისშიც არის ეს პრობლემა თუმცა ნაკლებად. ასურელთა იმ ნაწილმა, რომელიც არ იყო საქართველოს საზოგადოებაში ინტეგრირებული დატოვა ქვეყანა (ადამოვი 2012).

ქართულ საზოგადოებაში ასურელების
ინტეგრაციის ხარისხი დამოკიდებულია მათი
განსახლების ადგილზე და გარემოზე. ზესტაფონში
ცხოვრობენ ასურელები, რომელთაც ქართული
დაბოლოების გვარები აქვთ: იონანიძე, იჭვაიძე, იგავაიძე,
აზგანიშვილი, მაგრამ არის გამონაკლისი გვარიც –
ბიტკაში, რომელიც სხვაგან ქართველია არის
მოხსენიებული. ადსანიშნავია, რომ ქართული
დაბოლოების ასურელთა გვარები ძირითადად დასავლეთ
საქართველოში, ზესტაფონსა და სამტრედიაში არის
დაფიქსირებული, რაც მიუთითებს იმაზე, რომ დასავლეთ
საქართველოში ასურელთა ინტეგრაციის ხარისხი
შედარებით მაღალია ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში
(აბესაძე 1999: 73).

სახელმწიფო ენასთან დაკავშირებული უმნიშვნელო სირთულეების გამო ამ ჯგუფის წევრებს, არ აქვთ სპეციფიური სოციალ-ეკონომიკური პრობლემები და ცხოვრობენ იმავე პირობებში, როგორც საქართველოს სხვა მოქალაქეები. დღევანდელი ასურელების ძირითადი პრობლემა არის ეროვნული თვითმყოფადობის შენაჩუნება. ხშირია, შერეული ოჯახები, მიმდინარეობს ასიმილაციის პროცესი, შესაბამისად, პრობლემას წარმოადგენს ენის და კულტურის შენარჩუნება (ადამოვი 2012).

სოფელ ქანდაში მოსახლეობის უმეტესობას ასურელები შეადგენენ, მაგრამ მშობლიური ენის შენარჩუნების საკითხი ძალზედ აქტუალურია. აქაური ასურელების ნაწილმა იცის ასურული ენა, მაგრამ მისი

ცოდნის ხარისხი არადამაკმაყოფილებელია (ათანეზოვი 2013).

აღნიშნულის შედეგად იქმნება საფრთხე, რომ ასურელები მშობლიურ ენას თანდათანობით დაივიწებენ.

ტერმინი „ქართველი-ასურელი“ რესპონსის განცხადებით არ არის მისაღები, ვინაიდან სიტყვა „ქართველი“ არ აღიქმება მათთვის, როგორც სამოქალაქო ტერმინი და მის ნაცვლად „საქართველოს ასურელები“ გამოიყენება (ადამოვი 2012).

რაც შეეხება დამოკიდებულებას ქართული სახელმწიფოს მიმართ, – ქვეყანაში მცხოვრები ასურელები საქართველოს მიიჩნევენ საგუთარ სამშობლოდ. მათთვის მისაღებია სახელმწიფო სიმბოლიკაც. საზღვარგარეთ წასვლის შემთხვევაში მაინც ხშირად ჩამოდიან აქ და უცხო ქვეყნებში ითვლებიან როგორც ქართველი-ასურელები. ისინი გარკვეული ნიშნებით განსხვავდებიან სხვა ასურელებისაგან თუმცა ეს ნიშნები მეორე-მესამე თაობაში უპვე იკარგება.

საქართველოში მცხოვრები ასურელები ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების აუცილებელ პირობად თვლიან სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურობას. მათი აზრით სოფელ ქანდაში, სადაც მოსახლეობის 80% ასურელია აუცილებელია სკოლაში მაინც ისწავლებოდეს ასურელი ენა, რაც სახელმწიფოს ნებაზეა დამოკიდებული (ადამოვი 2012).

2005 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება. საქართველომ აიღო ვალდებულება დაიცვას ეთნიკური უმცირესობების უფლებები ან იმ ადამიანების უფლებები, ვინც თავს მიაკუთვნებს რომელიმე ეთნიკურ უმცირესობას,

კონცეფციის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს „ეროვნული უმცირესობების, კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის შესახებ საზოგადოების ცოდნის

გადრმავება და ქვეყნის პულტურულ ღირებულებებიდ
მათი წარმოჩენა“, მაგრამ ამ მიზნით გაიმართა რიგი
ღონისძიებები მხოლოდ ეთნიკური უმცირესობებით
კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში
(რეინტეგრაციის... 2010: 43).

ეთნიკური უმცირესობების დისკრიმინაციისაგან
დასაცავად, აუცილებელია უმცირესობების
ინფორმირებულობა მათ უფლებებსა და თავისუფლებათა
შესახებ, რისთვისაც გამოიცა შესაბამისი კრებულები
სახელწოდებით „ეროვნული უმცირესობების უფლებათა
მარეგლამენტირებელი ნორმები საერთაშორისო სამარ-
თალში და საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში“
და „საქართველოს კანონმდებლობა ეროვნულ
უმცირესობათა შესახებ ქართულ, აზერბაიჯანულ,
სომხურ და რუსულ ენებზე“ (რეინტეგრაციის... 2010: 7).

საქართველოში მყოფი ასურელთა თემი სრულად
მაინც არ არის ინტეგრირებული სამოქალაქო
საზოგადოებაში. რადგან ინტეგრაციაში არ შეიძლება
მოიახრებოდეს მხოლოდ სოციალ-ეკონომიკური ან
ენობრივი ინტეგრაცია, საჭიროა სამართლებრივი
ინტეგრაცია (ადამოვი 2012). ეს ვაქტორი დაეხმარება
საქართველოს ასურელებს შეინარჩუნონ საკუთარი
იდენტობა, როგორც ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის
წარმომადგენლებმა

დამოწმებული ლიტერატურა:

**ათანეზოვი 2013 – ათანეზოვი გრ., სოფ. ქანდას
მცხოვრები, 81 წლის, ინტერვიუ ჩაწერილია
2013 წლის მაისში.**

**აბაშიძე 2010 – აბაშიძე თ. ერი-სახელმწიფოს
მშენებლობის საკითხი პოსტსაბჭოთა
საქართველოში (1990-2003 წ.წ.),
უმცირესობების საკითხი საქართველოში. სსიპ.
პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბ., 2010**

**ადამოვი 2012 – ადამოვი დ. საქართველოს ასირიელთა
ეროვნული კონგრესის ხელმძღვანელი.**

ინტერვიუ ჩაწერილია 2012 წლის აგვისტოში.
მდგბრიშვილი 1999 – მდგბრიშვილი ლ. ეთნოსტორიული
და ეთნოსოცილაური პროცესები შიდა
ქართლში, „კლიო“ №6. 1999, გვ. 153-154

**რეინტეგრაციის... 2010 – რეინტეგრაციის საკითხებში სა-
ქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია.
შემწყნარებლობისა და სამოქალაქო
ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და
სამოქმედო გეგმის შესრულების 2010 წლის
ანგარიში.**

ჰერც//წწლ.სმრ.გოვგე/დოცე/დოც51.პდფ

სართანია 2005 – სართანია ლ. სამოქალაქო
თვითშეგნების ფორმირების სააღმზრდელო-
საგანმანათლებლო ამოცანები. ს.-ს.
ორბელიანის სახელობის თბილისის
სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი.
ისტორიის კვლევისა და სწავლების
მეთოდიკათა ლაბორატორია. თბ., 2005.

საქართველოს... 2002 – საქართველოს მოსახლეობის 2002
წლის პირველი ეროვნული საყოველთაო
აღწერის შედეგები. ტ. I, საქართველოს
სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი [ონ-
ლაინ წიგნი] თბ., 2003.

ჰერც//წწლ.გოვგე/ცმს/სიტა—იმაგეს/—ფილე/გორგიან
/ცენსუს/2002/I%20ტომი%20-

%20საქართველოს%20მოსახლეობის%202002%20
წლის%20პირველი%20ეროვნული%20საყოველო
აო%20აღწერის%20შედეგები.პდფ

სე 1997 – საქართველო, ენციკლოპედია. ტ. 1, თბ. 1997.
გვ. 240

სონდულაშვილი 2001 – სონდულაშვილი ა. აისორები
საქართველოში 1921-1941 წლებში, “ანალები”.
2001, №2.

**წერეთელი 1976ა – წერეთელი პ. არამეული ენა
საქართველოში, მნათობი, 1976, №6, გვ. 150-
157.**

იორდა კვაშილავა

სასჯელის ცალკეული სახეები საინგილოში (ფიცი და წყველი)

ძველი ქართული ისტორიული პროვინციის – ჰერეთის ის ნაწილი, რომელსაც ამჟამად საინგილო ეწოდება, საქართველოსგან ხანგრძლივი მოწყვეტის გამო, სხვა კუთხეებთან შედარებით მეცნიერულად ნაკლებადაა შესწავლილი, ვინაიდან ამ რეგიონში ინტენსიური მუშაობა შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, ერის საუკეთესო ტრადიციების მქონე საინგილოს მოსახლეობა, მიმდევად მიუხედავად მთლიანად ინარჩუნებს ქვეყნის კულტურისადმი ერთგულებას. ისინი დღემდე დიდი სიმტკიცით და ბრძოლით იცავენ თავიანთ ეროვნულ ზნე-ჩვეულებებს, ქართულ ხასიათს და სარწმუნოებას.

ფიცი, როგორც სასამართლო მტკიცებულება თითქმის ყველა ხალხის სამართლწარმოებისთვისაა ცნობილი. საქართველოში მას ვხვდებით ქართული სამართლის არაერთ ძეგლში. უფრო მეტიც, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი მას პირველხარისხოვან მტკიცებულებად აღიარებს, ვინაიდან ფეოდალურ საქართველოში ფიცის გამოყენება სხვა მტკიცებულებებთან შედარებით, უფრო ინტენსიური იყო (*მეტრეგელი 2009*, 422).

ფიცი, როგორც მტკიცებულება სათავეს ბიბლიიდან იღებს. კერძოდ, აბრაამს ღმერთმა რამოდენიმე აღთქმა დაუდო; თავისთავად ღვთის აღთქმა მტკიცე და დაურღვეველი იყო, მაგრამ მეტი დამაჯერებლობისთვის ფიცით განმტკიცდა. სამოციქულო ამის შესახებ იუწყება, რომ „რამეთუ“ ბრაჟამს აღუთქუა ღმერთმან, ვინაიდან არავინ იყო უფროისი, რომელსამცა ფუცა, ფუცა თავისა თბისია. და თქუა, ვითარმედ: კურთხევით გაკურთხო შენ და განმრავლებით განგამრავლო შენ. და ესრეთ სულგრძელ იქმნა და მიემთხვა აღთქმასა. რამეთუ

ქაცთა უფროისისა მიმართ ფუციან, და ყოვლისა ცილობისა მათისა დასასრულსა დასამტკიცებლად ფიცი არს (ახალი აღთქმული 2005: 420). დაფიცება ბიბლიაში არაერთგზის გვხვდება. ახალი აღთქმის მიხედვით, პეროდე მეფემ ფიცით აღუთქუა პეროდიადს ასულს მას მიცემად რაც ითხოვოს. ასული დედამისთან წინასწარ იყო შეპირებული, წინასწარმეტყველისა და წინამორბედის ითანა ნათლისმცემლის თავი მოეთხოვა. „და შე-დათუ-წუხნა მეფე იგი, არამედ ფიცისა მისოვის და მის თანა მეინაგეთა ბრძანა მიცემად იგი მას“ (ახალი აღთქმული 2005: 28). რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, პეროდე მეფემ ფიცის გატეხვას „ცოდვის მოკიდება“ ამჯობინა. ამიტომ შეგვახსენებს სიბრძნე ზირაქისა, რომ „ფიცით ნუ დააჩვევ პირსა შენსა“ (აბულაძე 1973: 128), ვინაიდან მან შეიძლება ცოდვის მონა გაგეხადოს. ურიგო არ იქნება წმინდა მამათა დარიგებაც გავითვალისწინოთ „არასოდეს დაიფიცო არც იმაზე რაც საეჭვოა და არც იმაზე რაც უეჭველია“. იუდა ქრისტეს გამცემმა, თავისი ბოროტი ზრახვის დასტურად, დაიფიცა კიდევაც. როცა ბჭობდნენ მდგდელმთავარნი, რა მიზეზი ეპოვნათ, რომ მოეკლათ მაცხოვარი, აჲა, გამოჩნდა იუდა, ერთი თორმეტთაგანი, მივიდა და გააჩუმა ყველანი... რის მიცემას ინებებთ ჩემთვის, თუკი მას მოგცემო? გაუკირდათ და არ ირწმუნეს მისი, რომ სიმართლეს ამბობდა. როცა ფიცით დაამოწმა, თუ მისცემდნენ ოცდაათ ვერცხლს, მოძღვარს მათ ხელში ჩააგდებდა, უფრო მეტად გაკვირდნენ (წმინდა მამათა 2002: 42).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ფიცის ორგვარი მნიშვნელობა გვხვდება. 1) ფიცი – აღთქმა, სიტყვის მიცემა, ჩვეულებრივ რაიმე წმინდათაწმინდის მოხსენიებით. გადატანით დარწმუნება, დაჯერება ვისიმე რაიმე ფაქტის სისწორეში, სინამდვილეში; მტკიცება, დასაბუთება-ფიცილი. 2) ოფიციალურად ერთგულების აღთქმა, წესისა და კანონების მიხედვით, მოქცევის პირობა (ქართული 1962: 127).

ცრუ ფიცის მიცემა ან ფიცის გატეხვა, ხალხის რწმენით ღვთის საშინელ რისხვას იწვევდა. ფიცის

დაცვა, დაურღვევლობა წმინდა საქმედ ითვლებოდა. „სამშობლო მიწის მცველებმა/ვერ მოახერხეს გაქცევა/ისევ სიკვდილი ირჩიეს/ვიდრედა ფიცის დარღვევა“.

საქართველოში, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში ხატზე დაფიცება ყველაზე უფრო ძლიერი ფიცია. წერილში „ფშაველები“ ვაჟა ფშაველა ჩამოთვლის თუ რას ფიცულობდნენ: „ემ ცეცხლის სინათლის მადმა“, „ე დედამიწის მადმა“, „მოღალულის მზის მადმა“. აგრეთვე ფიცულობდნენ „ხარის ქედს“, „პურის ნაწილს“, შესანიშნავი მეფეების სახელებს, უფრო „თამარ მეფეს“, „ლაშარის ჯვარს“. მწყემსი მეცხვარე „სავსე (ცხვრით) მინდორს“, „ცხვრის სამღოოს“. გასათხოვარი ქალი, თუ მმები ჰყავს უფროს მმას, თუ უძმოა – „აგრემც მიშველის ღმერთი“, „აგრემც მიშველის კვირა მადლიანი“. გათხოვილი ქალი შვილებს, ხოლო უშვილო მმებს (დაკითაშვილი 1990:42).

ფიცის ფორმულები, ისევე როგორც დალოცვის, წყევლის და მსგავსი სემანტიკის შემცველი გამოთქმები, მყარ კონსტრუქციებს ქმნიან. „ისინი შედარებით ნაკლებად ემორჩილება გარეგავლენებს და ინარჩუნებს თავისთავადობას“ (ე. დადიანი, მ. მიქაელაძე, 2009: 321).

ამ მხრივ საინტერესოა ფიცის ფორმულები ინგილოურ დიალექტში როგორი ლოკალური თავისებურებებით გამოირჩება, თავსმოხვეული უცხო რელიგიის პირობებში რამდენად არის შენარჩუნებული ქართული რეალობისთვის დამახსასიათებელი კონსტრუქციები. აღნიშნული საკითხი დღემდე არავის გაუხდია კვლევის საგნად და სამეცნიერო ლიტერატურაში მონაცემები თითქმის არ გვხვდება. ამიტომაც ძირითადად ვეურდნობით საქართველოში მცხოვრებ ინგილოებთან მოპოვებულ საველე ეთნოგრაფიულ მასალას და 6. როსტიაშივლის ინგილოურ ლექსიკონს, აგრეთვე პერიოდული პრესის მასალებს.

საერთოდ, წმინდა სახარებაზე დაფიცება, ისევე როგორც ხატზე, საინგილოშიც გაგრცელებული ყოფილა. ძველად, მცრის ხშირი შემოსევების დროს

განსაკუთრებით შაპ-აბასის თავდასხმების ხანაში), ეკლესიებიდან საეკლესიო განძეულობის გახიზვის ტრადიციამ, მოსახლეობაში - ცალკეულ ოჯახებში, არალეგალური ქრისტიანული სამლოცველოებისა და წმინდა ადგილების მოწყობამ, საინგილოს ქართული მოსახლეობის ნაწილი იხსნა ეროვნული გადაგვარებისაგან. ერთ-ერთ ასეთ საოჯახო სამლოცველოს წარმოადგენს „ხუციანთ ოთხთავი“. ხუციშვილების ოჯახში თაობიდან თაობას რელიგიად გადაეცემოდა წმინდა ოთხთავი, რომელსაც ხალხში „ხუციანთ ოთხთავს“ უწოდებდნენ. „ეს ოთხთავი საეკლესიო ნივთებთან ერთად კიდობანში იყო ჩასვენებული, რომელიც ამ სიწმინდისათვის აგებულ მომცრო შენობაში იდგა. სახლი და კიდობანი დღესაცაა შემონახული, მაგრამ თვით „ხუციანთ ოთხთავი“ და სხვა სიწმინდენი 30-იან წლებში მთავრობის წარმომადგენლებმა წაიღეს“ (თორია 2003: 107). ხუციშვილების ოჯახის წევრებმა მიუხედავად ძალდატანებისა არ უდალატეს მამა-პაპათა სარწმუნოებას. ეკლესიიდან წაღებული წმინდა სახარებისა და სხვა საეკლესიო ნივთების მხოლოდ ფიზიკურ გადარჩენას და პასიურ შენახვას როდი დასკერდნენ. „ოთხთავის დაცვის ადგილმა შეცვალა მაპმადიანთა მიერ გაუქმდებულ-განადგურებული ეკლესიები და იდუმალ სამლოცველოდ იქცა... იგი ქურმუხის წმინდა გიორგის სალოცავის შემდეგ ყველაზე წმინდა ადგილად ითვლებოდა“ (ბოჭუმავა 1999: 27). რაც ჩვენთვის ნიშნადობლივია, ეს „ხუციანთ ოთხთავი“ ისე სწამო, რომ მას უბრალოდ არ ახსენებენ. განსაკუთრებით დიდ შემთხვევაში თუ დაიფიცებენ, ისევე როგორც ქურმუხის საყდარზე (ოქროპირიძე 1989: 117). ირ. ოქროპირიძე, რომელიც XIX საუკუნის II ნახევარში ამ მხარეში ბლადოჩინად მსახურობდა, წერდა: ბევრი ინგილო ავადმყოფობისას საღმრთოსა და სანთელს პირდება ამ ოთხთავს, ოდონდ მალე გამოჯანმრთელდეს. ბედნიერ დღეს აქ მოდიან. ოთხთავს მამლებს უკლავენ და სანთლებს უნოებენ. ჩემთვე წინმსახურ ბლადოჩინებს უსურვებიათ ამ სახარევ-

ბისა და კიდობნის გადმოტანა ეკლესიაში, მაგრამ ხუციანთ არ დაუნებებიათ. ეგ ჩვენს გვარში უნდა ინახებოდეს, თორემ არ გვიყაბულებს და გაგვიწყრებაო. ხალხსაც უარი უთქვაშს მის იქიდან დაძვრაზე (ოქროპირიძე 1989. 117).

საქართველოში, ბარის რაიონებში დაფიცება ძირითადად ეკლესიაში ხდებოდა მდვდლის თანდასწრებით, ხოლო მთაში, ხატში ხევისბერებისა და ე.წ. დეკანოზების მონაწილეობით. „ხუციანთ ოთხთაგზე“ ანუ „შმინდა სახარებაზე დაფიცება ქრისტიანული წესით დაფიცების ნიმუშს წარმოადგენს. იმდენად განუზომელი იყო აღნიშნული ოთხთავის მნიშვნელობა, რომ „გამაპ-მადიანებულიც კი ამ სახარებაზე იფიცებდა“ (ბაქრაძე 1866. 2).

აღნიშნული სახარება ვახტანგ მეფის დროინდელი და მის მიერ დაბეჭდილი ყოფილა ტფილისში. ხოლო კრებული შეიცავდა ლოცვანს, ქამნს, ზადიქს და სამოციქულოს. საეკლესიო ნივთებს შორის იყო სანაწილე, მსგავსი საათისა, რომაული ციფრებით, სეფისკერის ბეჭედი მარმარილოს ქვისა, წმ. ბარძიმი ჩუქურთმიანი და ბარძიმი ვერცხლისა, ფეშეუმი, ღრუბელი, ვერცხლის ჯვარი დროშაზე გასაკეთებლად თვლებით გამშვენებული და სხვა. ხუციშვილების ოჯახში შენახული „ოთხთავის“ ბრალია, რომ ეს განაპირო კუთხე სრულიდ არ მოსწყდა საქართველოს და დაიცვა თავისი ქართველობა, ენა და რჯული. მისივე ბრალია, რომ ლეკთა ძალმომრეობამ ვერ დაჩაგრა ეს ერთი მუჭა ხალხი და ინგილო ისევ დარჩა ქართველად (ჯანაშვილი 1894. 2).

ხუციშვილების ოჯახის ასეთი გულმოდგინება და თავგანწირვა ხალხმა სათანადოდ დააფასა. ამ ოჯახის დიდი ღვაწლის გამოხატულებაა ინგილოებში ფიცის ფორმად მიღებული „დიდოუადევიმა“ ანუ „შმინდა ოჯახების მადლმა“, ე.ი. ეკლესიის მსახურ ოჯახებს იფიცებდნენ. ასეთები იყვნენ ხუციშვილების, ბარბაროვ-ვების ოჯახი, სადაც კრძალვით ინახებოდა საეკლესიო ნივთები.

დღესაც გრძელდება ტრადიცია. დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში, სადაც გამუსლიმანებას გამოქცეული ინგილოები ცხოვრობენ, სარდალაშვილების ერთ-ერთ ოჯახში, მარანში ინახება მაცხოვრის გარდამოსნა და სხვა ხატები. დღესდღეობით უმჯობესია გარდამოსნის უძველესმა ნიმუშმა ეკლესიაში დაიდოს ბინა, მაგრამ ამ ოჯახის წევრები მის იქიდან დაძრას ეწინააღმდეგებიან (**კვაშილაგა 2013**: 5).

ინგილოების მგზებარე და ცოცხალი ქრისტიანული სარწმუნოება ფიცის ფორმებშიც აისახა. მაგ: ქურდობაში ბრალდებული შემდეგნაირად იფიცებოდა: „წმინდა სახარებისამ არ ამიღია“ ან „წმინდა სახარების მადლმა არ მომიპარავს“. ფიცილის ფორმის თავისებურებას წარმოადგენს „მადლის“ „მა“ თავსართით მოხსენიება. სახელდობრ: სახარევასმა – სახარების მადლმა, ზისმა – მზის მადლმა, ღმერთიმა – ღმერთის მადლმა, პურიმა – პურის მადლმა და ა.შ. (**როსტიაშვილი 1978**: 95-170).

ქრისტიანული რელიგიური დღეობა-დღესასწაულების განუყოფელი ნაწილია დვინო და კწ. ზედაშეები – ინგილოურ დიალექტზე „დადაშა“. დადაშასთვის ერთ გარკვეულ ქვევრს შეარჩევენ და ყოველწლიურად აქ ინახავენ დვინოს. რაც არ უნდა ცუდი მოსავალი იყოს, ადნიშნულ ქვევრს მაინც გაავსებენ. „დადაშები ეზოში გვაქვს ჩაყრილი. დადაშას ჯერ სიპ ქვას დააფარებენ ზემოდან, მერე მიწას დააყრიან. დღეობაზე ახდიან ხოლმე. ეს ქვევრი მარტო ერთ ოჯახს ეპუთვნის და არა მთელ გვარს, მაგრამ ქვევრის პატრონი პატიჟობს ხოლმე სხვა თავის გვარის ხალხსაც. საკლავს იქვე, დადაშასთან დაკლავენ... დადაშა იციან 3, 5, 15, 25 ვედრიანი. ვედროში 12 ლიტრი ჩადის (პარდაგელიძე 1961: 2 და **კვაშილაგა 2013**“). ამ ქვევრის მოპარვა ან ერთი ადგილიდან ამოღება და სხვა ეზოში ჩადგმა არ შეიძლება, იტყვიან: „დადაშაც გაგიწყრევისო“. ე.ი. ეკრანალებიან დადაშას ხელის ხლებას, ვინაიდან სწამთ, რომ „დადაშავ მოგლიუა და ამიტომ „დადაშავ გოუწყრა“, ებავ გოამრუდა“

(როსტია შეიღი 1978: 65). ზედაშესადმი მოკრძალებული დამოკიდებულება დაფიცებაში შემორჩა, იციან თქმა „ზედაშეს მადლმა“.

ინგილოურ დიალექტში ფიცის გამომხატველ სიტყვა-გამოთქმათა ძირითად კომპონენტად გვხვდება „ლერთომა“, ლერთის მადლმა, „სულიმა“ (სულის მადლმა), „შენთან ნაჭამ პურიმა (შენთან ნაჭამ პურის მადლმა)“. როგორც ჩანს, დაფიცების ფორმები ძირითადად ქრისტიანული სარწმუნოებიდან მომდინარეობს. რას არ აკეთებდნენ ამ რწმენის შესანარჩუნებლად. სწორედ ქრისტიანობამ შეუნარჩუნა საინგილოს ერთი ნაწილი თავის ერს და საქართველოს. დაფიცება ყველაზე მისაღები ფორმა იყო შფოთისა და გაუგებრობის ასაცილებლად. XIX საუკუნეში, როდესაც ცრუმორწმუნეობა ხალხში გავრცელებული იყო, სხვადასხვა სადაცო და საეჭვო საქმეებს ფიცით აგვარებდნენ. პრესის მასალების მიხედვით, ამ მხრივ არც საინგილო ყოფილა გამონაკლისი. კერძოდ, ინგილოებში მძივები ყველას ჰქონდა. გავრცელებული შეხედულება თითქოს მათ შეეძლოთ აბრეშუმის ჭიის დახოცვა. საბოლოოდ მძივების მავნებლობის ძალა აბრეშუმისათვის დადასტურებულა. ერთ-ერთ გაქნილ მკითხავს ყორადნელებისთვის (სოფელი) გამოუცხადებია, რომ ამოიღებდა მტრისგან ჩამარხულ მძივებს, რომელიც მკითხავს თავისი თანაშემწის დახმარებით წინასწარ ჰქონდა ქილებით ჩამარხული ფულების მოსახვეჭად. ეს საქმე თავდაპირველად ფიცით დააშოშმინეს, მაგრამ ლანძღვა და წყევლა გაგრძელდა. დაპირისპირების ასაცილებლად ისევ დაფიცებას მიმართეს. ამის გამო თქვეს, რომ „სოფელში კომლად ერთმა კაცმა უნდა დაიფიცოს, რომ იმათ სახლში ამ უამად მძივები არც აქვთ და არც იქონიებენ ფიცის შემდეგამ. ხალხი ფიცზე გასვლისათვის მოემზადა და აი, ამ დროს მრავალმა უარი თქვა ფიცზე, თითქოს იმისთვის, რომ ფიცი ლვთის ხმალი არის და იმის ქვეშ ხალხის ჩაგდება კარგი არ იყო“ (ჯანა შეიღი 1867: 4).

საანალიზო მასალებში მიცვალებულის სულის დაფიცება არ გვხვდება. საკუთარი სულის დაფიცებისას, ფიცი თვითკრულვის ფორმით გამოიყენება. სახელდობრ, „სული მამიკვდოს“ (კვაშილაგა 2013). რთული კონსტრუქცია გვაქვს წყევლით ფიცისას, როგორიცაა ინგილოური „დარისხაა“, ესა და ეს მომიკვდეს (შილი ან და ან ძმა) თუ მე ესა და ეს გაგაკეთო... ზოგჯერ წყევლა წინ უძღვდა დაფიცებას და ცრუ ფიცის შემთხვევაში, წყევლა ცრუ მოფიცარზე გადავიდოდა. ტყუილად დამფიცებელს კი ხალხის რწმენით, ღმერთი სჯიდა, ვინაიდან მაწყევარი დამნაშავე პირის დაწყევლით, ღმერთს ანდობდა დამნაშავის დასჯას. ცხადია, „ღმერთის სახელით კაცის შეჩვენება ქრისტიანული ზნეობის საწინააღმდეგო და ყოველთა უსაშინლესი ცოდვაა (მართლმადიდებლის... 2002: 117). ამდენად, დაწყევლა ღმერთმა გადაუხადოსო ყველაზე თავაზიან წყევლა-კრულვად ითვლება. ამის შესახებ წმინდა ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) შენიშნავდა: ზოგიერთი წყევლასა და შეჩვენებას ისეა მიჩვეული, რომ თუ გული მოუვიდა თითქმის ყოველ წამს, მცირე რაიმეზე მაშინვე საშინელ სიტყვებს იმეორებს: დაწყევლოს ღმერთმა, დალაპხროს წმინდა გიორგიმ და სხვა მისთანა. ეს სამწუხარო ჩვეულება მრავალი ახლანდელი ქრისტიანის გულში იმისათვის არის დანერგილი, რომ ისინი დაუფიქრებლად ლაპარაკობენ და ცხოვრობენ, თავიანთ ცხოვრებასა და ხასიათს არ განსჯიან და არ განიხილავენ, თვისთა ენათა და ცუდი ზნისათვის აღვირსხმა არ შეუძლიათ... ზოგიერთი კაცი ისეთი სუსტი და საცოდავია, რომ მისი ჭავა კი არ მართავს ენას, არამედ მის ჭკუას ენა წარიტაცებს და ჯურდმულში აგდებს (წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი... 2013: 16).

წყევლის, როგორც სასჯელის არსებობას და მის შინაარსს განაპირობებდა რელიგიური ფაქტორი. კერძოდ, საზოგადოების, ხალხის რწმენა იმისა, რომ პიროვნების მიერ წარმოთქმულ საწყევარ სიტყვებს, აუცილებლად მოჰყვებოდა ის შედეგი, რაც წყევლისას იყო

გადმოცემული, ანუ დაწყევლილის, მისი ოჯახის წევრების, შთამომავლების გაუბედურება, ამოწყვეტა და მისთანა.

დალოცვა-წყევლას დასაბამისეული ისტორია აქვს. ძველ აღთქმაში ხშირად გვხვდება აღნიშნული ფორმები, რომლითაც ლვთის მგმობელნი იწყევლებიან და მაქებარნი ანუ საქმით მადიდებელნი, ლვთისაგანვე ილოცებიან. ძველი აღთქმა წყევლის ფორმების გამოყენების თვალსაზრისით, მკვეთრად განსხვავდება ახალი აღთქმისაგან. აქ ისინი ძალზე იშვიათია. თუმცა ე.წ. „დაკრულვას“ მეტად მძიმე შედეგები პქნედა. საეკლესიო სამართლის მიხედვით, ეკლესია მას მიმართავდა იმ შემთხვევაში, როდესაც ჩადენილი იყო სქესობრივი ზნეობის დამრღვევი დანაშაული, მკრეხელობა, მკვლელობა.

წყევლა-კრულვას იცნობს ყველა ხალხის ეთნოგრაფია და ფოლკლორი. იგი გვხვდება უძველეს სიგელ-გუჯრებში, იურიდიულ დოკუმენტებში, ხალხურ პოეზიაში და ა.შ. მაგ: საინგილოში შემორჩენილი თქმულების მიხედვით, ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიის კართან აღმართული ლოდები, აბგნიანი ქალის გამოსახულებას წარმოადგენს. ამბობენ, რომ ეს ქალი ლმერთს დაუწყევლია და გაუქვავებია იმიტომ, რომ ბავშვი გასვრილა და მას პურით გაუწმენდია.

ერთი სიტყვით, წყევლისას ვლინდება სიტყვის მაგიური ძალის რწმენა. წყევლის ფორმულებში ნათლად ჩანს ხალხის დამოკიდებულება სოციალური, ეროვნული და საყოფაცხოვრებო პრობლემებისადმი. წყევლა-კრულვა არის ცოცხალი ორგანიზმი, რომელშიც ასახვას პოულობს როგორც ისტორიული ძნელბედობა, ისე დღევანდელობის თანამდევი პრობლემები. ისტორიული უკულმართობის გამო უწევდა ინგილოელ ქართველს ავადმყოფობისას მოლასთან მისვლა. „მოლამ რასაკვირველია ავადმყოფობის არაფერი იცის, ზოგმა წიგნი საერთოდ არ იცის. მაგრამ რომელსამე საგალობელს დაპირისპირების გროვა არაგარინა ქადალდზე და, თუ ქრისტიანია ავადმყოფი, ხშირად წყევლა-კრულვასაც

დაუწერს და მისცემს გლეხს, თანაც ეტყვის: ისეთი დუღა დავწერე (ე.ი. მოლის წიგნი), რომ ყმაწვილი თუ კუდიანს ძლიერ არ შეუპყრია, ღმერთია მოწყალე მალე მორჩებაო“ (*ჯანა შვილი 1913*: 170).

ისტორიული რეალობაა ასახული გურულების მიერ საწყერად გადაქცეულ ფორმულაში, როგორიცაა „შენ წა კულმუხეთში“. ბევრმა არ იცის მისი მნიშვნელობა. ტერიტორიის ეთნიკური ათვისებისათვის, ჯერ კიდევ დაგით აღმაშენებლის დროს, პერეთში ქართველების განსამტკიცებლად საჭირო გამხდარა მოსახლეობის გურიიდან გადმოსახლება. გურულების პერეთში გადმოსახლება, როგორც ირკვევა, ნაძალადევი ყოფილა, ვინაიდან ქურმუხის დიდი საყდარი უძველესი დროიდან საინგილოს წმინდა სალოცავია, გურულებს კი საწყერად აქვთ შემორჩენილი „შენ წა კულმუხეთში ანუ ქურმუხში“ (*ყულო შვილი 2012*: 157). არ არის გამორიცხული კულმუხეთში უკუმუხეთი იგულისხმებოდეს და არა ქურმუხი, თუმცა წყაროების სიმცირის გამო, ამჯერად ვეღარ დავაზუსტებთ.

ასეთივე სადამსჯელო მნიშვნელობისაა ინგილოური წევლის ნიმუში „შენი სახლ-კარი ყაზიად იქნეს ან კიდევ „შენაბ ყაზიას დეფტარში (ანუ დაფთარში) ჩავწრევ“. საქმე იმაშია, რომ „ყაზიად დეფტარი“ უპატრონოთა სიის წიგნაკია, ხოლო ყაზიად უპატრონოთა უფროსი, რომელიც დაობლებული ბავშვების წამოზრდამდე ვალდებული იყო ეპატრონა მათვების. ქონებას ყაზიდ აღწერდა და წერდა საბუთად ყაზიას დავთარში. შემდეგ ყველაფერს ჩააბარებდა აფიკონს, რომელიც უპატრონოთა ნათესავი უნდა ყოფილიყო (*როსტია შვილი 1978*: 196).

მალიან ხშირია უკურნებელი სნეულების მოხსენიებით მაჭირვებელი ადამიანის დაწყევლა. მაგ: ჩუმავ არის ჭირი, გადამდები ავადმყოფობა, ძნელად მოსარჩენი, აქედან წევლის ფორმაა „თრონთუნამ (ოქვენთანა) ჩუმავ მოვიდეს; ასეთივეა ხორველად, ხოლერა. „ხორველად მაგივდეს“ ანუ გაგწყვიტოს ხოლერამო. ყარავად თვალების ავადმყოფობა, რომლის

დროსაც ბრმავდებიან ხოლმე. აქედან დაწყევლა: ყარავად გაქ! აზარ ეპიდემია. გაბრაზების დროს შეძახილი „აზარ მოგხტოს!“. წყევლაა: განუკურნებელი სხეულება შეგხვდეს!

ბოლმა, ძროხის ყელის ავადმყოფობაა, იარა ძნელად მოსარჩენი. ვინმეს გაბრაზებისას წყევლით მიმართავენ, „ბოლმა“ და გააწყვეტინებენ ხმას! (*როსტიაშვილი 1978*: 19, 40, 225).

ინგილოური წყევლის მრავალნაირ ფორმებში თითქმის არ გვხვდება ღმერთის ან წმინდანების მოშველიება, თუმცა ამის მიუხედავად სისასტიკე და ევაქტურობა არ აკლია. სახელდობრ, „ამაადინგელო“, ძირფესვიანად მოსასპობო ანუ ამაავარდნელო. „ამააზურკელო“ – დედაბუდიანად გასაქრობო! „ჩალაგებად, ჩოულაგები“ ნიშნავს ჩაწყობას, წესიერად ჩალაგებას. მაგ: ვარცლში პურის ჩალაგებას. გადატანითი მნიშვნელობით კი – ბევრის სიკვდილს ანუ დახოცვას. აქედან წყევლის ფორმაა „თქონამ ჩალაგდევით! ერთ დღე ჩალაგდნენ. ასეთივე „შენთან ნაჭამი პური ზაირ (შეხამი!) იქნების!“ (*როსტიაშვილი 1978*: 23, 114, 216).

დაწყევლის ამსახველი ფორმები სავალე მუშაობისას ჩავინიშნეთ, თუმცა ამჯერად მკითხველის გადაძაბვას მოვერიდებით, ვინაიდან ისინი უფრო მრავალფეროვანი იყო, ვიდრე ფიცის ნიმუშები. საერთო ჯამში, ქართულ ყოფაში დაფიქსირებული ფიცისა და წყევლის ფორმულები შეიძლება ერთიანი სისტემის ვარიანტებად განვიხილოთ. თუმცა ინგილოურთან შედარებით დაწყევლის გაცილებით მძიმე ფორმები ახასიათებდა საქართველოს მთიანეთის მოსახლეობას. ცნობილია, რომ სვანურ ფიცს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, ხოლო დაწყევლისას მთაში დამნაშავის არა მარტო ოჯახი და შთამომავლობა, არამედ მისი საქონელიც იწყევლებოდა (*დაგითაშვილი 2012*: 488).

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ძალდატანებით გამაპმადიანებული საინგილოს მოსახლეობა ქრისტეს სარწმუნოებას არ ჰკარგავდა. წმინდა სახარებაზე

დაფიცება, ზედაშეს და პურის მაღლი აქაური ქართველობას მუდმივად ასულდგმულებდა. წყავლა-კრულვა ქრისტიანთათვის მიუდებელი რამეა, მაგრამ ძნელბედობამ, ჯავრის ამოუყრელობამ, მტრისადმი სამაგიეროს გადაუხდელობამ წარმოქმნა დასჯის თავისებური სახეები, რომელიც უარყოფითი ენერგიის განსამუხტავად, პასიური მდგომარეობისა და სისუსტის დასაფარავად გამოიყენებოდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

- ახალი აღთქმუად 2005** – ახალი აღთქმუად უფლისა ჩუქნისა იქსო ქრისტესი. თბ., 2005.
- აბულაძე 1973** – აბულაძე ილ. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ., 1973.
- ბარდაველიძე 1961** – ბარდაველიძე გ. ზაქათალა, საველე დღიური. დაცულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში.
- ბაქრაძე 1866** – ბაქრაძე დ. საინგილო. გაზ. „დროება“, 1866, №44.
- ბოკუჩავა 1999** – ბოკუჩავა გ. სადღესასწაულო დღეები საინგილოში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 43-ბ, 1999.
- დადიანი, მიქაუტაძე 2009** – დადიანი ე., მიქაუტაძე გ. ფიცილის ფორმულები იმერხეულ დიალექტში. სამეცნიერო კონფერენციის მასალები, კრ.: თბ., დიდაჭარობა, 2009, მაისი.
- დავითაშვილი 1990** – დავითაშვილი გ. ვაჟა ფშაველა და ქართული ჩვეულებითი სამართალი. „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, კრ. 2, 1999.
- დავითაშვილი 2012** – დავითაშვილი გ. დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში. თბ., 2012.
- თორია 2003** – თორია ზ. საინგილოში. ქურნ. „ჯვარი ვაზისა“, №1, 2003.
- ქვაშილავა 2013** – ქვაშილავა ი. საველე დღიური, დედოფლისწყაროს რაიონი, სოფელი სამთაწყარო. 2013.
- მართლმადიდებლის 2002** – მართლმადიდებლის მცირე ლექსიკონი. თბ., 2002.
- მეტრეველი 2009** – მეტრეველი გ. ქართული სამართლის ისტორია. თბ., 2009.

ოქროპირიძე 1989 – **ოქროპირიძე იორ.** ქრისტიანობა
საინგილოში და ინგილოთა ყოფა XIX
საუკუნის მიმწერსა და XX საუკუნის
დასაწყისში. ქურნ. „მნათობი“, №12, 1989.

როსტიაშვილი 1978 – **როსტიაშვილი ნ.** ინგილოური
ლექსიკონი. თბ., 1978.

ქართული 1962 – **ქართული ენის განმარტებითი**
ლექსიკონი. ტ. VII, თბ., 1962.

უცლოშვილი 2012 – **უცლოშვილი გ., უცლოშვილი გ.**
ჰერეთის (საინგილოს) საერო და სახულიერო
პირები. თბ., 2012.

წმინდა მამათა 2002 – **წმინდა მამათა ქადაგებანი.** თბ.,
2002.

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი 2013 – **წმინდა გაბრიელ**
ეპისკოპოსის ქადაგებებიდან გამოკრებილი
სწავლებანი, გაზ. „საპატიოარქოს უწყებანი“,
11-17 ივლისი, 2013.

ჯანაშვილი 1894 – **ჯანაშვილი დ.** საინგილო, გაზ.
„ივერია“, №219, 1894.

ჯანაშვილი 1867 – **ჯანაშვილი დ.** ვაი, ჭკუისაგან. გაზ.
„დროება“, №41-42, 1867.

ჯანაშვილი 1913 – **ჯანაშვილი დ.** საინგილო. ტფ., 1913.

Кавказский календарь, 1910

ციცინო პაპიაშვილი

ზემო იმერეთის სოფელ არგვეთის თანამედროვე დემოგრაფიული მდგომარეობა და მეურნეობის ფორმები

ქართული სოფელი უძველესი პერიოდიდან არსებობდა, ფუნქციონირებდა და თავისი წვლილი შეჰქონდა ქვეყნის განვითარების საქმეში. სწორედ მისი საშუალებით ხდებოდა წინსვლა, ეკონომიკური გაძლიერება, ეროვნული დირექტულებების და მენტალობის ჩამოყალიბება. შესაბამისად მისი ისტორია ისეთივე ძველი და მრავალფეროვანია, როგორც ქვეყნის ისტორია.

ქართულ სოფელს, თავისი სტრუქტურა და განლაგება გააჩნდა. ზოგადი აღწერილობით ქართული სოფელი ასე გამოიყერებოდა: „მირითადად სოფლის ცენტრში გამართულია მოსახლეობის (მამაკაცების) თავშეყრისა და სჯაბაასის ადგილი (საფიხვნო, სვიფი...), გარშემო მოწყობილია საცხოვრებელი სახლები, თავისი ეზოებით. სოფლის ცენტრში ასევე გამართულია სალოცავი, ზოგან სოფლის გარეთაც, ვინაიდან საქართველოში ვერ იპოვით ოდნავ მოზრდილ სოფელს, რომელსაც მხოლოდ ერთი ეკლესია ჰქონდეს. ტრადიციულად, ეკლესიებთან იყო გამართული სასაფლაოც, ხშირად სოფლის გარეთ მდებარე, ვინაიდან სასაფლაოს სოფელში გაკეთებას ერიდებოდნენ. სოფელი ერთმანეთთან საურმე გზებით იყო დაკავშირებული. იგი ხშირად ისე იყო განლაგებული, რომ მის ცენტრში წყარო იყო მოთავსებული, სადაც ქალების თავშეყრის ადგილი იყო“ [საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია 2010: 575]. ეს სტრუქტურა დღესაც შენარჩუნებულია და იგივე აღწერილობას შევხვდებით საქართველოს ნებისმიერ სოფელში (მეტნაკლები განსხვავებებით).

როგორც ვიციოთ, სოფელი, სოფლის მეურნეობა და მრეწველობა ქვეყნის ხერხემალია. სოფლის უპირველესი

დანიშნულება ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერების
ხელშეწყობაა.

საქართველო ვაზისა და ხორბლის ქვეყანაა, ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, თითოეული ჩვენგანისათვის განსაკუთრებული ფასეულობებია, რაც თავისთავად გავლენას ახდენდა და დღესაც ახდენს ქართველთა ცხოვრების წესზე, მეტყალიტებსა და ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებაზე. შესაბამისად ქართული სოფლის არსებობასა და შენარჩუნებას უდიდესი მნიშვნელობა და როლი ენიჭება ქვეყნისა და ხალხის განვითარებისა და ჩამოყალიბების საქმეში.

საინტერესოა რა მდგომარეობაა დღესდღეობით თანამედროვე ქართულ სოფელში: ეკონომიკური თუ დემოგრაფიული თვალსაზრისით, ინარჩუნებს თუ არა ის ძელ იერსახესა და დანიშნულებას, მისდევს თუ არა სოფლის მოსახლეობა მეურნეობის იმ ფორმებს, რომელიც მისთვის ოდითგანვე იყო დამახასიათებელი და ტრადიციული. სახელმწიფო თვალსაზრისით საჭიროა სოფლის დღევანდელი მდგომარეობის ეთნოლოგიური შესწავლა, იმ ვითარების გარკვევა, რაც საქართველოს, თითქმის, ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის სოფელში არსებობს.

დღეს საქართველოში ბევრი სოფელი გაუკაცრიელდა, ბევრ მათგანში მოსახლეობა საერთოდ აღარ ცხოვრობს, ზოგან მხოლოდ მოხუცებს თუ შევხვდებით, რაც, ფაქტობრივად, მომავალში ასევე სოფლის დაცლისა და გაუკაცრიელების მომასწავებელია. ამის ნათელ მაგალითს წარმოგენს ზემო იმერეთის სოფელი არგვეთი. წინამდებარე ნაშრომი მხოლოდ ზემო იმერეთს სოფლელ არგვეთს ეხება. ნაშრომში, წარმოდგენილია უახლესი მასალა, რომელიც მოპოვებულია, ველზე მუშაობის დროს.

სოფლების შერჩევის დროს ძირითადად პარამეტრად მათი დემოგრაფიული მდგომარეობა ავიდეთ და ასევე დავინტერესდით მეურნეობის თანამედროვე ფორმებით, გამომდინარე იქიდან რომ, ოდითგან მეურნეობა სოფლის მამოძრავებელი და გადამრჩენი

ძალა იყო, შესაბამისად საინტერესოა რა მდგომარეობაა დღეს სოფლებში ამ თვალსაზრისით, რამდენად მისდევს მოსახლეობა მეურნობას, ინარჩუნებს თუ არა სოფელი მეურნეობის ტრადიციულ ფორმებს და ა.შ. ქართულ სოფელში გაცილებით ნაკლები ბავშვი იბადება დღეს, ვიდრე ქალაქში, არა და აღრე პირიქით ხდებოდა, ამ ყველაფერის ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორი კი მიგრაციებია, როგორც შიდა, ასევე გარე. მოსახლეობა მიდის სოფლებიდან ძირითადად ქალაქის მიმართულებით, თუმცა არც გარე მიგრაციების მასშტაბებია მცირე — საზღვარგარეთ წასულ ქართველთა რიცხვი საკმაოდ დიდია. მიგრაციების გამომწვევი მიზეზი სხვადასხვაგვარია, ეს შეიძლება იყოს: ბუნებრივ-კლიმატური პირობები, საარსებო-ეკონომიკური პირობები და ა.შ. საქართველოში კი, ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, მიგრაციის არსებით ფაქტორთა შორის დასაქმებისა და საარსებო-ეკონომიკურ პრობლემების გადაწყვეტას ენიჭება არსებითი მნიშვნელობა. რაც ყველაზე სამწუხაროა მიგრანტების უმრავლეობას ახალგაზრდები წარმოადგენენ.

სახარბიყლო ვითარება სოფლებში არც მეურნეობის წარმოების თვალსაზრისითაა. სოფელში მეურნეობას მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი მისდევს. ამის უმთავრესი მიზეზი კი, ერთის მხრივ, მოყვანილი პროცესის რეალიზებაა, რაც ურთულეს პრობლემას წარმოადგენს გლეხისოფის, რადგან არ არსეობობს ან ძალიან მცირე რაოდენობით ვხვდებით სოფლებში ისეთ დაწესებულებებს, სადაც პროცესის რეალიზებაა შესაძლებელი, მეორე მხრივ, კი როგორც უკვე ვთქვით, სოფლებიდან ახალგაზრდების უმეტესი ნაწილი წასულია, სოფელი მხოლოდ ხნიერების ანაბარადაა დარჩენილი, რაც, ბუნებრივია, მეურნეობის მაშტაბებს ზღუდავს და სამომავლოდ ფრიად არასახარბიყლო ტენდენციებს სახავს.

ამრიგად, ქართულ სოფელში საგანგაშო ვითარებაა. ჩვენ მიერ, ზემოთ წარმოდგენილი მასალა, პრობლემათა

მხოლოდ მცირე ჩამონათვალია, რომელთა გადრმავებასაც ნაშრომის ძირითად ნაწილში შევეცდებით და უფრო თვალნათლივ და მკაფიოდ დავინახავთ თუ რა მდგომარეობაა დღეს რეალურად თანამედროვე ქართულ სოფელში.

საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ ეთნოგრაფიულ მხარეს იმერეთი წარმოადგენს. მას აღმოსავლეთიდან ლიხის მთა ქართლისაგან გამოჰყოფს. სამხრეთით იმერეთს სამცხე ესაზღვრება, ჩრდილოეთით – რაჭა და ლეჩებუმი, დასავლეთით – სამეგრელო, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით – გურია. იმერეთი იყოფა ორ ნაწილად: ზემო იმერეთად და ქვემო იმერეთად.

ზემო იმერეთი ქართლ-იმერეთის ქედიდან იწყება და აღწევს იმ ადგილამდე, სადაც მდინარეები ყვირილა და ხანის წელი მდინარე რიონს ერთვიან.

აღსანიშნავია, რომ იმერეთი, გარდა ზემო და ქვემო იმერეთისა, მოიცავს აგრეთვე ოკრიბას, რომელიც დღევანდელი ტყიბულის რაიონია. ზემო იმერეთი მოიცავს შემდეგ რაიონებს: ზესტაფონი, ხარაგაული, საჩხერე და ჭიათურა (საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია 2010).

„ზემო იმერეთი“ გვიან ფეოდალურ ხანაში გაჩენილი ტერმინია. ადრე მისი სახელწოდება არგვეთი (მარგვეთი) იყო, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას რაჭის მთებიდან ფერსათის მთებამდე და ლიხის ქედიდან რიონამდე. თავდაპირველად არგვეთში შედიოდა ოკრიბაც. არგვეთი საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული იყო. არგვეთს ერისთავი მართავდა. ვახტანგ გორგასლის დროს (V საუკუნე) არგვეთი თაქუერთან ერთად ერთ-ერთ საერისთავოს შეადგენდა“ (საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია 2010: 125).

აღსანიშნავია, რომ ზემო და ქვემო იმერეთი ერთმანეთისაგან ეთნოგრაფიული თვალსაზრისით განსხვავებულია, რაც ძირითადად ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორებითაა განპირობებული. ზემო იმერეთში მეტწილად ხევური დასახლება შეინიშნება,

ხოლო ქვემო იმერეთში კი დასახლება უფრო გაშლილი ტიპისაა (საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია 2010).

ზემო იმერეთის, კერძოდ, საჩხერის რაიონის ერთ-ერთი სოფელია არგვეთი, რომელიც მდებარეობს იმერეთის მაღლობზე, მდ. ლაშურის მარცხენა ნაპირზე ზ.დ. 600მ. საჩხერიდან 7 კილომეტრში (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ. I 1977).

დემოგრაფიული თვალსაზრისით სოფ. არგვეთში დღეს არც ისე სახარბიელო მდგომარეობაა, თუმცა თანამედროვე დემოგრაფიულ სიტუაციის განხილვამდე თვალი გადავავლოთ XIX საუკუნის სტატისტიკურ მონაცემებს, კერძოდ 1886 და 1908 წლის დემოგრაფიულ სიტუაციას სოფელ არგვეთში.

1886 წლის მონაცემებით სოფ. არგვეთში 174 კომლია დაფიქსირებული, ჯამში $649+566=1215$ სული. ყველა მათგანი ქართველი გახლდათ, რომლებიც ხელისუფლების მიერ იმერლებად იყვნენ ჩაწერილები, ყველა მართლმადიდებელი იყო. 1215 სულიდან აზნაურები საქმაოდ დიდ ნაწილს წარმოადგენენ 110+101=211. მიწათმფლობელთა მიწაზე 121 კომლი იყო დასახლებული სულ $478+405=883$ სული, ხოლო საკუთარ მიწაზე (მესაკუთრე) 15 კომლი, ჯამში $50+48=98$ სული (**Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 г., 1896г.**). რაც შეეხება 1908 წლის მონაცემებს, საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთში ჯამში 950 სულია დაფიქსირებული (**Кавказский календарь 1910**).

როგორც ვხედავთ, 1886 წლიდან 1908 წლამდე არგვეთში მოსახლეობის შესამჩნევ კლებას აქვს ადგილი. კერძოდ, თუ 1886 წლის მონაცემებით სოფელში 1215 სული ფიქსირდება, 1908 წლის მონაცემებით დაფიქსირებულია 950 სული, ანუ ამ ხნის მანძილზე სოფელში მოსახლეობის რაოდენობა 265 ადამიანითაა შემცირებული, რაც აქვთან შიდა ქართლსა და ბოროჯომის ხეობაში მიგრაციით იყო განპირობებული. თანამედროვე დემოგრაფიული სიტუაცია, ჩვენდა სამწუხაროდ, კიდევ უფრო შემაშფოთებელია. სოფელი

დღითიდებები იცლება. ახალგაზრდების 99% უკვე წასულია სოფლიდან და ძირითადად თბილისში ცხოვრობს, ოჯახებსაც სწორედ დედაქალაქში ქმნიან და შესაბამისად უკან დაბრუნებაზე აღარც ფიქრობენ. სოფელ არგვეთში მოსახლეობის 90% მოხუცები წარმოადგენენ. ისინი ზამთარ-ზაფხულ არგვეთში რჩებიან და თავის გატანას მეურნეობის წარმოებით ცდილობენ. „ადრე სოფელში დაახლოებით 200-300 ოჯახი ცხოვრობდა, დღეს იქნება დაახლოებით 100 ოჯახი, ბევრი წასულია სოფლიდან ძირითადად თბილისში, სამსახურის საშოვნელად. იქ მუშაობენ ვაჭრებად ან ხელოსნებად, მეტი სამსახური თბილისში მათ არ აქვთ. ჩვენთან სამსახურის შოვნა ძნელია, სამუშაო ადგილები არ არის, მხოლოდ საჩხერეში რაიონულ ცენტრში თუ დასაქმდება ადამიანი, იქაც მხოლოდ ერთეულები მუშაობენ, ზოგი ბანკში, ზოგი აფთიაქში და ა.შ.“ [სოფელი არგვეთი, მთხრობელი ანზორ კირილეს ძე სისვაძე, 2013 წელი, 75 წლის]. „ადრე სოფელში ვერ გეტყვით რამდენი ოჯახი ცხოვრობდა, დღეს იქნება დაახლოებით 100-150 ოჯახი. სოფლიდან საქმაოდ ბევრი ოჯახია წასული, მაგრამ სოფელთან კავშირი მთლიანად არ აქვთ გაწყვეტილი, ზოგი ზაფხულობით ჩამოდის, უმრავლესობა კი სოფელში მიწის ნაკვეთსაც ამუშავებს და წელიწადში რამდენჯერმე უწევს ჩამოსკლა. ძირითადად საცხოვრებლად თბილისში არიან გადასულები, იქ მუშაობენ ხელოსნებად და ვაჭრებად. ბევრი ახალგაზრდაა სოფლიდან წასული თბილისში და იქ ცხოვრობენ. თუმცა სოფელსაც არ ივიწყებენ და ჩამოდიან ხოლმე“ [სოფელი არგვეთი, მთხრობელი ციური მარკოზიშვილი, 2013 წელი, 55 წლის].

როგორც ვხედავთ, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი წასულია სოფლიდან, მაგრამ სახლები მთლიანად არ აქვთ მიტოვებული, მოსახლეობის ნაწილი წელიწადში რამდენჯერმე ჩამოდის არგვეთში, ამუშავებს მიწას და შესაბამისად უურადღებასაც აქცევს. თუმცა მოსახლეობის მეორე ნაწილს მთლიანად მიტოვებული აქვთ სოფელი და სხვაგან არის საცხოვრებლად წასული,

ნაწილი კი მხოლოდ ზაფხულობით აკითხავს მშობლიურ მხარეს.

არგვეთში საქმაოდ ბევრი სახლია გამოკეტილი, უმრავლესობა მათგანი სამუდამოდ, ზოგიც კი – დროებით. „ჩვენს სოფელში ძალიან ბევრი მიტოვებული სახლია, მაგალითად ჩვენს უბანში 8 სახლია დაკეტილი, ნაწილი მთლიანად არის მიტოვებული, ნაწილს კი შიგადაშიგ აკითხავენ ხოლმე“ [სოფელი არგვეთი, მთხოვობელი ნელი ჭიტაძე, 2013 წელი, 60 წლის]. „სოფელში ნამდვილად საგანგაშო ვითარებაა, თანდათან იცლება მოსახლეობისაგან, ახალგაზრდებს, თითქმის, ვეღარ შეხვდებით, რადგან წასულები არიან თბილისში საცხოვრებლად. არგვეთში უმრავი სახლია გამოკეტილი, მთლიან სოფელში ვერ გეტყვით რამდენი, მაგრამ ჩვენს უბანში დახლოებით 10 სახლია დაკეტილი, ზოგი ზაფხულში ჩამოდის, ზოგი კი მიწას ამუშავებს და წელიწადში რამდენჯერმე უწევს ჩამოსვლა“ [სოფელი არგვეთი, მთხოვობელი მაყვალა სისვაძე, 2013 წელი, 65 წლის].

სოფლის ასეთი დემოგრაფიული მდგომარეობა, რასაკვირველია, სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობაზეც აისახება. მართალია, არგვეთში მოსწავლეთა სიმრავლე არც ძველად შეინიშნეობდა, თუმცა თანამედროვე ვითარება რადიკალურად განსხვავებულია და ამაზე ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალებიც მეტყველებს, რომლის მიხედვითაც სკოლაში 56 მოსწავლეა და თითო კლასში 2-3 მოსწავლე ზის, ხშირ შემთხვევაში – ერთი მოსწავლე. სოფელ არგვეთის სკოლა ცხრაკლასიანია, შემდეგ კი მოსწავლები სწავლას იქნე ახლოს მდებარე სოფელ გორისაში აგრძელებენ. „სოფელში გვაქვს სკოლა, რომელიც მხოლოდ ცხრაკლასიანია, შემდეგ ბავშვები სოფელ გორისაში გადადიან სასწავლებლად. სკოლაში დღეს დაახლოებით 50 მოსწავლე იქნება, თითო კლასში 2-3 მოსწავლეა, ადრე შედარებით მეტი მოსწავლე იყო, დღეს კი მოსწავლეთა რიცხვი თანდათან მცირდება და მაღე, ალბათ, პირველი კლასლები ადარც გვეყოლება, ისედაც 1-2 ბავშვი ზის

კლასში“ [სოფელი არგვეთი, მთხოვობელი ანზორ სისვაძე, 2013 წელი, 75 წლის]. „სოფლის სკოლაში თითო კლასში 2-3 ბავშვი ზის, მთლიანად 40-50 მოსწავლე იქნება, რაც ნამდვილად საგანგაშოა. სოფლის ახალგაზრდობა ძირითადად (99%) წასულია, ოჯახებს თბილისში ქმნიან, რადგან იქ ცხოვრობენ და უკან დაბრუნებაზე აღარ ფიქრობენ, მალე, ალბათ, სკოლაში მოსწავლე საერთოდ აღარ გვეყოლება და დაიკეტება კიდეც ჩვენი სკოლა“ [სოფელი არგვეთი, მთხოვობელი ციური მარკოზიშვილი, 2013 წელი, 55 წლის].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, არგვეთში სკოლის მოსწავლეების რიცხვი თანდათან მცირდება და მცხოვრებთა თქმით, უახლოეს მომავალში სოფელს სკოლის დაკეტვის საფრთხეც ემუქრება, რადგან სოფელი მხოლოდ მოსუცების ანაბრად არის დარჩენილი, ახალგაზრდობის მხოლოდ 2-3% ჩერდება სოფელში და მალე ისინიც მიატოვებენ იქაურობას, რაც სამომავლოდ მეტად არასახარბიელო სურათს ქმნის.

ამბობთ, უკელა ჩვენგანისათვის საინტერესოა სოფლიდან წამოსული ახალგაზრდობა რითი ირჩენს თავს დედაქალაქში? პოულობს თუ არა შესაბამის სამუშაოს, რითიც თავის გატანაა შესაძლებელი? ჩაწერილი მასალებით ირკვევა, რომ სოფლიდან წამოსული მოსახლეობის 99% თბილისში ძირითადად მუშებად, ხელოსნებად და ვაჭრებად მუშაობენ და ამითი ირჩენენ თავს. „აქედან მოსახლეობა ძირითადად თბილისშია გადასული, იქ ძირითადად მუშაობენ მუშებად და ხელოსნებად. სოფელში სამუშაო არ გვაქვს, მარტო მამულებს ვამუშავებო ლუკმა- კურის საშოვნელად, ახალგაზრდებს კი მიწაზე მუშაობა არ უნდათ და თბილისში ურჩევნიათ ვაჭრებად და მუშებად წასვლა“ [სოფელი არგვეთი, მთხოვობელი მაუვალა სისვაძე, 2013 წელი, 65 წლის]. „მოსახლეობა თბილისში ძირითადად მუშებად, ხელოსნებად ან ვაჭრებად მუშაობენ. ჩვენი სოფლიდან ძალიან ბევრია ასე წასული“ [სოფელი არგვეთი, მთხოვობელი ნელი ჭიტაძე, 2013 წელი, 60 წლის].

სოფელში დარჩენილი მოსახლეობა კი თავს უმეტესწილად მამულების დამუშავებით ირჩენს. გარდა ამისა, გარე სამუშაოებზეც მიღიან მეზობელ სოფლებში, დასაბარად, მოსაორენად ან სხვა მსგავსი სამუშაოების შესასრულებლად, რაშიც ფულს იღებენ. „თავი რომ ირჩინონ, ზოგი მეზობელ სოფლებში გადადის დასაბარად და სხვა მსგავს სამუშაოებში მისახმარებლად, რაშიც ფულს იღებენ. სოფელში სამუშაო არ გვაქვს, მხოლოდ საკუთარ მამულებს ვუვლით, რაც მოსავალი მოგვდის იმის ძირითად ნაწილს სახლში მოვიხმართ, გასაყიდი პროცესში არ გვაქვს სამუშაოდ“ [სოფელი არგვეთი, მთხოვნელი ნელი ჭირაძე, 2013 წელი, 60 წლის].

აღსანიშნავია, რომ ერთი პერიოდი სოფელში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო მოსახლეობის სოფელში დამაგრებას. მოსახლეობამ შეწყვიტა სოფლიდან წასვლა, რადგან შემოსავლის წყარო აქაც გაჩნდა, მაგრამ ეს ძალიან ცოტახანს გაგრძელდა. „ბოლო პერიოდში საჩხერეში გაიხსნა ქარხანა, სადაც სახლის სახურავებს ამზადებენ, მოსახლეობის ნაწილი იქ დასაქმდა და, გარდა ამისა, საჩხერეში გვაქვს შესანიშნავი საავადმყოფო, ძალიან კარგი აღჭურვილობითა და მომსახურე პერსონალით, იქ ნებისმიერი სახის მკურნალობა, სრულიად უფასოა, ესეც ძალიან დიდი შეღავათია ჩვენთვის, ადრე შეღავათები გაზიარდა და დეზტეც კრცელდებოდა, რაც მოსახლეობას სოფელში ცხოვრებას უიოლებდა, მაგრამ დღეს ყველანაირი შეღავათი გაგვიუქმდა და მოსახლეობამ კვლავ დაიწყო სოფლიდან გადინება“ [სოფელი არგვეთი, მთხოვნელი ანზორ სისვაძე, 2013 წელი, 75 წლის].

ამრიგად, როგორც ვხედავთ დემოგრაფიული სიტუაცია სოფელ არგვეთში ნამდვილად საგანგაშოა, სოფელი უკვე დაცლილია ახალგაზრდობისაგან, სკოლაში მაღალ მოსწავლეები საერთოდ აღარ იქნებიან და მოხუცების ანაბრად დარჩენილი სოფელი კიდევ რამდენ ხანს შეძლებს მომავალში არსებობას ძნელი სათქმელია.

ზემო იმერეთში (არგვეთში) ტრადიციულად მეურნეობის ორი დარგი იყო წამყვანი და ძირითადი: მევენახეობა და მესაქონლეობა. აღსანიშნავია, რომ იმერეთის პლატოზე ძირითადად მარცვლეული კულტურების მოყვანით იყვნენ დაკავებულნი, როგორიცაა, მაგალითად: ლომი, მოგვიანებით სიმინდი, დაბლობში აგრეთვე მისდევდნენ მებოსტნეობას, მებაღჩეობას და ა.შ. (**ლორთქიფანიძე 1997**). ხოლო რაც შეეხება მევენახეობას და ზოგადად ვაზის კულტურას უფრო მაღლობ ადგილებში იყო კარგად განვითარებული, მაგალითად: ჭიათურის, საჩხერისა და ხარაგაულის რაიონებში, ანუ ძირითადად ზემო იმერეთის ტერიტორიზე (**საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია 2010**).

„რუსი ელჩების ტოლოჩანოვისა და იეგლიევის აღწერილობაში, რომელიც 1650-1652 წლების ვითარებას ასახავს, ნათქამია, რომ იმერეთში ყოველ მოსახლიეს ეზოში ხეხილი და ვაზი აქვს დარგული“ [საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია 2010: 125]. როგორც უკვე ვთქვით, მევენახეობა მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია ზემო იმერეთში და მას ამ მხარის ეკონომიკაში ოდითგან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა (**ლორთქიფანიძე 1997**). იმერეთში შემდეგი ვაზის ჯიშებია გავრცელებული: „ძელ შავი/ძველ შავი, აკიდო, დონდლები, მელის კუდი, ტრედის ფეხი, თითა, რკო, ბეჭია, საფერე ანუ საფერავი, შავი ბუდეშური, ადანასური, ქველოური, არაბიული, ჩხავერი, შავი კამური, ჯანი, ხოლო თეთრი ჯიშებიდან კუნა, კვირისტავა, ხარისთვალა, ყურწიოელა, მწვანე, შანთი, სამჭაჭამალდარი, თეთრი ბუდეშური, მაისა, ქართულა“ [საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია 2010: 437].

აღსანიშნავია, რომ ზემო იმერეთში და ზოგადად იმერეთში მევენახეობის სხვადასხვა ფორმები გვხვდება, კერძოდ, აქ ძველთაგანვე გავრცელება პპოვა, როგორც ბუნებრივ ასევე ხელოვნურ საყრდენზე გამართულ-დაკავებულმა ვენახემა. იმერეთში აშენებდნენ შემდეგი ტიპის ვენახებს: მაღლარს, დაბლარს, ოლხნარს,

რომელიც თავისებურ გარდამავალ ფორმას წარმოადგენს მაღლარასა და დაბლარს შორის (**ლორთქიფანიძე 1997**).

ზემო იმერეთში მევენახეობასთან ერთად აქტიურად მისდევდნენ აგრეთვე მეცხოველეობა-მესაქონლეობასაც. ძირითადად აშენებდნენ ძროხას, ცხვარს, ცხენს და კამეჩს, მსხვილფეხა პირუტყვთან ერთად აშენებდნენ ლორსა და ცხვარს. ადსანიშნავია, რომ ზემო იმერეთში მესაქონელობა უფრო კარგად იყო განვითარებული, რაც ძირითადად ამ მსარეში საძოვრების დიდი რაოდენობით იყო განპირობებული. გარდა მესაქონელობისა ზემო იმერეთში მცირე დოზით მეფრინველეობასა და მეფუტგრეობასაც მისდევდნენ (**ლორთქიფანიძე 1997**).

რაც შეეხება ზემო იმერეთის სოფელ არგვეთს, ძველად აქ მეურნეობის ორ ძირითად დარგს მისდევდნენ: მევენახეობასა და მესაქონლეობას. თანამედროვე ეთნოლოგიური მონაცემების მიხედვით არგვეთში დღესაც მისდევენ მეურნეობის ტრადიციულ ფორმებს. ყველა ოჯახში გაშენებულია ვაზი და მოხუცები აქტიურად ცდილობენ ძეგლი ტრადიციების შენარჩუნებას, თუმცა, სამწუხაროდ, ყურძნის მოსავალი აქ, კლიმატური პირობების გამო, ძნელად მოდის და მხოლოდ იმ რაოდენობით მოყავთ, რაც ოჯახისთვისაა საკმარისი. „ადრე სოფელში მეურნეობის წამყვან დარგს მევენახეობა წარმოადგენდა, ყველას პქოდა ვენახი, მოყავდა ყურძენი და ყიდდა ძალიან უპრებლომოდ, ვინაიდან საჩხერეში შამპანიურის ქარხანა გვქოდნა და იქ ვაბარებდით ყურძენს კარგ ფასებში. დღეს მეურნეობის სხვადასხვა დარგებს მივდევთ, მათ შორის, მევენახეობასაც, მაგრამ იმდენი არ მოგვავს როგორც ადრე, მხოლოდ ჩვენ საკმრი პროდუქტი და ღვინო თუ გვექნება“ [სოფელი არგვეთი, მთხოვობელი ციური მარკოზიშვილი, 2013 წელი, 55 წლის]. „მეურნეობის წამყვანი დარიგი ადრე მევენახეობა იყო, საჩხერეში შამპანურის ქარხანა არსებობდა და იქ ვაბარებდით ყურძენს უპრებლემოდ. დღესაც მივდევთ მევენახეობას, მაგრამ გასაყიდი ყურძენი აღარ გვაქვს, გარდა მევენახეობისა, მივდევთ აგრეთვე მებოსტეობას,

მებადეობას, მესაქონლეობას, ყველაფერს რაც ადამიანს საარსებოდ სჭირდება“ [სოფელი არგვეთი, მთხოვნელი ნელი ჭიტაძე, 2013 წელი, 60 წლის].

როგორც ჩანს, მოსახლეობა პვლავ ინარჩუნებს მეურნეობის ამ დარგს, დღესაც აქტიურად მისდევს მევენახეობას, თუმცა სამწუხაროდ აღარ მოყავთ იმ რაოდენობის უურძენი როგორც ადრე, მიზეზი კი, ერთის მხრივ, მწირმოსავლიანი მიწებია, მეორეს მხრივ კი, მოსახლეობას პროდუქტის რეალიზება უჭირს, არ აქვთ ქარხნები სადაც ჩაბარებები უურძენს და დახარჯული თანხის ამოღებას მაინც შეძლებენ, ამიტომ მხოლოდ სახლისთვის მოიხმარენ პროდუქტს.

გარდა მევენახეობისა საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთში მისდევენ აგრეთვე მესაქონლეობასაც, მეურნეობის ამ დარგის შენარჩუნებას ხელს დიდი რაოდენობით საძოვრების არსებობაც უწყობს. ადრე იმერეთში დიდი რაოდენობის პირუტყვს ინახავდენ, თითო ოჯახს 200 სული მსხვილფეხარქოსანი პირუტყვიც კი ჰყავდა. მართალია, დღეს ყველა ოჯახს ჰყავს საქონელი, მაგრამ ძველი მასშტაბით ადარ, თანამედროვე ყოფაში 2-3 ძროხას თუ ვნახავთ გლეხის ოჯახში. „დღეს სოფელში მოსახლეობა თავს ძირითადად მესაქონლეობით ირჩენს, ბევრი ძროხები არ გვყავს, 2-3, მაგრამ რაც გვყავს ეს ძალიან გვეხმარება, ხან რძეს გავყიდით, ხან ყველს და ასე გავდივართ იოლას“ [სოფელი არგვეთი, მთხოვნელი მაყვალა სისვაძე, 2013 წელი, 65 წლის]. „ჩვენი ძირითადი სამუშაო მიწაა, გარდა ამისა თავს მესაქონლეობით ვირჩენთ, აქ ყველა ოჯახში ყავს ძროხა, რძის პროდუქტებს ძირითადად სახლში მოვიხმართ, თუმცა გაჭირვების შემთხვევაში ვყიდით კიდეც“ [სოფელი არგვეთი, მთხოვნელი ანზორ სისვაძე, 2013 წელი, 75 წლის].

ამრიგად, მეურნეობის ტრადიციული ფორმები სოფელ არგვეთში შენარჩუნებულია, მოსახლეობა (ძირითად მოხუცები) აქტიურად მისდევს მევენახეობასა და მესაქონლეობას, თუმცა მაშტაბები

ადრინდელთან შედარებით რადიკალურად განსხვავებული და შემცირებულია.

თანამედროვე ქართული სოფელი დღეს ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. სოფელი თანდათან კარგავს იმ ფუნქციებს, რაც ოდითგან მისი მახასიათებელი იყო. სწორედ სოფლის საშუალებით ხდებოდა: ეკონომიკის გაძლიერება, ქვეყნის წინსვლა, ეროვნული ლირებულებების, მენტალიტეტის, სულისა და ხასიათის ჩამოყალიბება.

თანამედროვე ეთნოლოგიური მონაცემებით ქართული სოფელი იცლება მოსახლეობისაგან, სწორედ ამის შედეგია, რომ საქართველოში ბევრი სოფელი გაუკაცრიელდა, ბევრ მათგანში საერთოდ ადარცხოვრობს მოსახლეობა, ზოგან მხოლოდ მოხუცს თუ შევხვდებით, რაც სამომავლოდ აგრეთვე სოფლის გაუკაცრიელების მომასწავლებელია. ბუნებრივია ყველა წევნებისათვის საინტერესოა ის მიზეზები, რის გამოც სოფლის მოსახლეობა (ახალგაზრდობა) ტოვებს მშობლიურ მხარეს და საცხოვრებლად სხვაგან გადადის. ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ ერთადერთი და არა ერთ-ერთი მიზეზი არის მათი ეკონომიკური მდგომარეობა. გაჭირვება, სიდუხჭირვ, უმუშევრობა, სამუშაო ადგილების არ ქონა და, რაც მთავარია, სამუშაო ადგილების პერსპექტივის არ ქონა აიძლებთ მათ მიატოვონ სოფელი და საცხოვრებლად გადავიდნენ ძირითადად დედაქალაქში, სადაც მუშაობები ძირითადად მუშებად, ხელოსნებად და ვაჭრებად.

თანამედროვე სოფელში სკოლები დაცლილია, მოსწავლეთა რიცხვი ადრინდელთან შედარებით განახევრებულია და ეს რიცხვი ყოველ წელს მცირდება, ყელაფერი ეს კი ხდება გამომდინარე იქიდან, რომ სოფლები იცლება მწარმოებლებისაგან, ახალგაზრდობისაგან, რომლებმაც უნდა იზრუნონ მომავალი თაობის გამრავლებაზე, ოჯახების შექმნაზე და ა.შ. სამომავლოდ კი ამის გამო შესაძლოა სკოლებიც კი დაიხუროს სოფლებში, ამის მაგალითია თუნდაც არგვეთი, სადაც თითო კლასში 1-2 მოსწავლე ზის და არსებობს

ტენდენცია, რომ მომავალ წლებში საერთოდ ადარც კი იქნება პირველი კლასი.

რაც შეეხება მეურნეობას, ამ თვალსაზრისით ოდნავ სანუგეშო სიტუაციაა. სოფლის მოსახლეობა (ძირითადად მოხუცები) ინარჩუნებს მეურნეობის ტრადიციულ ფორმებს, რაც მათვის თდითგან იყო დამახსიათებელი. მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ადრინდელან შედარებით მასშტაბები რადიკალურად განსხვავდებულია, სამწუხაროდ არა უკეთესობისაკენ, ვინაიდან ყველა ოჯახს მხოლოდ თავისოფას საკმარი პროდუქტები მოყავს, მალიან მცირე რაოდენობით თუ გაყიდის. პარალელურად მეურნეობის ძველი/ტრადიციული დარგებისა ზოგიერთ სოფელში ჩნდება ახალი ფორმებიც, როგორიცაა მეხილეობა-მებოსტნეობა, რაც ძირითადად იმითად განპირობებული, რომ ამ სახის პროდუქტის რეალიზება უფრო სწრაფად და კარგ ფასებშია შესაძლებელი.

ბუნებრივია, ყველა ჩვენგანისათვის საინტერესოა ის რისკფაქტორები, რაც შეიძლება გამოიწვიოს სოფლის მოსახლეობისაგან დაცლამ. პირველ რიგში, ეს არის საზღვრების მოშლა/რღვევა, ვინაიდან, მოგეხსენებათ, რომ მთა საქართველოსთვის ყოველთვის წარმოადგენდა ბუნებრივ ფარს, იგი მეტად იყო დაცული მტერთა შემოსევებისაგან, მთაში დარჩენილი მოსახლეობა ყველაფერთან ერთად ასრულებდა მესაზღვრის ფუნქციასაც. საზღვრების რღვევის შემთხვევაში საფრთხე ექმნება ქვეყანას, რადგან რეალურია შანსი იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიებს სხვა დაეპატრონება. გარდა ამისა, მთის სოფლებს კიდევ ერთი განსაკუთრებული ფუნქცია ჰქონდა, კერძოდ, გაპარტახებული ბარის მოსახლეობის მომარაგება სწორედ მთაში არსებული სოფლების ნამატი მოსახლეობის ხარჯზე ხდებოდა, რაც ჩვენს რეალობაში სრულიად წარმოუდგენელია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია განსაკუთრებული უზრადღების მიქცევა საქართველოს მთიანეთისთვის (და არამარტო მათვის) მთავრობის მხრიდან და იქ ისეთი პროგრამის ამჟავება,

რაც ხელს შეუწყობს მთაში მოსახლეობის დაკავებასა და ზრდას დემოგრაფიული თვალსაზრისით.

ძველად სოფლის მეურნეობა მართლა ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალი იყო, მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია ეკონომიკის გაძიერება და ქვეყნის სურსათით მომარაგება იყო. მეურნეობა დღესაც აგრძელებს ფუნქციონირებას სოფლებში, მაგრამ ძალიან შეზღუდული და მცირე რაოდენობით, ვინაიდან მოსახლეობას დღეს არ აქვს საშუალება შეიძინოს შესაძლებები, სასუქები, საწვავი, ადრე მათ ამაში მთავრობა ეხმარებოდა, დღეს კი, ეთნოლოგიური მასალების მიხედვით, სოფლის მოსახლეობას, ამ თვალსაზრისით არავინ ეხმარება და ყველაფრის გაკეთება თვითონ უწევთ, ყველაფრი ეს კი დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, გარდა ამისა არც უდირთ გარისკვა, ვინაიდან გაყიდული პროდუქტით მის დირექტულებასაც ვერ იღებენ. შედეგი კი ისაა რომ ქვეყნის ბაზრის 98% საზღვარგერეთიდან შემოტანილ პროდუქციას უკავია, რაც ცხადია, სურსათის ფასებს აორმაგებს.

რა არის საჭირო თანამედროვე ქართული სოფლის მდგომარეობის გამოსწორებისათვის? რამ შეიძლება დააბრუნოს, დაამაგროს და, რაც მთავარია, დემოგრაფიული თვალსაზრისით გაზარდოს სოფლის მოსახლობა? პირველ რიგში, ეს არის სოფლის მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, კონკრეტულად კი სამუშაო ადგილების შექმნა, ანუ მოსახლეობის დასაქმება. მოსახლეობის გამრავლებაში გადმაწყვეტი როლი, მართლც რომ ეკონომიკურ ფაქტორს ენიჭება, ამის ნათელი მაგალითი საჩხერის რაიონია, სადაც ბოლო პერიოდში გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე მოსახლეობის შობადობის დონემ იმატა, ამის საპირისპიროდ კი საგანგაშო ვითარებაა ჭიათურის რაიონში, სადაც სოფლები ეკონომიკური ფაქტორის გამო თანდათან იცლება მოსახლეობისაგან.

ალბათ, ყველას გაუჩნდება კითხვა, არის თუ არა დღეს რეალურად შესაძლებელი სოფელში სამუშაო ადგილების შექმნა? თუ ეს მომავლის ოცნებას წარმოადგენს? ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთავრობას ამ პრობლემის მოგვარება დღეს შეუძლია, უფრო მეტიც ამის რეკომენდაციას ქვეყნის ხელმძღვანელობას თვითონ სოფლის მოსახლეობა აძლევს.

სოფელ არგვეთის მოსახლეობა, რასაკვირველია, უპმაყოფილოა სოფელში არსებული სიტუაციით, თითქმის, ყველანაირი დახმარების იმედი გადაწურული აქვთ. სოფლის მოსახლეობა საშინელ მდგომარეობაშია, არ აქვთ სამუშაო, მხოლოდ მამულებს ამუშავებენ, რაიონულ ცენტრში კი ერთეულები მუშაობენ და, ფაქტობრივად, არც არის სამუშაო ადგილები, ვინაიდან თუკი რამე პუნქტი არსებობს ყველგან დასაქმებულია მოსახლეობა, ამიტომ ისინი ერთადერთ გამოსავალს ახალი ობიექტების გახსნაში ხედავენ; ეს შეიძლება იყოს: ქარხანა, სავაჭრო პუნქტები და ა.შ., რათა გაჩნდეს დამატებითი სამუშაო ადგილები და დასქმდეს მოსახლეობა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ თანამედროვე ქართული სოფელი მძიმე მდგომარეობაშია, ის თანდათან კარგავს ძველ იერსახეს, ფუნქციებსა და მნიშვნელობას. ამიტომ მთავრობის მხრიდან სასწრაფო დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური დონისძიებებია გასატარებელი, რათა, უპირველეს ყოვლისა, შევინარჩუნით ეროვნული მენტალობა, სული და ხასიათი.

დამოწმებული ლიტერატურა:

- ბატონიშვილი 1904 ბატონიშვილი გახუმბი.
საქართველოს გეოგრაფია. თბ., გამოცემა
ჟურნალ „მოგზაურისა“, 1904.
- გაბუნია 1975 გაბუნია ლ. მევენახეობა იმერეთში. მსე, 1975, ტ. XVIII.
- კაცაძე 1977 კაცაძე ა. საქართველოს მთის მოსახლეობის თანამედროვე მიგრაცია. თბ., გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977.
- კაცაძე 1983 კაცაძე ა. მოსახლეობის მიგრაცია და საქართველოს საშუალო ქლაქების სოციალური განივთარების პრობლემები. თბ., 1983.
- ლორთქიფანიძე 1997 ლორთქიფანიძე რ. იმერეთის ნიადაგები და სოფლის მეურნეობა. თბ., გამომცემლობა „საქართველო“, 1997.
- რუხაძე, ლეკიაშვილი, ჭყონია 1964 - რუხაძე ჯ., ლეკიაშვილი ა., ჭყონია ი. სოფელი აკურა. თბ., გამომცემლობა „მეცნიერება“, 1964.
- საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, როლანდ თოფჩიშვილის საერთო რედაქციით, თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2010.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ. I, 1975.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ. III, 1977, 670.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ. IV, 1979, 701.
- Свод статистических данных о населении Закавказского края**, извлеченных из посемейных списков 1886 г., Тиф., 1896.

ინგა ლუტიძე

ქართული ლექსიკის შენარჩუნებისა და სიტყვაქმნადობის საკითხისათვის იმერხეველთა მეტყველებაში

„იმერხევი შავშეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. იმერხევში მიმაგალი გზა მდინარე ფაფართის (ძდ. იმერხევის) ღრმა ხეობას მიჰყვება ისე, რომ გზიდან მხოლოდ რამდენიმე სოფელი მოჩანს. დანარჩენი სოფლები ან ვიწრო ხეობების სიღრმეშია შემაღლები, ანდა მთების მაღალ კალთებზეა გაშლილი, გზიდან არ ჩანს. იმერხევი იწყება ძდ. ყვირალას სათავეებიდან (ერთვის ძდ. ფაფართს), სოფელ ყვირალადან (თურქ. დემირქაფი//დემირფაფი) და გადაშლილია მთელი ხეობის სიგრძეზე სოფელ შერთულამდე. აქ ხეობა მთავრდება, ძდ. ფაფართი უერთდება შავშეთიდან მომდინარე სათლელის წყალს, რომელიც აქვთ მოყოლებული ჭოროხის ხეობამდე იწოდება შავშეთის წყლად“ (ფუტკარაძე 1993: 32).

იმერხევლი დიალექტი დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ნ. მარის მიერ ჩაწერილი უნიკალური მასალების, ტექსტების მიხედვით იყო ცნობილი (*Mapp 1910*), ხოლო მოგვიანებით იგი მონოგრაფიულად შეისწავლა შ. ფუტკარაძე (ფუტკარაძე 1993).

ა. შანიძე და ა. მარტიროსოვი იმერხევლს სამხრულ-დასავლეურ დიალექტურ ჯგუფს მიაკუთხნებდნენ (*შანიძე 1972: 16; მარტიროსოვი 1972: 16*). ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურიას, ი. ქაგთარაძის აზრით, „ტერმინი იმერხევლი ვიწროა და პირობითი. ფართო გაგებით, იგი წარმოადგენს ქართული ენის კილოს, რომელიც იმერხევის გარდა გავრცელებული უნდა ყოფილიყო კლარჯეთის დარჩენ ნაწილში და ალბათ შავშეთშიც და რომელსაც შეიძლებოდა კლარჯული ან შავშურ-კლარჯული დარქმეოდა“ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქაგთარაძე 1961: 371). შ.

ძიძიგურის აზრით, „იმერხეული უნდა მიეკუთვნოს დასავლური კილოების ჯგუფს, უმთავრესად აჭარულ-გურულს“ (*ძიძიგური 1970*: 152).

„შავშეთის ნაწილი იყო იმერხევი. ქართული მეტყველება დღეს ძირითადად აქაა შემორჩენილი... შავშეთ-იმერხევი ეთნოგრაფიულად ძალიან პგავს მთიან აჭარას“ (*თოლიშიშვილი 2010*: 143).

ისტორიულ სამშობლოს მოწყვეტილი ჯგუფი ლექსიკურ ერთგულთა სესხების პარალელურად საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს, ერთი მხრივ, ქართული ლექსიკური ფონდის შენარჩუნებისა და, მეორე მხრივ, სიტყვაქმნადობის თვალსაზრისით ენისთვის დამახასიათებელი მოდელებისა და მაწარმოებელი აფიქსების საშუალებით.

იმერხეველ ეთნიკურ ქართველთა მეტყველებაში დღემდეა შემორჩენილი ქრისტიანობასთან დაკავშირებული ლექსიკის კვალი, როგორც ეს ტოპონიმების შემთხვევაში ჩანს: ქათიჯვარი//ხატიჯვარი, საბეგიჯვარი, სამზიარები...

გურჯების გარდაცვლილზე *ცხოვნებულით* იტყვიან: ჩემი *ცხოვნებული* დედე იტყოდა-ქი, მე ოცდაათი სახლი გავაკეთევ.

იმერხევში შემოგვრჩა ლექსიკური ერთგული ბუჭულა პატარა წისქვილი.

სოფელ ქოქლიერში (დიობანი) ხბოს აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებად დავადასტურეთ როგორც *თუმბულა*, ასევე *დარჩენა*.

პირველ ნათიბს თივას უწოდებენ, მეორე ნათიბს კი მორჩეს: ჩატენავ ჯვალში მორჩე და ქორში მეორან. ხელით მოთიბულ მოკრეფავთ, იმას *ჭორომი* ქვია.

მუ- პრეფიქსის საშუალებით შეუქმნიათ ისეთი საინტერესო სიტყვა, როგორიცაა *მეშველად*, შეურქმევიათ მწერისათვის, რომელიც ქვებზე დავა.

ნა- პრეფიქსითაა ნაწარმოები ნამდული ნამგალს რომ მოუსვამ, ხელში რაც მოჭრილი ბალახი მოგყება, იმას უწოდებენ.

**ს- პრეფიქსითაა ნაწარმოები გასასუქებელი
საფუარი; საქედური - კარის შესაბმელი; სასაქმურა
(რესპ.: საქმისთვის): სასაქმურა იქ წვეიდოდენ.**

**იმერხეველი გურჯების ნენეს ულ სუფიქსით
ნაწარმოებ ნენულასაც უწოდებენ: ნენულამ კერ ჩავა იქა;
მიღმჟლი კი შენახული საჭმელია.**

**-ურ სუფიქსის საშუალებით შეუქმნიათ თხის ნაზი
ბეწვის აღმნიშვნელი სიტყვა **თვისური**.**

**უმცროსი თაობის, განსაკუთრებით კი პატარების
აღსანიშნავად გამოიყენეს ლექსემა წვრილი და მასზე
ელ სუფიქსის დართვით შექმნეს წვრილელები, ხოლო
უფროსი თაობის აღსანიშნავად იან სუფიქსის
საშუალებით შექმნეს დიდრიანები:**

**დიდრიანებმა იცოდენ (რესპ.: ძველებმა, უფროსი
თაობის წარმომადგენლებმა იცოდნენ).**

**იმერხეველთა მეტყველებაში ობა სუფიქსის
დართვით ლექსიკურ ერთეულზე ახალ, მიღებულია
ახალობა, რაც ახალგაზრდობას ნიშნავს: მემკვიდრეობის
ახალობა (მემკვიდრეობის ახალგაზრდობა).**

**-აკა სუფიქსითაა ნაწარმოები კნინობითი სახელი
ქილაკამ - კროჭი დიდია, ქილაკამსულ დიდი იყო.
ქილაკამში საკვებს ინახავდნენ.**

**და ზმნისწინითაა ნაწარმოები ერთმანეთზე
დაწყობილი ნივთების აღსანიშნავად გამოყენებული
ლექსემა დაჭახული: ლოგინებ ერთმანეთზე დაგაწყოვ,
დაჭახულ კეტყვით; ამგვარადვეა ნაწარმოები
დაცოტავება: დაგცოტავდით; ფარა დაუცოტავეს.**

**მო ზმნისწინითაა ნაწარმოები მოცივდება, მოცივდა
(რესპ.: აცივდება, აცივდა); მოცივა (რესპ.: აცივდება),
ავანთებ ხობას.**

**ა- ზმნისწინითაა ნაწარმოები: აბუზანკლება,
რაც მოუსვენრობას ნიშნავს.**

**ობა სუფიქსითაა ნაწარმოები მწვანობა: მწვანობა
არი (რესპ.: სიმწვანეა).**

ფუძის გაორმაგებით არის ნაწარმოები ფეხდაფეხით (რესპ.: ფეხით): **ფეხდაფეხით** წახვიდე მაჟალედან, ორმოც წუთში ახვალ.

პოჭები გურჯებისთვის ცომის პატარა გუნდებია; **ქუნჩალი** სიმინდის ფოჩებია; **კოკორი** პატარა გუნდებია მჭადისა: ჭადხა კოკორ ჩავდებდით. სარჩო-საბადებლის მნიშვნელობით გურჯების სიტყვა **პურს** იყენებენ, რასაც დიდი დატვირთვა აქვს ქართული ენის ლექსიკურ ფონდში. პური ქართველებისთვის მთავარ საარსებო საშუალებას უკავშირდება. ის კეთილდღეობის გამომხატველიცაა. **პურ-მარილიანი**, **პურ-ღვინიანი** ქართველისთვის ერთ-ერთი საუკეთესო შეფასებაა ადამიანის დახასიათებისას. ამ მხრივაც, ისევე როგორც ბევრ შემთხვევაში გურჯები არ განსხვავდებიან საზღვრის აქტთა ქართველებისგან: შეპირში წევიდე, ვინ უნდა მოგაროვას პური? (რესპ.: ქალაქში რომ წავიდე, ვინ უნდა მართინოს?). **პურ მოგაროვამთ** (რესპ.: საჭმელს მოგარომევთ); **პაიდე, პური დიგიდვა** (რესპ.: საჭმელს მოგარომევთ); **პური მემეშია** (რესპ.: მომშივდა), შევადაროთ ქართული ენის აღმოსავლური დიალექტებისთვის დამახასიათებელ **პური მომშივდა**, ან **პური გჭამოთ**.

თავისებურად (რესპ.: შესაფერისი) ვერ ნახა.

გარგის მნიშვნელობით იყენებენ **გეთილს:** გზა აეთილი აკეთეს (რესპ.: გზა კარგი აკეთეს).

გაბრაზების მნიშვნელობით **გაბრაწდებას** იყენებენ: **გაბრაწებული იქნებიან.**

თურქთის საჭართველოში დღემდე შემორჩენილია **ფეხობის** ტრადიცია. ახალი წლის მეორე დღეს ოჯახში იმ ადამიანს, რომელიც პირველად შეაღებდა კარს და ოჯახში შეაბიჯებდა, ამ ოჯახის კეთილდღეობა და წინსვლა უკავშირდებოდა. საუკუნეების განმავლობაში ისტორიული სამშობლოს დიდ ნაწილს მოწყვეტილი გურჯების ამ ტრადიციას **ფერხობით** გამოხატვენ: არ გისთან არ უნდა შეხვიდე, უფერხებ.

გაყინვა ზმნა გახიპვა სიტყვითაა გადმოცემული: **გუჟხიპავს** (რესპ.: გაუყინავს).

ცხოვრების მნიშვნელობით იყენებენ სიცოცხლეს: გინცხა ძღიდარები არიან, **ცოცხლობები** (რესპ.: ცხოვრობენ), ღარიბები ღარიბად ცოცხლობები (რესპ.: ცხოვრობენ).

განათებას მათ მეტყველებაში ლექსიკური ერთეული განათლება ენაცვლება: ამდენ ხან ჩეგეცა და ამდენ ხან გეგვენათლებინე (რესპ.: გაგვენეობინე).

ტკივილის აღსანიშნავად იყენებენ წვა ზმნას: წელი მეწვის.

ამჯერად ზმნიზედის ნაცვლად შექმნეს ამპირა; **ბარობალად** (რესპ.: ამიტომ).

ბიჭს ომ გოგო მოეწონება, საქართველოში იტყვეიან: ბიჭს თვალი უჭირავს გოგოზეო, თურქეთის ქართველებმა ეს ერთი ლექსიკური ერთეულით თვალნაჭირით გამოხატეს: დარჭი რომ მეეწონება, თვალნაჭირია.

ფრაზეოლოგიზმებია **თავბრუ** მესხმის; კურ გდება (რესპ.: მიხედვა//მოხედვა): ბალვი გეყოლვის, კურ გიგდებ; მიმე გული (რესპ.: დამძიმებულია).

იმერხევში მზე კი არ ჩადის, არამედ მზე ძვრება: მზე ჩაძრა.

მზე როცა შუბის ტარზეა, იმერხეველი ქართველები ამბობენ: **ბზემ** (რესპ.: მზემ) პირი დამწევაო.

ადამიანი, რომელიც ძალიან უყვართ, თურქეთის ქართველებისთვის **თვალი** ძაბალია: ჩემი თვალი ძაბალია (შდრ.: ჩემი თვალის ჩინია).

შედარებებიც, რომლებსაც გურჯების მიმართავენ, სამუდამოდ აღიბეჭდება მეხსიერებაში: **ჯინჯვლიერ ნუ სწერავ** (რესპ.: პატარ-პატარა ასოებით ნუ წერ).

დასტურდება პარონომაზის შემთხვევები: **სხვილი წვიმა გაწვიმდა; თოვლი გათოვლდა.**

რაც შეეხება ინტერფერენციის ხარისხს, შეიძლება ითქვას, რომ ამდენი საუცუნის შემდეგაც ერთიანი საქართველოს ორგანიზმს მოწყვეტილი ხალხის მეტყველებაში ის იმ ხარისხის არ არის, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, რაღაც ყველა შემთხვევაში თურქელიდან შემოჭრილი სიტყვებისა თუ მოდელების

გაქართულების ცდაა მოცემული სხვადასხვა სუფიქსების, თანდებულების, ზმნისწინების, თემის ნიშნების დართვის გზით:

-მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ ებ სუფიქსს ურთავენ თურქულ ლექსიკურ ერთეულს: ჩიჩებებია დარგული, წყალ აძლევ (რესპ.: ყვავილებია დარგული, წყალს უსხამს);

-თურქულ ლექსიკურ ერთეულს აფორმებენ ქართული ენის ში და ზე თანდებულებით: ბჭლიერ მეოტება, ართვინ იწვა ჰასთანეში (რესპ.: საავადმყოფოში); ჯენაზეზე არიან (რესპ.: დაკრძალვაზე არიან);

-თურქულ ზმნას ქართული ავ თემის ნიშნით აფორმებენ: ამბებ უდინგლავ (რესპ.: ამბებს ვუსმენ).

თურქულის გავლენით ფორმები კალკირებულია: აღებული სხალია? (რესპ.: ნაყიდი მსხალია?); არაბა დუჭირავან (რესპ.: მანქანა აუყვანიათ); ტელევიზორი გავხენით (რესპ.: ჩაგროვთ).

მოკლე ტექსტი ინტერფერენციის პროცესზე დაკვირვებისთვის, როდესაც ეთნიკურ ენაზე მეტყველი თურქეთის ქართველები, ქალები, რამეს გადმოგცემენ, გიყვებიან, დაახლოებით შემდეგი სახისაა: იქშილი (რესპ.: მწვანე) ლობით მოგურიფვ, გავარჩივ ლამაზათ, ავალელე წყალი, იხი (რესპ.: შიგნით) ჩავვარე, ტანი მოგხარშე, ამოკერე სიმზე, ახლაც სამურხადი (რესპ.: ნიორი) მოკრიფვ, ფასულივ (რესპ.: ლობით) ფავეზე უნდა დავაყარო, მარილიანი წყალი ფასულივ ფავეზე უნდა დავახსხა, მემრე უნდა მოუჭირო ყაფავ (რესპ.: თავსახური).

„დაკრა ყაფავ, სისხლი ჩეგქცა, ჰასთავენში წევიყვანეთ, ირმი დოქუზ (რესპ.: ოცდაცხრა დღე) იწვა, მემრე მოკტა; ქალი გენჯი დარჩა, დარჭი წვრილ-წვრილი; ახლა კონტროლზე დავდივარ, არაფერი აღარ გაქო; ორჯერ ამელიათი (რესპ.: საოპერაციო) გავხდი; სობა (რესპ.: ღუმელი) ანთია; აქ ქილისე (რესპ.: კლეისია) არ არი ქი; ჩემ სოფელში მუღლელიმი (რესპ.: მასწავლებელი) იყო.

თურქული ნასესხობები მათ მეტყველებაში ძირითადად საზოგადოებრივ ცხოვრებასთან

დაკავშირებულ მოვლენებსა თუ პროცესებს, პროფესიის აღმნიშვნელ ტერმინებს ეხება: მექმურია (რესპ.: მოსამსახურე, ჩინოვნიკი), იშჩია (რესპ.: ხელოსანია), ემექლი (რესპ.: პენსიონერი), მუდულიძი (რესპ.: მასწავლებელი) იყო.

თუ ეთნიკური ქართველები ქართველთა ყოფა-ცხოვრებასთან, ტრადიციებთან დაკავშირებულ თემებზე საუბრობენ, ბუნებრივად ნაკლებად იყენებენ თურქულ სიტყვებს:

ანადოიგიდან ხო რომ გააკეთევდა, მოვკრევდით ერთად, გადაგბლუზევდით, (რესპ.: გადავაბრუნებდით), გადმოვგბლუზევდით, ქორში შევდევდით, ჩომას (რესპ.: საქონელს) მივართევდით.

საპონ დათვიქონით აკეთებდებ. ნაცარ თენექში (რესპ.: ქვაბში) ჩააყენებდებ, ჩაყრიდებ, ზედედამა წყალ დაასხებდებ, ქვეშედან დაჭიჭნული (რესპ.: დახვრეტილი) იქნებოდა.

ჩემი ანად არაბაზე დამჯდარი არ იყო (რესპ.: მანქანაში ჩანაჯდომი არ იყო), არსად წახულიც არ იყო, მეც შორ არ გამგ ზავნა საკითხავად და ასე დავრჩი. ახლა ჩემი ფარა მექნებოდა, კაცის ხელში არ ვიყურებოდი (რესპ.: კაცის ხელის შემყურე არ ვიქნებოდი).

ინტერვერენცია კარგად ჩანს ანდაზებში, რომლებსაც გურჯები იყენებენ: მეზობელი მეზობლის ნაცარზე მუხთაჯიაო (რესპ.: მეზობელს მეზობლის ნაცარიც სჭირდებაო).

კალკირებულია ბევრი ფრაზეოლოგიზმი: შენი თავი გელი (რესპ.: გელოდები).

კარგი მოქართულეულებისგან ჩაწერილი ტექსტის მოკლე მონაკვეთი შესაბამისი ქართული ლექსიკით შემდეგი სახისაა: იძერხევში თეთრ ხორბალსა თეხვდებ, იქაური ხორბალი ჩვენზე კარგი იყო. ჩვენი კარგი არ იყო, გაწყდებოდა. აქა ცივი ადგილია, ზამთარი გრძელი. უგიანდებოდა მოხლა. აქა ძველათ კალოს რომ გავლენავდით, გაათოვლებდა. ერთ თვეს უკან აქა ტკაველი თოვლი მოიდა.

ძიმე მიწაში ჯილდას იხმარებ, იმას ბევრი ხარები უნდა, ძალა ბევრი უნდა. ერთ კევრსა მოვაბემდით ცხენსა, ხანდახან პაწა ბიჭსა მოვაჯდუმლებთ ცხენზე. ზოგი შეა ლენდა, ზოგი გარედან ლენდა, კარგა დავალენდებით შეა ბზეში (რესპ.: კარგად გავლენავდით შეა მზეში). ხორბალს ჯვალში ჩავყრიდით, ლამაზი მარცვალები იყო. ჯვალ თხის ბალანისგან გქეოვდით. ათ-თხეთმეტ ჯვალსა დავაფქვევდით, ზამთარში ყინევდა, გა ზაფხულამდინ გვეყოფოდა. საჭმელსა ფულით არ ევიდებდით, გვყოფნულობდა. ფქვილები დალევნამდინ ხაროში იყო. ჭად გამუაცხობდით. ჭადის ფქვილი მაღაე გამწარდება, ხამ-თოხ დღეს ვერ გადაართნიერ იმას. კეცის პური თხელ-თხელი იყო, ლამაზად გამოცხებოდა.

ტლაპოხა მოზელდებ, იმას უკან გატყლაპენ, გააშრობენ, ცეცხლში გამოიწვის. ერთ კეცს ზემოდან მეორეს დააბურებენ. კეცს კვამლის ხიშავე უდიოდა, მივხვდებოდით, ჭადსა კოკორ ჩავდებდით, ხველი შიგანავ იიბეროსო.

ოცი წელიწადი გახდა, კალო აღარ გვილენავს. ძველიათ ერთობა იყო, გერმელობა იყო. აღარ მუა უკან ის წასული დღეები.

ასეთი ქართული ისმის ასწლეულების შემდეგაც ისტორიული სამშობლოს დიდ ნაწილს მოწყვეტილი უფროსი თაობის გურჯების მეტყველებაში დღეს და ასეთიდა ვითარება ლექსიკის შენარჩუნებისა და სიტყვაქმნადობის თვალსაზრისით.

დამოწმებული ლიტერატურა:

- გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961
გიგინეიშვილი ი. თოფურია გ. ქავთარაძე ი.
ქართული დიალექტოლოგია. I. თბ., 1961.
- თოფხიშვილი 2010 საქართველოს ეთნოგ-
რაფია/ეთნოლოგია, როლანდ თოფხიშვილის
საერთო რედაქციით. თბ., 2010.
- Mapp 1910* *Mapp H.* Дневник поездки в Шавшетию и
Кладжетию, см. Тексти и разыскания по армяно-
грузинской филологии. Кн. 7. С.-Петербург. 1910.
- მარტიროსოვი 1972* *მარტიროსოვი ა.* ქართული
დიალექტოლოგიის ისტორიისათვის. თბ., 1972.
- გუბარაძე 1993* *გუბარაძე შ.* ქართული ენის
სამხრელ-დასავლერი დიალექტების
თავუსებურებანი ისტორიული ტაო-
კლარჯეთისა და მუხაჯირი ქართველების
მეტყველების მიხედვით. სადისერტაციო
ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა
დოქტორის სამეცნიერო სარისხის
მოსაპოვებლად. თბ., 1993.
- Шаниძე 1957* *Шаниძе А.* Принципы классификации
грузинских диалектов. Труды объединенной
научной сессии Академии Наук Закавказских
республик по общественным наукам. Баку, 1957,
стр. 828-832.
- ძიძიგური 1970* *ძიძიგური შ. ქართული*
დიალექტოლოგიური ძიებანი. თბ., 1970.

ეპა ჭკუასელი

ქართული ოელიგიური წეს-ჩვეულებები
და ხალხურ დღეობათა სარიტუალო ლექსიკა
(„მზერ-მზირ“ ძირის ეთნოლიტიკისტური ანალიზი)

სვანეთის ტრადიციულ ყოფაში არსებული
ტერმინი: „ლიმზირ“ ლოცვის აღმნიშვნელია, ამავე
ძირისაა ტერმინი „ლემზირ“, რომელიც გულისხმობს
სალოცავად განკუთვნილ პურს, ერთგვარ ხალხურ
სეფისკერს. „ლიმზირთე ლიზი“ სალოცავად წასვლას
აღნიშნავს.

ცნობილია, ლემზირი, როგორც სალოცავი პური,
ცალკე გადანახული კარგი ხარისხის ფქვილისაგან
მზადებლადა და ყველა დღესასწაულის აუცილებელ
ატრიბუტს წარმოადგენდა. ლემზირები სახვადასხვა
სახისა და ფორმისა იყო. უმრავლეს შემთხვევაში
„ლემზირ“-ი მრგვალი ფორმისაა, ჯვრის გამოსახულებით.
ჯვარი, შესაძლოა ზედ პურზე იყოს ამოტვიფრული, ან
პურის ოთხ მხარეზე იყოს მცირედი შვერილები, რაც
ჯვრის სიმბოლურ გამოსახულებას ქმნის.

სვანეთის ტრადიციულ ყოფაში შემონახულია
ლემზირის სხვადასხვა სახეობები. ვერა ბარდაველიძე,
ლემზირის პარალელურ ტერმინად „სეფისკვერსაც“
ასახელებს. იგი სეფისკურ//სეფისკვერ-ს სვანეთის ბევრ
თემში ადასტურებს, მაგალითად, უშგულში, ბეჩოში და
სხვ. უშგულის მასალით, შობასა და ახალ წელს შუა,
უშგულელები მართავდნენ მიცვალებულთა სულების
მოსახსენიებელ ხარჯებს, ამ დროს აცხობდნენ დიდი
ზომის აფუებულ პკერებს – „სეფისკურ“-ებს, თითოს
ყოველი უშგულელისათვის, რომლებსაც იგი შინ
მიჰქონდათ და დილით უზმოზე შეექცეოდნენ
(ბარდაველიძე 1939. 75). ბეჩოში კი „სეფისკვერ“-ს

აცხობდნენ კავშობის¹ დღეობისათვის (პარდაგელიძე 1939: 89). ახალი წლის დღეობისათვის ცხვებოდა კ. წ. „ფუსნა ლემზირ“-ი, რომლის პარალელური სახელი „სეფიისკუერ“-ია და ამით უზმოზე მამაკაცები ეზიარებოდნენ. „ფუსნა ლემზირ“//„სეფიისკუერ“-ი ფუძებრტყელი და ბურთულა კვერია, მრგვალია, მის ზედაპირზე ჯვარია ამოსახული. აღქვეყნდილი ჯვარი ზოგ თემში პერის მოელ ზედაპირზეა გადავლებული, ზოგან კი გამოყვანილია ოთხი თითოთ კვერის შეა ნაწილის ოდნავი შეზნექის საშუალებით (პარდაგელიძე 1953: 77); „ფუსნა ლემზირ“-ის//„სეფიისკუერ“-ის გრაფიკული გამოსახულება მოცემულია ვერა ბარდაველიძის ნაშრომებში (პარდაგელიძე 1953: 77).

არსებობდა სარიტუალო პურის „დაჭვრეთის“ ტრადიციაც (გუჯჯიანი 2007). სვანეთში მოგზაურობის დროს პურის საჭვრეთი//საბეჭდავი აღწერა ნიკო მარმა: „პურებს ბეჭდავენ ხის ოთხკუთხა მტკაველის სიგრძის მქონე დაფით. ამ ინსტრუმენტს ამჟამად ეცერში ეძახიან „ლადგი“-ს, ძველად კი ზოგიერთი ეცერელის მონათხრობით, მას „დასტაკ“-ს უწოდებდნენ“ (Mapp 1913: 9).

პურის სვანურ ტვიფარს ვ. ბარდაველიძე „საჭვრეთ“-ს და „ბეჭდარ“-ს უწოდებს და ამ საკითხზე საუბრობს ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშების აღწერისა და გაანალიზების კონტექსტში: „ჩვენი ტაბულების (XVIII ტაბულის 5-6 ნახატი) ნახატებს რიტუალური კვერების საჭვრეთი (ბეჭდარ) ეწოდება. მაგრამ თვით გამოსახულებიანი წინწკლების რგოლები და მათ ცენტრში თითო წინწკალი, მთელ საჭვრეთს კი არ წარმოსახავს, არამედ საჭვრეთის იმ ნაწილს, რომლითაც რიტუალური კვერების დაჭრელება ხდებოდა“ (პარდაგელიძე 1953: 51), რაღანაც „საჭვრეთი“ რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა და ყოველ ნაწილს თავისი

¹ kaiSoba eZRvneboda beCos dasavleTiT, Cubexevi TemSi, maRal mTaze Armara-TulkaASis (toponimia) mTavarangelozis eklesiis dReobas, romelic Zv. stiliT 31 dekembers aRiniSneboda.

დანიშნულება პქონდა. 1957 წელს გამოცემულ რუსულენოვან წიგნში კი ვ. ბარდაველიძე უშუალოდ საბეჭდავს, ხის ტვიფარს ახსენებს: „სვანების ძველ ყოფაში შემონახულია ხის ტვიფარები (штампы), რომლებიც განკუთვნილია სარიტუალო პურებისათვის, მათ შორის არის სპირალის გამოსახულებიანი ტვიფარიც“ (*Бардачелидзе 1957*: 143).

სვანეთის ტრადიცული ყოფა გამორჩეული იყო რელიგიური დღეობების სიმრავლით. ყოველ დღეობას საეკლესიო კალენდრიდან გამომდინარე სარიტუალო დატვირთვა პქონდა და ლოცვის აუცილებელ ატრიბუტს საწესო-სარიტუალო პური „ლემზირი“ ახლდა. „ლემზირი“ იყო ცენტრალური შესაწირავი, თუმცა არსებობდა სხვა სახის შესაწირავებიც: მაგალითად, ბარბარობისადმი მიძღვნილი დღეობისთვის ცხვებოდა ორამხოლოდ ლემზირები, არამედ იხარშებოდა „მუჯორ“- (კანაფის დანაყილი და მოხარშული მარცვლებისა და თაფლისაგან დამზადებული სარიტუალო კერძი) და იხარშებოდა „თესლ“-ი (კორკოტი). ბარბარობის რიტუალის აღწერისას ვ. ბარდაველიძე ახსენებს ცალკეულ სადღეობო შესაწირებს: მელენიაშ ლემზირ, მეშგალიაშ ლემზირს (*ბარდაველიძე 2006*: 13), რაც გულისხმობს ცაკეული ოჯახის წევრებისაგან (მათი საშინაო საქმეებიდან გამომდინარე) მიძღვნილ „ლემზირებს“ წმიდა ბარბარესადმი. ქრისტეშობის დღესასწაულზე, სადიღობისას დაკლავდნენ ღორს, აცხობდნენ ლემზირებს, სადამოსაც ჯერ მიცვალებულთა სულებს დაუკურთხებდნენ მოხარშულ ხორცს, ლემზირებს და შემდეგ ივახშმებდნენ (აბაკელია *1997*: 23).

ვ. ბარდაველიძე ასევე აღწერს საოჯახო//საქალებო ლოცვის (ქორაშ ლიმზერის) რიტუალს, რომელსაც ქალები მართავდნენ: სახლის უფროსი ქალი გამოაცხობდა ყველიან პერებს, რიცხვით იმდენს, რამდენიც ოჯახში მოწიფეული ქალი იყო, შემდეგ მიწაზე ან ფიჩქზე დააწყობდა, სანთელს ხელში დაიჭერდა, წელში მოიხრებოდა, სანთელსა და კვერს კერას შემოატარებდა სამჯერ და ლოცვას ამბობდა. ქორაშ

ლიმზირების გამართვა იცოდნენ სამუშაო დღეებში მაშინ, როცა საქმე კარგად ვერ მიღიოდა და ოჯახს დოვლათი აკლდებოდა, ან ოჯახის წევრები ერთმანეთში ვერ რიგდებოდნენ – ამ რიტუალს მარხვაში იშვიათად ატარებდნენ, მაგრამ თუ უნდა ჩატარებულიყო, მაშინ ქალები სამარხვო კვერებს აცხობდნენ (ბარდაველიძე 2006: 11).

ივანე ჯავახიშვილი ახსენებს დღესასწაულს „ახალ-კირაად“ წოდებულს, რომელიც აღდგომის პირველ კვირას იმართებოდა. ამ დღესასწაულზე იკრიბებიან ჯვარდაწერილი დედაკაცები, დანიშნულ ადგილას ამოდიან, აცხობენ კვერებს, სამს დიდს სწირავენ დვთისმშობელს, სამი პატარა კი მიაქვთ დანიშნულ ადგილას, რომელსაც „ლამზირს“ უწოდებენ და რომელიც „მიწის სალოცავს“ წარმოადგენს. ამ ადგილთან მისვლა ყველა ქალს არ შეუძლია – „ლამზირისაკენ“ მხოლოდ სამი ხნიერი და პატივცემული ქალბატონი მიემართება წმინდა სანთლებითა და პატარა ნაკვერჩხლებით. მისვლისთანავე სამჯერ მოწიწებით მოიყრიან მუხლს და სანთლის ნატეხებს ნაკვერჩხალზე ყრიან. „ისინი დახოქილნი ევედრებიან დვთაებას „მამაკაცთა სქესის სიმრავლეს“. ივანე ჯავახიშვილი „ლამზირს“ „მიწის სალოცავს“ უწოდებს და განმარტავს, რომ იგი ნაყოფიერებისა და შვილიერების მფარველი დვთაებაა, რომელიც წარმართული რწმენის თანახმად, დედამიწის სახით არის წარმოადგენილი და ქრისტიანობის შემოღებისთანავე დვთისმშობლის ცნებით იცვლება – აქედან გამომდინარე, მისი განმარტებით, იმ სამ ხაჭაპურს სწორედ დვთისმშობელს სწირავენ (ჯავახიშვილი 1974: 131).

მირი „მზირ“, როგორც ვხედავთ, უძველესი საწესო წვეულების ამსახველი რიტუალის სახელწოდებაა. მეცნიერთა ბოლოოდროინდელი კვლევების მიხედვით, „არ არის შემთხვევითი“ როცა „ქართველური სიტყვის ფუძეები ფონეტიკურად ემთხვევა ერთმანეთს ან ახლოსაა ერთმანეთთან“ – „ხშირად ის ფუძეები, რომლებიც ენათმეცნიერებაში დამოუკიდებელ ფუძეებადაა მიჩნეული,

სინამდვილეში ერთიანდება განტოტილ ერთობლივ კანონებში“ (ვახანია 1993: 106-107). სწორედ ამ პრინციპით დაგუავდირეთ „მზირ-მზერ-“ შემდეგ ქართულ ძირებს: „მზე“, „ზერ-ზირ“, „ზუერ-“.

ივანე ჯავახიშვილი „მზეს“ მიმღეობად, ზედსართავ სახელად მიიჩნევს და იშველიებს სულხან -საბა ორბელიანის ცნობას. ლექსიკოგრაფს თავის ნაშრომში შეტანილი აქეს კვირა დღის აღმნიშვნელი სახელი „მზირა“, რომელიც განიმარტება, როგორც „კვირიაკე, საუფლო“ – „უეჭველია „მზირა“ კვირა დღის სახელის პირველი ნაწილი უნდა იყოს და მას დღე აქეს ჩამოცილებული. ამრიგად, კვირა დღის სახელად ოდესაც „მზირა დღე“-ც უნდა ყოფილიყო“ (*ჯავახიშვილი 1979*: 164).

ივანე ჯავახიშვილი სამწერლობო ენაში დადასტურებულ ფორმას – „მზე“ – უპირისპირებს დიალექტურ „ბჟას“, რომელიც, თავის მხრივ, „ეას“, „ეეს“ სახითაც არის წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ თავკიდურ „მ-ს პირვანდელად მიიჩნევს „ბ-სთან მიმართებაში, ივანე ჯავახიშვილი ამ სიტყვას მაინც მიმღეობას უწოდებს (*ჯავახიშვილი 1979*: 165-166). მეცნიერი მეგრულში დაცულ ფორმასთან ახსენებს ჭანური დიალექტის „მჟორა“ ვარიანტს, რომელსაც „მჟარა“ ფორმისაგან ნაწარმოებად წარმოადგენს და აქვე ახსენებს მეგრულის მრავლობით რიცხვში დაცულ ფორმას: „ბჟალა“. ამ ორი ვარიანტის შედარების საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილი ასკვნის, რომ „მზირა (მზერა)“ ფორმა „მზის“ თავდაპირველი ვარიანტია (*ჯავახიშვილი 1979*: 166).

„მზესთან“ დაკავშირებით გ. კლიმოვიც გამოიქვამდა ვარაუდს, რომ შესაძლოა ეს ძირი მიმღეობა ყოფილიყო და მაწარმოებლებად „მე—ე“ აფიქსებს გამოყოფვდა. მისი ვარაუდით, ძირის ფონემა უკავშირდება „ნათებას, ბრწყინვას“ (*Климов 1964*: 134), ახუ შუქის გამოკრთომას, გამოღებას, გამოშუქებასა და ლაპლაპს, რომელსაც ძველ ქართულ ში „მზინვა“, შემდეგ „მზინვა“ ეწოდებოდა (*ჯავახიშვილი 1979*: 166). 1998

წელს გამოცემულ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში გ. კლიმოვმა „უკეთ ფორმა „მზუარე“ აღადინა („მზიანი მსარე“) – ქართულში: მზორე, ლაზური: (მ)უორა – ბჟორა, უურა- (მზე) სვანურში: მეჯარ–(მზიანი) (ლიმოვ 1998: 121). როგორც ვხედავთ, მეცნიერი „მზუარე“ ფორმას ლაზურის „მჟორა“ ვარიანტს ადარებს, რომელიც დღესაც „მზის“ გამომსახულია ამ დიალექტში. ამ პრინციპით, ანუ ამ სემანტიკის მიხედვით აღადგენენ ჰ. ფენიცისი-ზ. სარჯველაძე ძირს: „ზ/უს“, რომელიც სწორედ ქართული „მზუარეს“ შესატყვისად ლაზურის „მ-ჟორ-ა//მ-ჟურ-ა//ბ-ჟორ-ა//მ-ჟ-უ-ა//მ-ჯ-ორ-ა“ ფორმებს გულისხმობს. ჰ. ფენიცისი ზ. სარჯველაძე - აღადგენენ ძირს: „მზეს“ (ქართული: მზე, მეგრული: ბჟა/მჟა (ჟა-შხა<*შეა-შ-დლა-„კვირადლე“); ლაზური: მჟა/ბჟა (ბჟა-ჩხა/მჟა-ჩხა „კვირადლე“); სვანური: მიუ/მეუ“ (მიუ-ლადლე „კვირადლე“) (ფენიცისი... 1990: 216).

მეცნიერები ასევე აღადგენენ ქართულ ძირს: **ზერზირ-ხ**, რომლის შესატყვისებია ქართული: მ-ზერ-ა, უ-მ-ზირ-ა; მეგრულში: ძირ- (ძირაფა, „ხედვა, შეხედვა“); ლაზურში: ძირ-ზირ-(ოძირ-უ, „ხედვა“, ბზირი//, ვნახე, ვიპოვე“) (ფენიცისი... 1990: 131). ისინი აღადგენენ **ზუერ**-ძირს ორგვარი სემანტიკით: ერთ შემთხვევაში, იგი „ბაჟის“ (მეზუერე-მებაჟე) მნიშვნელობით აღდგება და სვანურში **ზუერ-ზურ-** (ლი-ზუერ „შეკრება“) ძირს შეესატყვისება (მეგრულში ზირ-ხ, რომელიც, თავის მხრივ, ხარკის აკრეფას, ზირილი – „შეკრებილს“ ნიშნავს), ხოლო **ზუერ**(მოზვერი) ლაზურში ადასტურებს შესატყვის ძირს: ზარ-/ზა-(დედალი ხბო) (ფენიცისი... 1990: 132).

ამ ძირთა განტოტების, თუმცა საერთო წარმომავლობის დასტურად, შეიძლება, მივიჩნიოთ ნ. მარის პვლევა: სემანტიკურ ერთეულ „თვალ-ხ“ („глаз“) მეცნიერი უკავშირებს სიტყვა „თოვარეს“ („луна“). მისი განმარტებით, ადრე ეს სიტყვა სავარაუდოდ გამოხატავდა ცნებას „смотреть, видеть“. ქართულ სიტყვა „მზეს“ იგი აღარებს ბზერ-/მზერ- დიალექტურ ფორმებს

და ასკვის: „помимо формального его оправдания „законом“ сравнительной грамматики, решительно поддерживается тем же палеонтологическим положением, т. е. „солнце“ как „луна“ микрокосмически значило „глаз“ и от „глаза“ происходит „смотреть“ и действительно „смотреть“ по-грузински „მზერა“ (диалектически ბზერა) (*Mapp 1937: 50*).

როგორც ვხედავთ, ნ. მარი პირდაპირ აღნიშნავს, რომ სიტყვა მზე, რომელსაც საერთო ფუძე აქვს ზმნასთან „მზერა“, მნათობის გარდა, ოვალსაც აღნიშნავდა. – მეტიც, „მზერა“ სიტყვა წარმოიშვა „ოვალიდან“, ე. ი. „მზის“ (ან „მთვარის“) მიკროკოსმოსური გამოყენებიდან. ამ მხრივ, საინტერესოა ს. მაკალათიას მიერ მთის რაჭაში დადასტურებული წესი: ახალ წელს მონადირეები „იმზნიან“, ე. ი. ნიშანში ვარჯიშობენ და ამის მიხედვით მომავალზე წინასწარმეტყველებენ (*მაკალათია 1930: 74*). ნიშანში სროლის ვარჯიში, ბუნებრივია, გულისხმობს მზერას, ოვალს – მეტიც, მზერის სიმარჯვესა და სისწავეს.

საერთოდ, ნ. მარს „მზე“ საერთოქართველურ სიტყვად მიაჩნია და აღნიშნავს, რომ მეგრული ეკვივალენტი „ბჟა“ მრავლობითი რიცხვის ფორმაში წარმოდგენილია, როგორც „ბჟალ-ეფი“, ე. ი. სიტყვა აღიდგენს დაკარგულ ნაწილს და მის შესატყვისად ქართულში აღდგება სწორედ ფუძე „მზერ-“: „слово востанавливает утраченный плавный звук, и, следовательно, грузинский эквивалент безукоризненный должен бы звучат მზერ-/ბზერ-, т. е. Архетип слова მზე მზე, народно ბზე ბზე „солнце“ звучит как явно двухэлементное слова именно მზერ-/ბზერ-“ (*Mapp 1937: 49*).

მეცნიერები ასევე აღადგენენ ქართულ ძირს: **ზერ-ზირ-ს**, რომლის შესატყვისებია ქართული: მ-ზერ-ა, უ-მ-ზირ-ა; მეგრულში: ძირ- (ძირაფა, „ხედვა, შეხედვა“); ლაზურში: ძირ-ზირ- (ოძირ-უ, „ხედვა“, ბზირი//, გნახე, ვიპოვე“). (*ვენტიბი... 1990: 131*). ისინი აღადგენენ **ზურ-ძირს** ორგვარი სემანტიკით: ერთ შემთხვევაში, იგი

„ბაჟის“ (მეზუერე-მებაჟე) მნიშვნელობით აღდგება და სვანურში ზუერ-/ზურ- (ლი-ზუერ „შეკრება“) ძირს შეესატყვისება (მეგრულში ზირ-ს, რომელიც, თავის მხრივ, ხარკის აკრეფის, ზირილი – „შეკრებილს“ ნიშნავს), ხოლო ზუერ- (მოზვერი) ლაზურში ადასტურებს შესატყვის ძირს: ზარ-/ზა-(დედალი ხბო) (ჯენრისი... 1990. 132).

ლ. ნადარეიშვილი „ზუერ-/ზორ-“ ფუძეთა შემცველ სიტყვებს შემდეგნაირად აჯგუფებს: ქართული: „ბაჟი, ხარკი, გამოსაღები“; მეზუერ „მებაჟე, ხარკის ამკრეფი“; საზუერე „საბაჟო“. ამავე ძირს უკავშირებს მეცნიერი ძველ ქართულში დაცული ფორმას „ზორგას“, რომელიც „მსხვერპლის შეწირვას“ ნიშნავს. სვანურში ამ ძირის შემადგენელი ფორმებია: ლიზვერ-ლიზვრი „შეგროვება, მოგროვება, აკრეფა“; მუზვრი „შემკრები“ – გადასახადის, წყლის. ლიზოზორე „შეგროვება“, ლიზვრი „(ხალხის) თავმოყრა, შეკრება“, ლუზვერ „შეგროვილი, ლიზზორალ „შგროვება, შეკრება, თავმოყრა“. მეგრულში ზორ- ძირის შესატყვისია ზირუა „შეგროვება“ (ნადარეიშვილი 1975. 113-114).

ზ. ვახანია სულხან-ხაბა ორბელიანის ლექსიკონში დაცულ სიტყვას „ოზირის“ („ნართავთა დიდი შულო“ – მატყლის ან აბრეშუმის ძაფის ნართავი, ლამაზად დახვეული დიდ შულო, რომელიც წარმართული დავთაებისთვის შესაწირავი ნივთი იყო) და ზანური წარმომავლობის ძირს „ო-ზირის“/ზირ-ზირუა („შეგროვება, მოგროვება“), ოზირალი (ძეგარა) ერთმანეთს უაგამირებს და იზიარებს თვალსაზრისს, რომ ამ ძირთა მონათესავეა სწორედ ძველი ქართული ძირი „ზორგა“ („მსხვერპლად მიტანა, მსხვერპლშეწირვა, მსახურება“). მისი აზრით, ამ ქართველური ძირის თავდაპირველი მნიშვნელობა იქნებოდა „საწესო ძღვენი, ძღვენის შეგროვება ჯვარ-ხატისათვის, სადღესასწაულოდ მისთვის შესაწირავად“ (ვახანია 1993. 116).

ზ. ვახანია განიხილავს ძირ „ზვარსაც“, რომელიც „დიდი ვენახი“, „მზიანი, საუკეთესო ვენახია“, რომელშიც ყველა მეოქმე ერთად მუშაობდა, უსასყიდლოდ, ჯვარ-

სატის საზერედ და რომლისგანაც მოიწეოდა **საზედაშე დვინო** – ეთნოგრაფიული კვლევებითაც დასტურდება, რომ ზვარი სამეფო, სათავადო, საეკლესიო ან სამონასტრო ვენახია. ყველა ოჯახი ამზადებდა ოზირს, ოზირალს, ნაწილიან პირუტყვს და სხვა საზერეს, რომელსაც კრეფდა საგანგებო მოხელე – მეზვერე – მაზირალი. საზერე ნივთ-საქონელი და ზოგჯერ, პირუტყვთა მაგივრად მათი საწესო გამოსახულებით (რომელიც ან ცომისაგან ცხვებოდა, ან ყველისაგან კეთდებოდა) იყო საახალწლო სუფრისა თუ მეკვლის მისართმევი ხონჩის აუცილებელი ნაწილი – ოჯახის კეთილდღეობის, გამრავლებისა და **საქონლის ნაყოფიერების საწინდარი (განანია 1993: 117)**.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ზურ-ქართ. ზუერ-** ძირის სხვა ვარიანტს ზარ-ზა (ლაზურში „დედალი ხბო“) შეესაბამება. ზ. ვახანიას ამ ნაშრომის მიხედვით ზუვერის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს „საგანგებოდ ნასუჟი პირუტყვი“ წარმოადგენს. სწორედ ამ ფუძის შესატყვისად მიიჩნევს მეცნიერი მოხეურ-მთიულეურში დაცულ ფორმა „ზორას“ (ხატისთვის შეთქმული მოზვერი): ზუარა//ზვარა-ზვარაკი-ნასუქარი სამსხვერპლო ზვარაკი (განანია 1993: 117). საერთო-ქართველურ საზოგადოებასა და სახელმწიფო მოხელეთა ინსტიტუტზე საუბრისას მ. ქურდიანი აღნიშნავს, რომ „საერთო-ქართველური ტერმინის („მებაჟე“) არსებობა ბაჟის, ხარკის ამკრეფის აღსანიშნავად მეტყველებს როგორც იმუამინდელი სამეურნეო და სავაჭრო ურთიერთობის აქტიურ ხასიათზე, ასევე სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკურ კონტრტოლს მასზე და მის მნიშვნელობაზე სახელმწიფო ხაზინისათვის“ (ქურდიანი 2000: 346-347). საერთო-ქართველური ძირი *მეზუერე ქართულში წარმოდგენილია, როგორც მეზვერე, მებაჟე; სვანურში – მეზუერ, შემკრები; ზანურში – მაზირალი, მებაჟე (ქურდიანი 2000: 346-347).

ამრიგად, თუ ერთ სემანტიკურ ველში მოვაქცევთ ამ ძირთა მონაცემს, მივიღებთ შემდეგ სურათს: 1.

ბრწყინვა, ნათება, ლაპლაპი, ნათელი; 2. ხედვა, პოვნა, ნახვა; 3. შეკრება, დაგროვება, ბაჟი, ხარჯის აკრეფა, ბეგარა, თავმოყრა; 4. ვენახი; 5. სამსხვერპლო პირუტყვი.

ეს სემანტიკური განტოტება (მზერ-/მზირ-/ზერ-/ზირ-/ზურ) ერთი საერთო ძირისაგან მომდინარეობს: ამ ძირის პირვანდელი მნიშვნელობა სვანურ ყოფაში დაცული საწესო რიტუალს უნდა უკავშირდებოდეს. „მზერ-მზირ-მზურ-“ ფორმები სვანურ ყოფაში შენარჩუნებულია შემდეგი მნიშვნელობის მქონე სიტყვებში: **ლოცვა** (ლიმზირ-), ნალოცი, შენაწირი (ნამზურ-), **შესაწირავი** (ლემზირ), **სახლის ფუძის მფარველი ღვთაება** (მეზირ-). სვანურ ყოფასა და ლექსიკაში დაცული ძირი თავისივე განტოტებებით საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ ამ სიტყვის წარმომავლობა სწორედ საწესო-სარიტუალო ყოფის – კერძოდ, ლოცვისა და სალოცავის, სალოცავისათვის შესაწირად გაღებული, დაგროვებული თუ საგანგებოდ მომზადებული არსის გამომხატველი სიტყვა უნდა ყოფილიყო. ეს ფუძე, თავისთვად უკავშირდება საუფლო დღეს, კვირიაკეს ადმნიშვნელ თავდაპირველ სიტყვას „მზირა“.

დამოწმებული ლიტერატურა:

- აბაკელია 1997** – აბაკელია ნ. სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბ., 1997.
- აბაკელია, ალაგერდაშვილი, დამბაშიძე 1991** — აბაკელია ნ., ალაგერდაშვილი ქ., დამბაშიძე ნ. ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი. თბ., 1991.
- ბარდაგელიძე 1939** – ბარდაგელიძე გ. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. თბ., 1939.
- ბარდაგელიძე 2006** – ბარდაგელიძე გ. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბ. 2006.
- ბარდაგელიძე 1953** – ბარდაგელიძე გ. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბ., 1953.
- გუჯეჭიანი 2007** – გუჯეჭიანი რ. ერთი ეთნოგრაფიული ნივთის შესახებ (დასტაგი-დაგი-ლადგი). კრ.: ეთნოლოგიური ძიებანი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი. III. თბ., 2007.
- გახანია 1993** – გახანია ბ. საწესო ცნობიერება და სიტყვების წარმომავლობა. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია. №2. თბ., 1993.
- მაკალათია 1930** – მაკალათია ს. მთის რაჭა. ტფ., 1930.
- ნადარეიშვილი 1975** – ნადარეიშვილი ლ. საერთო ქართველური ლექსიკიდან. მაცნე, ქართული ენისა და ლიტერატურის სერია. №4. თბ., 1975.
- ორბელიანი 1991** – ორბელიანი ს. ლექსიკონი ქართული. თბ., 1991.
- ფენრიხი...** 1990 – ფენრიხი პ., სარჯეველაძე ზ. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბ., 1990.
- ქურდიანი 2000** – ქურდიანი გ. საერთო-ქართველური საზოგადოების სოციალური სტრუქტურა და სამეცნიერო ყოფის ზოგიერთი საკითხი

- ენობრივი მონაცემის მიხედვით. ქართველური
მემკვიდრეობა. IV. ქუთაისი, 2000.
- ჩიქობაგა** **1938** – **ჩიქობაგა არბ.** ჭანურ-მეგრულ-ქართული
შედარებითი ლექსიკონი. თბ., 1938.
- ჩიქობაგა** **1952** – **ჩიქობაგა არბ.** ენათმეცნიერების
შესავალი. თბ., 1952.
- ღლონტი** **1984** – **ღლონტი ალ.** ქართულ კილო-ტქმათა
სიტყვის კონა. თბ., 1984.
- ჯავახიშვილი** – **ჯავახიშვილი ი.** ქართველი ერის
ისტორია. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. I.
თბ., 1979.
- ჯავახიშვილი** **1950** – **ჯავახიშვილი ი.** საქართველოს,
კაგებისისა და მახლობელი აღმოსავლეთის
ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბ.,
1950.
- Бардавелидзе 1957 – Бардавелидзе В. В.** Древнейшие
религиозные верования и обрядовое графическое
искусство Грузинских племен. Тб., 1957.
- Климов 1964 – Климов Г.А.** Этимологический Словарь
Картвельских Языков. М., 1964.
- Mapp 1937 – Mapp Н. Я.** Избранные работы. IV. 1937.
- Mapp 1913 – Mapp Н. Я.** Из поездок в Сванию. Хри-
стианский Вопрос. Т. II, вып. I. СПб., 1913.
- ლიძმება** . **1998** - **ლიძმება .** ტიმოლოგიცალ
იცტიონარე თფ ტჰე არტველიან ანგუაგეს,
ერლინ/ ეწ თრკ., 1998.

მირიან ხოსიტაშვილი

დემოგრაფიული მდგომარეობის საკითხები თბილისში და მის შემოგარენში

საქართველოს დემოგრაფიული განვითარება დიდი თავისებურებებით ხასიათდება, შეიძლება ითქვას რომ ერთგარად ერთმანეთის საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე. ერთის მხრივ საქართველო ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყანაა, ხოლო, მეორე მხრივ, იგი დემოგრაფიულად განვითარებულ ქვეყანათა რიგს მიეკუთვნება. საქართველოშიც ისევე მცირდება შობადობა, როგორც ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში.

ბოლო წლების მანძილზე გამოიკვეთა საკმაოდ არასახარბიელო პროცესები, რაც მიგვანიშნებს ერის დემოგრაფიულ დაბერებაზე. ერთობ საგულისხმო ფაქტია ის, რომ სამხრეთ კავკასიაში სადაც სომხები, აზერბაიჯანელები და ქართველები ცხოვრობენ, ქართველთა დემოგრაფიული განვითარება მკვეთრად განსხვავდება დანარჩენი ორი ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებისაგან. შობადობის ტემპი აზერბაიჯანში და სომხეთში ბევრად მაღალია, ვიდრე საქართველოში. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება გასული საუკუნის შუა პერიოდშიც განსხვავებული იყო მეზობელ ქვეყნებთან შედარებით. საქართველოს დემოგრაფიული მაჩვენებლები არა მხოლოდ სომხეთთან და აზერბაიჯანთან მიმართებაში აქვს უარესი, არმედ მის მეზობელ ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებთან შედრებითაც. მოსახლეობის ბუნებრივი მატების დონე დაღესტანის, ყაბარდო-ბალყარეთში, ინგუშეთსა და ჩეჩენეთში თითქმის ორჯერ მაღალია, ვიდრე ჩვენ ქვეყანაში. შეიძლება ითქვას, რომ კავკასიაში მცხოვრებ ერთა შორის საქართველოს გამრავლების ყველაზე უარესი მაჩვენებელი გააჩნია (თოთაძე 1999: 65). ეს ის პროცესია, როდესაც შობადობა იკლებს, ხოლო

სიკვდილიანობის მაჩვენებელი მკვეთრად მატულობს. ზოგიერთ ქვეყანაში უკვე დაიწყო მოსახლეობის დეპოპულაცია, მოკვდაობამ გადაჭარმა შობადობას, რაც, რა თქმა უნდა, ერის არსებობას საფრთხეს უქმნის.

ამ ფონზე ძალზედ მნიშვნელოვანია საქართველოს დედაქალაქის და მისი შემოგარენის დემოგრაფიული მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი გახული საუკუნის მაგალითზე. ამ პროცესების გაანალიზების საფუძველზე საჭიროა სამომავლო პერსპექტივების დასახვა.

თბილისის მიდამოებში ხალხი უძველესი დროიდან ცხოვრობდა. არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება რომ აქ მოსახლეობას უწყვეტად უცხოვრიათ ძველი წეთაღრიცხვის IV ათასწლეულიდან. თბილისის არსებობის მანძილზე უამრავ შემოსევისთვის გაუძლია; ეს კი უარყოფითად მოქმედებდა მოსახლეობის გამრავლებაზე, მიუხედავად ამისა თბილისი მაინც იყო სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთი დიდი ქალაქი.

XIX საუკუნეში რამდენჯერმე ჩატარდა თბილისის მოსახლეობის აღწერა. მეცნის რუსეთისთვის თბილისი ახლად შეერთებული მხარის სამხედრო ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა. 1803 წლის იანვარში სამხრეთ კავკასიაში პირველად თბილისის მოსახლეობის არწერა შედგა, რომლის მონაცემებითაც თბილისში 20 ათასი კაცი ცხოვრობდა. ეს ცნობა დამყარებულია კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების მეორე ტომში გამოქვეყნებულ მასალაზე. ამავე მონაცემებზე დაყრდნობით ჩვენთვის შესაძლებელი ხდება გავუცნოთ თბილისში მცხოვრები მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას. თბილისში ამ დროითვის უცხოვრია 2915 კომლს, აქედან ქართველია 634 ოჯახი, სომები – 2195, თათარი – 66, ბერძენი – 19, რუსი – 1. მნიშვნელოვანია რომ ამ აღწერაში არ შედის თბილისში მყოფი ჯარი და რუსი მოხელები მათი ოჯახების ჩათვლით. თბილისის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე საუბრისას სახურველია აღინიშნოს, რომ მთელი XIX საუკუნის მანძილზე ქართველი თავადაზნაურობა თბილისში მუდმივად არ ცხოვრობდა.

დიდგვაროვანთა უმრავლესობა, ვისაც საცხოვრებელი სახლები ჰქონდა თბილისში, ფაქტობრივად საკუთარ მამულებში ცხოვრობდა. ასე რომ, საქმე გვაქვს იმ მოვლენასთან როდესაც თავადი თავისი ოჯახობით და მოსამსახურებით თბილისშიც იყო და თავის მამულშიც. სავარაუდოდ ისინი აღწერაში ვერ მოხვდნენ. ამით იყო გამოწვეული 1803 წლის აღწერაში დისპროპორცია ეთნიკურ სომებთა და ქართველთა რაოდენობის მაჩვენებელებს შორის (**კაგურია 1979: 17**).

თბილისში 1803 წლის მოსახლეობის აღწერის შემდეგ, 1864 წლამდე ქალაქის მცხოვრებთა შემადგენლობის რაოდენობის დადგენისთვის იმ დროინდელ მოხელეებს არავითარი სამუშაოები არ ჩაუტარებიათ. მიუხედავად ამისა, აღნიშნული დროის მონაკვეთის შესახებ გარკვეული მონაცემები მაინც არსებობს. პირველ რიგში ესაა პოლიციის მონაცემები და ცალკეული პირების დაკვირვებები. საყურადღებოა, რომ 1834 წელს მეფის მოხელეს ვინმე ვიშესლავცევს ჩაუტარებია მოსახლეობის კამერალური აღწერა, რომლის მიხედვითაც ქ. თბილისში ყოფილა 4936 კომლი, ხოლო მოსახლეობის რიცხოვნობა სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეთა ჩათვლით 25682 სული. 1864 წელს ჩატარდა თბილისის მოსახლეობის ერთდღიანი კამერალური აღწერა, აღწერის მონაცემები კი გადამოწმდა 1865 წლის ზაფხულში. გადამოწმების მიზანი იყო დაედგინათ ქალაქში არაოფიციალურად მაცხოვრებელთა რაოდენობაც. ამ მიზნით სახლების მფლობელებისათვის დაურიგებიათ სააღრიცხვო ბარათები, რომელშიც უნდა მიეთითებინათ მათ კუთვნილ სახლებში მცხოვრებთა რეალური რაოდენობა.

1864 წელს აღწერით თბილისის მოსახლეობა 60 ათასს უდრიდა, აქედან 33433 მამაკაცი ხოლო 26652 ქალი. 1865 წელს 71051 მცხოვრები აღირიცხა – 44071 მამაკაცი და 26980 ქალი. მოსახლეობის აღწერისას სიზუსტისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს აღწერის დროს, არჩევენ წელიწადის ისეთ დროს, როდესაც მოსახლეობა ნაკლებად გადაადგილდება. (კაგურია 1997: 25) ასეთ

დროდ კი ზამთარი მიიჩნევა, რადგან დროის ამ მონაცემთში დროებით მოსულთა რიცხვი შედარებით ნაკლებია. ამიტომაა დოდი სხვაობა თბილისის 1865 წლის აღწერასა და 1864 წლის აღწერას შორის. ხუთი-ექვსი თვის შემდეგ ჩატარებულმა აღწერამ 11 ათასი ადამიანით მეტია დააფიქსირა. ბუნებრივია ასეთი მატება ბუნებრივი გამრავლებით წარმოუდგენელია, მატება გამოწვეულია საგაჭროდ, სამუშაოდ საშოვარზე ჩამოსულ ადამიანთა ხარჯზე, ვინაიდან, ცნობილია, რომ ზემოთ ნახსენებ 11 ათასი ადამიანიდან დიდი უმრავლესობა მამაკაცი იყო. აშკარაა, რომ 1864 წლის და 1865 წლის მოსახლეობის აღწერები არაზუსტია, ვინაიდან აღწერის მასალები ეყრდნობა მხოლოდ იმ სახლის მფლობელთა მიერ მიწოდებულ მონაცემებს. ამდენად ზემოთ აღნიშნული რაოდენობა მხოლოდ მიახლოებითია და რეალურ მაჩვენებლისაგან მთლად დაშორებულიც არ უნდა იყოს.

1876 წელს 25 მარტს თბილისის მოსახლეობის ერთდღიანი აღწერა ჩატარდა. რომელსაც სელმძღვანელობდა სპეციალურად შექმნილი სააღრიცხვო კომიტეტი. მოსახლეობის აღრიცხვა ჩატარებულა როგორც საცხოვრებელ. ისე არასაცხოვრებელ შენობებში: ყაზარმებში, სამხედრო ჰოსპიტალებში, საავადმყოფოებში, მოედნებზე, ბაზრებში, და ყველგან სადაც ადამიანები იყრიდნენ თავს და შესაძლო დამეს ათევდნენ. 1876 წლის აღწერა გაცილებით დეტალური იყო, ვიდრე წინა წლების აღერები. სააღრიცხვო ფურცელი საგაოდ დეტალურ ინფორმაციას ატარებდა. ამ აღწერის მიხედვით თბილისის მოსახლეობა 104. 024 ათასს უდრიდა, აქედან მამაკაცი იყო 66147 ათასი, ხოლო 37877 ათასი – ქალი. 1876 წლის აღწერისას სააღრიცხვო ფურცელის ერთი გრაფი ეთმობოდა ეროვნებას, თბილისის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ასეთია: ქართველი – 22. 233, სომეხი – 37. 610, რუსი – 30.823, პოლონელი – 2. 741, თათარი – 2. 502, გერმანელი – 2.135, სპარსელი – 1. 692, ებრაელი – 1. 305, ბერძენი – 417, სხვა ეროვნება – 2566. თბილისი ყოველთვის იყო

მრავალეთნიკური ქადაქი. თბილისში ქრისტიან ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ თაორები, გრიგორიანელი სომხები, რუსები, ებრაელები და სხვა (თოთაძე 1999: 152).

სომხები თბილისში მასობრივად სახლდებიან XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან, განსაკუთრებით იმ პერიოდში როდესაც ირანში და თურქეთში ძალზედ შეავიწროვეს. სწორედ დევნა იყო მთავარი მიზეზი სომხები მოსახლეობის თბილისში გადმოსახლებისა, რომელიც მთელს XIX საუკუნეში გრძელდებოდა. ამავე დროს, საყოველთაოდ ცნობილია, რომ თბილისელი სომხების მნიშვნელოვანი ნაწილი სინამდვილეში მონოფიზიტი ქართველები იყვნენ, რომლებსაც ხელისუფლება ეთნიკურ სომხებად მიიჩნევდა. თბილისში XIX საუკუნის დასაწყისიდან აქტიურად იწყება რუსების დასახლება. რუსების რაოდენობა თბილისში 1803 წლის 1,9 ათასიდან ნაცვლად 1897 წელს 45 ათასამდე გაიზარდა. ბუნებრივია ეთნიკური რუსების ასეთი მატება პოლიტიკური ფაქტორით იყო გამოწვეული; იმ დროს თბილისი იყო მთელი სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური ცენტრი და კავკასიის მეფის ნაცვლის რეზიდენციაც სწორედ თბილისი იყო.

XIX საუკუნის ბოლო აღწერა 1897 წელის 28 იანვარს ჩატარდა, რომლის მიხედვითაც თბილისის აღგილზე მყოფი მოსახლეობა 159. 590 სულს შეადგენდა, მათ შორის 95. 240 მამაკაცს და 64. 350 ქალს. ეს აღწერა ეთნიკურობას არ ითვალისწინებდა. თუმცა, ცხადია, რომ როგორც წინა პერიოდში, ამ დროსაც თბილისის მოსახლეობის ძირითად ბირთვს ქართველები, სომხები და რუსები წარმოადგენდნენ. როგორც ირკვევა, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში თბილისის მოსახლეობა ინტენსიური მექანიკური ზრდით ხასიათდება. 1876 წლიდან 1897 წლამდე 21 წლის მანძილზე მოსახლეობის რაოდენობამ 55,6 ათასით მოიმატა. თბილისი XIX საუკუნის მიწურულს უკვე წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ უმსხვილეს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ და სავაჭრო-სამრეწველო ცენტრს, რამაც ბუნებრივ მიზიდულების არიალად აქცია.

თბილისში გაიზარდა სამეურნეო, სამრეწველო დაწესებულებების ქსელი. ამიტომ საჭირო გახდა მომზადებულ მუშაკთა რაოდენობის გაზრდა, სწორედ ასეთი ტიპის მუშაკები იყვნენ მეტწილად რუსები, შემდეგ ქართველები და სომხები, სხვა ეთნოსების ხვედრითი წილი კი შედარებით დაბალი იყო. თბილისში მოსახლეობის მატება გამოიწვია აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსულმა მოსახლებამ, რომლებიც საარსებო გარემოს გაუმჯობესებისათვის ხელსაყრელ ადგილს არჩევდნენ. სწორედ ასეთი ადგილი იყო თბილისი და მის შემოგარენში მდებარე სოფლები.

თბილისის და მისი საგარეუბნო ზონის სოფლების მოსახლეობის შესახებ ძალზედ საინტერესო მონაცემებია „კავკაზის კალენდრის“ 1910 წლის გამოცემაში. ამ მონაცემებით XX საუკუნის დასაწყისში თბილისის მოსახლეობა შეადგენდა 272. 596 ათასს, ასევე უაღესად მნიშვნელოვანია თბილისის მიმდებარე სოფლების მცხოვრებთა მონაცემები, რომელიც აღნიშნულ პერიოდში ასე გამოიყურება: გლდანი – 590 სული, ზემო ავჭალა – 355, ქვემო ავჭალა – 283, დიღომი – 4400, კოდა – 143, კოჯორ – 104, ოქროყანა – 222, ტაბახმელა – 559, წავისი – 709, წყნეთი – 1263, შინდისი – 622, კუმისი – 1635, დიდი ლილო – 874, პატარა ლილო – 409, თელეთი – 233. დასახელებული სოფლები. ცხადია, იმ პრინციპითა აშერჩეული, რომ მათი დიდი უმრავლესობა დღეისათვის თბილისის შემადგენლობაშია და ამ მხრივ მნიშვნელოვანია გავიგოთ. თუ რამდენი იყო მოსახლეობა ერთი საუკუნის წინ თვითვეულ მათგანში და შემდგომი დინამიკა – როგორ განვითარდა თბილისთან შეერთებამდე. „კავკასიის“ კალენდარის“ მონაცემებით, შინდისის, კუმისის და ოქროყანის მოსახლეობას სომები აქვს მიწერილი. თუმცა ცნობილია, რომ ამ სოფლების მცხოვრებლების მკვიდრნი მხოლოდ სარწმუნოებით იყვნენ სომები, ე. ი. ისინი გრიგორიანელი ქართველები იყვნენ.

მთელი XIX საუკუნის მანძილზე, მართალია, სომხების რაოდენობა იზრდებოდა, მაგრამ მოსახლეობის

მთლიან ხვედრით წილთან შედარებით მცირდებოდა. თბილისის სომები მოსახლეობის განხილვისას გასათვალისწინებელია მათი რელიგიური თავისებურებები. საგლეხო რეფორმის გატარებამდე, ბატონების ჩაგვრისაგან თავის დაღწევის მიზნით, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან თბილისში გამოქცეული მართმადიდებელი ქართველები, თავის დაფარვისა და ცხოვრების მოწყობის მიზნით, იღებდნენ სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებას. გლეხებს სომხური ენის უცოდინარობა სომხური მოსახლეობასთან ურთიერთობას ხელს არ უშლიდა, ვინაიდან სომხები თბილისში ქართულად საუბრობდნენ, მეტიც მათმა დიდმა ნაწილმა სომხური საერთოდ არ იცოდა.

თბილისი ყოველთვის წარმოადგენდა სავაჭრო ურთიერთობების საკვანძო ადგილს, მეფის რუსეთის დროს თბილისში ვაჭრობის მხრივ დაწესდა გარკვეული შედაგათები, რამაც ეს დარგი კიდევ უფრო მომგებიანი და აქტიური გახდა, თბილისში ნელ-ნელა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში იწებოდა ფეოდალური საზოგადოების რდვევა და ფეოდალური არისტოკრატიის წვრილი ბურჟუაზიით ჩანაცვლება. სავაჭრო ურთიერთობებში წამყვანი ადგილი სწორედ სომხებს ეპავათ და, ვფიქრობ, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ქართველი მოსახლეობის და, მათ შორის, თბილისის საგარეუბნო ზონის სოფლების მცხოვრებთა ნაწილის „გასომხება“ სწორედ ამიტომ ხდებოდა. 1897 წელს ი. გოგებაშვილი ამბობდა რომ თბილისში მცხოვრებ მდიდარ სომებს სოლოლაკელებს შორის შეიძლება დავასახელოთ არა ერთი და ორი გვარი რომელთა წინაპარნიც ქართველი მართმადიდებელნი იყვნენ.

თბილისში და მის შემოგარენში ეთნიკური სურათი XX საუკუნის დასაწყისში და განსაკუთრებით საქართველოს პირველი რესპუბლის (1918-1921) წლებში საგრძნობლად იცვლება. დაიწყო ქართველების მატება. დედაქალაქში ქართველების რაოდენობის გაზრდა შემთხვევითი მოვლენა არ იყო. ამ ფაქტს სხვადსხვა მიზეზი გააჩნია. ქუთაისის როგორც საგუბერნიო

ქალაქის გაუქმებამ 1917 წელს და ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ თბილისში 1918 წელს გამოიწვია ქუთაისის და საერთოდ დასაცლეთ საქართველოდან მცხოვრები ქართველი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილის თბილისში გადმოსახლება. ქართველთა რაოდენობამ თბილისში 1922 წლის აღწერისას გადააჭარბა სხვა ეთნიკურ ერთობათა რაოდენობას.

თბილისის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ უდაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს სტატისტიკის ცენტრალური სამართველოს სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის ნოემბრის აღწერის ჯამები, რის მიხედვითაც აღნიშნული პერიოდისთვის თბილისის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 233. 958 ადამიანს, აქედან 111. 996 მამაკაცი, ხოლო 121. 962 ქალი იყო. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, ქვემოთ წარმოგიდგენილ ცხრილში მოცემულია თბილისში დაიბადებულთა ეთნიკური შემადგენლობა.

ეროვნება	მამრობით ი სქესი	მდედრობი თი სქესი	აბსოლიტურ ი რაოდენობა	%
ქართველი	38932	39272	78204	47,5
სომები	24303	27469	51772	31,4
რუსი	8021	11532	19553	11,9
ებრაელი	2344	2624	4968	3
გერმანელი	610	827	1437	0,9
სპარსელი	832	911	1743	1,1
აზერბაიჯანე ლი	1210	1180	2390	1,4
პოლონელი	433	461	894	0,5
ოსი	705	638	1343	0,8
ბერძენი	364	336	700	0,4
აფხაზი	54	16	70	0,1
კაკასიის დანარჩენი ეროვნება	26	23	49	

(ხემატიხემის ცენტრალური სამართველო.
სრულიად საქართველოს 1923 წლის
სასოფლო-ხამეურნეო აღწერის ჯამები,
დემოგრაფია, თბ., 1926, გვ. II)

ამ მონაცემებზე ბუნებრივია გავლენა მოახდინა საქართველოს ოკუპაციამ საბჭოთა იმპერიის მიერ და საქართველოს მთავრობის ემიგრაციაში წასვლამ.

შემდგომი აღწერა 1926 წელს და 1930 წელს ჩატარდა რომელიც, რა თქმა უნდა, თბილისის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის. თუმცა ჩვენ მხოლოდ 1939 წლის აღწერის მასალებზე შევჩერდებით. ამ პერიოდისთვის თბილისი იყო არა მხოლოდ საქართველოს, არამედ კავკასიის ინდუსტრიული და კულტურული ცენტრიც. ამ ფაქტის დამადასტურებელია მოსახლეობის მკვეთრი მატება და ეთნიკური სურათის სიჭრელე. მოსახლეობის რაოდენობა თბილისში სულ შეადგენდა 519. 220

ადამიანს, აქედან 250 916 მამრობითი, ხოლო 268 304 მდედრობითი იყო. ეთნიკურად კი რაოდენობა მოსახლეობისა ასე გამოიყურება.

ეროვნების დასახელება	სულ	მამაკაცი	ქალი
ქართველი	228. 394	111. 647	116. 747
სომები	137. 331	67 090	70 241
რუსი	93. 337	40 507	52 830
ებრაელი	13 915	6653	7262
უკრაინელი	7 415	4221	3194
ოსი	9328	5126	4202
აზერბაიჯანელი	5874	3405	2469
გერმანელი	5528	2343	3185
ქურთი	4511	2611	1900
ბერძენი	3207	1708	1499
ასირიელი	2986	1531	1455
თათარი	1488	855	633
პოლონელი	1483	575	908
თურქი	516	260	256
ირანელი	494	290	204
აფხაზი	238	183	55
ლევი	210	166	44
ესტონელი	99	45	54
ჩეხენი	38	30	8
სხვა დანარჩენი	2828	1670	1158

(შ. კავურა. თბ., 1979, გვ. 109)

მოყვანილი ცხრილიდან აშგარაა, რომ 1939 წელს თბილისი ეთნიკურად ჭრელი ქალკაქი იყო და ქართველთა ხვედრიდითი წლიც დედაქალაქში მატულობდა. ნახევარ მილიონს თბილისის მოსახლეობამ პირველად სწორედ მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ მიაღწია. 1922 წლიდან მუდმივმა მაცხოვრებლებმა 1939 წლამდე 285 262 ადამიანით მოუმატია, რაც მოსახლეობის მექანიკური ზრდის შედეგი გადლდათ. მიგრაცია თბილისში ხდებოდა როგორ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან, ასევე კავკასიიდან და საბჭოთა კავშირის

სხვა რესპუბლიკებიდან. თბილისი იყო და პლაზ
რჩებოდა მიზიდულობის არეალად. 1939 წელს
დედაქალაქში ითვლებოდა 14 უმაღლესი სასწავლებელი
და 49 ტექნიკუმი, ბევრი სტუდენტი, რომელიც აქ
სწავლობდა ცდილობდა სამუშაო თბილისშივე ეპოვა და
საცხოვრებლადაც აქ დარჩენილიყო. მომრავლებულს
ფაბრიკებს და სხვადასხვა სახის საწარმოებს მუშახელი
ესაჭიროებოდა. შედეგად თბილისის მოსახლეობა
განუსრედად იზრდებოდა, არა მხოლოდ თავად საქალაქო
დასახლებაში არამედ მის შემოგარენშიც. თბილისის
საგარეუბნო ზონაში მოსახლეობის გამრავლება
ნელნელა აქტიურ ფაზაში შედიოდა.

1939 წლის შემდეგ 20 წლის მანძილზე 1959 წლამდე
მოსახლეობის მაშტაბური აღწერა არ ჩატარებულა. რისი
მთავარი მიზეზი მეორე მსოფლიო ომი და მისგან
გამოწვეული მძიმე შედეგები იყო, რაც მძიმე ტვირთად
დაააწვა ჩვენს ქვეყანას და, რასაკვირველია, თბილისსაც.
1959 წელს აღწერა იანვრის თვეში ჩატარდა.

ადსანიშნავია რომ 1959 წელს მოსახლეობის
აღწერის მომენტისათვის თბილისში 7 საქალაქო
რაიონის გარდა, არსებობდა მერვე – საგარეუბნო
სახოფლო რაიონიც.

ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
თბილისის საქალაქო საბჭო	761,391	341,888
ქალაქის მოსახლეობა	689,294	307,026
ქ. თბილისი	680,990	303,141
კალინის რაიონი	60,176	24,839
კიროვის რაიონი	58,821	26,900
26 კომისრის რაიონი	146,184	66,690
ლენინის რაიონი	112, 854	51,562
ოქტომბრის რაიონი	88,833	38,209
ორჯონიქიძის რაიონი	130,746	59,046
		71,700

სტალინის რაიონი	83,376	35,895	47,481
დაბა ავჭალა	8,304	3,885	4,419
მიმდებარე სოფლების მოსახლეობა	72,097	34,862	37,235

(საქართველოს სტატისტიკური ეროვნული
სამსახური საქართველოს წერილი 11-06/210)

როგორც ვხედავთ თბილისის მოსახლეობა 689,294 ათას მაცხოვებელს შეადგენდა, ხოლო მისი მიმდებარე სოფლების მოსახლეობა კი 72,097 ადამიანი იყო. სამწუხაროდ, სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ მონაცემებში არ არის ასახული თუ თბილისის საგარეუბნო ზონის რომელ სოფელში კონკრეტულად რამდენი მოსახლეა. აშკარაა, რომ 1950-იან წლებში თბილისის მოსახლეობა დღევანდელის თითქმის მესამედს წარმოადგენდა. ძალზედ საინტერესოა, რომ 1910 წლის „კავკაზისკი კალენდრის“ მონაცემებით, ჩამოთვლილ სოფლების მოსახლეობის საერთო თბილისის საგარეუბნო სოფლების მოსახლეობიდა XX საუკუნის დასაწყისისთბის თორმეტი ათასზე მეტი იყო, ხოლო 50 წლის შემდეგ, 1959 წლისთვის თბილისის შემოგარენის სოფლების მოსახლეობამ ორმოცდათი ათასს გადააჭარბა. ბუნებრივია, მოსახლეობის რაოდენობის ზრდა მხოლოდ ბუნებრივი გამრავლების ხარჯზე არ მომხდარა, არამედ თბილისის გარდა მისი საგარეუბნო ზონაც გახდა საქართველოს მოსახლეობისთვის მიზიდულობის არიალი.

1970 წელს იანვრის თვეში მთელს საბჭოთა კავშირში და, ცხადია, საქართველოშიც ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. ეს იყო მოსახლეობის მეხუთე აღწერა საბჭოთა რეჟიმის დამყარებიდან. ამ აღწერის შედეგად თბილისში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 889. 000 სულს, მათ შორის 404570 მამაკაცი, ხოლო ქალი 484.450 იყო. ამრიგად, 1959 წლის შემდეგ თბილისის

მოსახლეობა გაზრდილა 194 ათასით. 1970 წლისთვის თბილისის ფართობი შეადგენდა 26,5 ათასს პეტრი. გასული 11 წლის მანძილზე თბილისი გაფართოვებულა 0,4 ათასი პეტრით (კაჯურია 1979: 175. ეს ზრდა მოხდა თბილისის საგარეუბნო ორიტორიის სარჯზე. აღნიშნული პერიოდისათვის დედაქალაქში მიმდინარეობდა საბინაო მშენებლობის მანმადე არნასული მაშტაბები. შეიქმნა დასახლებები სადაც ბინები პროფესიული ნიშნით ნაწილდებოდა.

ქალაქ თბილისის და მისი საგარეუბნო ზონის მცხოვრებთა რაოდენობის ზრდა შემდეგ წლებშიც გაგრძელდა ამ ფაქტის დასტურია 1989 წელს სტატისტიკის სამსახურის მიერ ჩატარებული აღწერა, რომელიც ასე გამოიყერება:

	1989 წლის საყოველთაო აღწერით	
	მოსახლეობის რიცხოვნობა	დასახლების ძირეული მოსახლეობა
თბილისი	1.243.150	
დიდომი	8483	ქართველი
დაბა წყნეთი	3664	
წავისი	1068	ქართველი
შინდისი	1408	ქართველი
ტაბახმელა	1964	ქართველი
დაბა კოჯორი	1465	
კუმისი	1919	ქართველი
წალასური	544	ქართველი
კოდა	2134	რუსი 21%, ქართველი 65%
დაბა დიდი ლილო	4234	
პატარა ლილო	1819	ქართველი
გლდანი	1820	ქართველი

(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული
სამსახური საქართველოს წერილი 11-06-210)

აღსანიშნავია, რომ დედაქალაქის მოსახლეობამ მიღიონ მოსახლეს გადააჭარბა იზრდებოდა საგარეუბნო სოფლების მცხოვრებთა რაოდენობაც; თბილისის მიმდებარე სოფლები კიდევ უფრო მიმზიდველი გახდა საქართველოს მოსახლეობისთვის. ერთის მხრივ ჩამოთვლილ სოფლები სააგარაკე დასახლებებს წარმოადგენს, ხოლო, მეორე მხრივ, მუდმივად საცხოვრებლად ხელსაყრელი იყო ქალაქთან სიახლოების გამო. დამოუკიდებელი საქართველოს მოსახლეობის აღწერა 2002 წელს ჩატარდა მისი შედები ძალზედ მნიშვნელოვანია იმ მხრივ თუ რა შეიცვალა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ.

2002 წლის საყოველთაო აღწერით	მოსახლეობის რაოდენობა	დასახლების ძირითადი მოსახლეობა
თბილისი	1171200	
დილომი	8746	ქართველი
დაბა წყნეთი	8187	
წავისი	1199	ქართველი
შინდისი	1543	ქართველი
ტაბახმელა	2036	ქართველი
დაბა კოჯორი	1867	
კუმისი	2182	ქართველი
წალასყური	561	ქართველი
კოდა	1539	
დაბა დიდი ლილო	2420	
პატარა ლილო	663	ქართველი
გლედანი	3389	ქართველი
ლისის საკრებულო	1904	

(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული
სამსახურის საქმეზე წერილი 11-06/210)

როგორც ვხედავთ 1989 წლიდან 2002 წლამდე სტატისტიკურ მონაცემებში დიდი ცვლილებები არ მომხდარა, თუმცა რეალობა სულ სხვა იყო. დამოუკიდებულობის აღდგენის შემდეგ საქართველოში უაღრესად რთული პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები მიმდინარეობს. ოუპირებულ ტერიტორიებს მოჰყვა ათიათასობით დევნილი რომელთა დიდი უმრავლესობა თბილისში ჩამოვიდა თავის ოჯახის გადასაჩენათ ამას თან დაერთო ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსახლეობის მიგრაცია, რაც პვლავ დედაქალაქს დააწვა მძიმე ტვირთად ამ ფაქტების გათვალისწინებით დღეისათვის თბილისის და მისი საგარეუბნო ზონის მოსახლეობა ბევრად მეტია ვიდრე სატატისტიკურ მასალაში

ვეცნობით. ბოლო წლების მანძილზე საქართველოს მრავალი ოჯახისათვის თბილისი გახდა რჩენის მთავარი აღგილი. 2006 წელს ხელისუფლების გადაწყვეტილებით თბილის შემოუერთდა მანამდე მცხეთისა და გარდაბნის რაიონში შემავალი ზოგიერთი სოფელი, რამაც, როგორც მოსახლეობის რაოდენობა გაზარდა, ისე მისი ტერიტორია. ბოლო პერიოდისთვის ქალაქის მთელს საგარეუბნო ზონის ტერიტორიაზე აქტიურად ჩნდება კერძო დასახლების ტიპები ე.წ. პრესტიული დასახლებები, სადაც როგორც დედაქალაქის ისე საქართველოში მცხოვრები შეძლებული ოჯახები იშენებენ თანამედროვე ვილებს, რაც, ერთის მხრივ, ხელსაყრელია თბილისთან სიახლოების გამო, ხოლო, მეორე მხრივ, კოფორტული გარემოა შედარებით ეკოლოგიურად სუფთა სივრცეში. ასეთი დასახლებები აქტიურად იზრდება როგორც კოჯორში, ტაბახმელასა და წავკისში, ასევე სოფელ დიღომის, სოფელ გლდანისა და თბილისის ზღვის არეალებში. საგულისხმო ფაქტია, რომ ბოლო წლებში დედაქალაქის მოსახლეობაც და მისი ტერიტორიაც განუხოლებით იზრდება და რეალურად არ არსებობს თბილისის განვითარებისა და განსახლების ერთიანი გეგმა, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა სამომავლო პერსპექტივებს.

დამოწებული ლიტერატურა:

თოთაძე 1999 – თოთაძე ა. საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე. თბ., 1999.

წულაძე 2013 – წულაძე გ. საქართველოს დემოგრაფიული პერპექტივები: 2015-2300 წლები. თბ., 2013.

კაგურია 1979 – კაგურია შ. ქ. თბილისის მოსახლობა 1803-1970 წელი. თბ., 1979.

კაცაძე 1983 – კაცაძე ა. მოსახლების მიგრაცია და საქართველოს საშუალო ქალაქების სოციალური განვითარების პრობლემები. თბ., 1983.

სტატისტიკის... 1926 – სტატისტიკის ცენტრალური
სამართველო. სრულიად საქართველოს 1923
წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჯამები,
დემოგრაფია. ობ., 1926 წელი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
საქსტატი წერილი 11-06/210.

ნათია ჯალაბაძე

2008 წელს ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობის ყოფის ზოგიერთი ასპექტი (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით)

2008 წლის რუსეთ საქართველოს ომის შედეგად ცხინვალის რეგიონი ფაქტობრივად დაიცალა ქართველებისაგან და ავტოქთონ მოსახლეობას საკუთარ ქვეყნაში დევნილის სტატუსით ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მოეცა თაგვესაფარი. ლიახვის ხეობიდან ქაოსურად შემოდინებული მოსახლეობის დაბინავება და მათთვის საარსებო პირობების შექმნა საკმაოდ რთული პროცესი იყო. თავდაპირველად დევნილი მოსახლეობა განთავსებულ იქნა საზოგადოებრივ დაწესებულებათა შენობებში, ძირითადად ბაგა-ბაღებსა და სკოლებში, შემდგომ კი მათთვის აშენდა სპეციალური დასახლებები ან გარემონტდა სახელმწიფო უწყებათა უფუნქციო შენობები. ოფიციალური მონაცემებით, “2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დევნილი მოსახლეობისათვის აშენდა 3963 კოტეჯი, შესყიდულ იქნა 453 სახლი და რეაბილიტაცია გაუკეთდა 1500 ბინას. ჯამში განხორციელდა 5753 ოჯახის (18 866 პირი) განსახლება” (იმულებით გადაადგილებულ...).

სამაჩაბლოს მოსახლეობა დევნილობაშიც, ისევე, როგორც ომამდე, 4 მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში იმყოფება. ესენია – თიღვა, ერელვი, თამარაშენი და ქურთა; მიუხედავად მათი ახლანდელი საცხოვრებელი ადგილისა, მოსახლეობა მიბმულია იმავე მუნიციპალიტეტებზე, რომლებიც ამჟამად გადავიდნენ გორში, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ახალ შენობაში. რესპონდენტთა ინფორმაციით: “როდებაც პირველად ჩამოვიდნენ ლტოლვილები ომის ძერე, ისინი თავიდან დაასახლეს სკოლებში, საბაზო ბაღებში და ა.შ. სადღაც ორ-სამ თვეში, როგორც კი გარემონტდა კოდა,

ბაზალეთი, შაუმიანი და კიდევ სხვა, ვისაც უნდოდა, მიღიოდა ამ გარემონტებულ ში; ამავე დროს მიღიოდა დეკნილთათვის ახალი დასახლებების მშენებლობა წეროვანში, გორში, ფრეზეთში.. ვისაც უნდოდა ელოდებოდა ამ გორის და წეროვანის კოტეჯებს, ანუ მშენებარეს, და იანვრისთვის უმშე დაიწყო შესახლება. იყვნენ ისეთი ოჯახებიც, ვისაც არც ერთი არ უნდოდა და ერჩივნა ფული, ამიტომ ისხდნენ იქ, სადაც თავიდან შეუშეს და ელოდებოდნენ დაპირებული 10 000-ის მიღებას, ოდონდ 2 წლის შემდეგ ამ თანხების გაცემა შეწყდა.” (საველე მასალა, გორი 2012).

დეკნილთა დასახლებებში მოსახლეობის ახალ საცხოვრებელ ტერიტორიებზე განაწილება, უმეტეს შემთხვევაში, მათივე სურვილის მიხედვით მიმდინარეობდა, თუმცა, რესპონდენტთა გადმოცემით, ზოგჯერ, უფრო ხელსაყრელ ადგილებში ჩასახლებისთვის პირად ნაცნობობასაც იყენებდნენ. რიგ დასახლებებში ცალკე დაბინავდნენ სამაჩაბლოდან დეკნილები (გორის ორივე დასახლება, შაუმიანი, კოდა. . .), ზოგან კი ახალგორის რაიონიდან დეკნილ მოსახლეობასთან ერთად (წეროვანი, საგურამო, ფრეზეთი. .). ერთ დასახლებაში მოხვედრილ ერთი გვარის ან ერთი სოფლის წარმომადგენელ დეკნილებს ერჩივნათ ერთად ყოფილიყვნენ და, თუმცა, საცხოვრებლის დაკავება კენჭისყრით ხდებოდა, საცხოვრებელ ფართს ცვლილენ ხოლმე იქ, სადაც ამისი შესაძლებლობა იყო: “პირველ ეტაპზე, კენჭისყრა როცა იყო, ცვლილენ ფართებს, რადგან ჩვენებს ერთად ყოფნა ერჩივნათ, ბურებრივია, და ახალგორელებსაც ეგრე; ამიტომ დღეს მაიც თავმოყრილები ერთად არიან. ეგრე რაღაცნაირად დანაწილდნენ – ჩვენები უფრო გზისპირას არიან, ახლგორელები უფრო ახალგორისკენ, ეს მათ კარგ ურთიერთობას ხელს კი არ უშლის, მაგათ ოჯახებიც კი შექმნეს, ჩვენმა ახალგორელი მოყვანა და პირიქით, მაგრამ ერთი კუთხის ხალხს მაიც ერთად ყოფნა ურჩევნა, ხომ იცი!” (საველე მასალა, გორი 2012).

2008 წლის ომის შედეგად, ცხინვალის რეგიონიდან გამოვიდა არა მარტო ქართველი მოსახლეობა, არამედ

ოსებიც, რომლებიც ქართველთა ოჯახების რძლები ან სიძეები იყვნენ. ამას გარდა სამაჩაბლოს ტერიტორია დატოვა იმ 30-მა ოსურმა ოჯახმაც, ვინც 2007 წელს დროებითი აღმინისტრაციის ხელმძღვანელის, დ. სანაკოევის მოწოდებით ცხინვალიდან ქართული მხარის მიერ კონტროლირებად სოფელ ხეითში საცხოვრებლად გადავიდა. აქ მათ კეთილმოწყობილი ბინები, სამუშაო ადგილები და ფულადი კომპენსაცია მიიღეს (აგვისტოს ომამდე ხეითში უკვე მზად იყო კიდევ 120 ბინა, დასრულებული იყო დასასვენებელი პარკი, ატრაქციონები, სპორტული კომპლექსი). ამ კონტინგენტისთვის უფასოდ მუშაობდა დაცვის სამსახური, მზარეულებისა და დამლაგებლების ბრიგადები.

ლიახვის ხეობიდან გამოსულ დევნილებს მათვის სპეციალურად აშენებულ ან გარემონტებულ საცხოვრებლებში სახელმწიფომ შეძლებისდაგვარად შეუქმნა აუცილებელი კომფორტი და ისინი ყოველმხრივ დააქმაყოფილა საყოფაცხოვრებო ინვენტარით: “მათ ახალ ბინებში დახვდათ ყველაფერი, ჩაჭურიდან დაწყებული, ავეჯით დამთავრებული. რამდენად ხარისხიანი იყო და რამდენად მოსწონდათ, ეს სხვა ამბავია, მაგრამ ჭურჭელი, ავეჯი, მაცივარი, გამათბობლები ყველაფერი დახვდათ. პირველი კონფლიქტის შედეგად სამაჩაბლოდან აღიღნებალი პირებისაგან განსხვავდით, 2008 წლის ოის შედეგად დავნიდ მოსახლეობას საკეთებო პირობები შეუქმნეს; თავიდან შემოდიოდა პუმანიტარული დახმარებაც, ნორმის მიხედვით ურიგდებოდათ სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტი.” (დევნილი ქალბატონი სოფ. ქურთადან, 2011 წ.).

თუმცა შეინიშნება უქმაყოფილებაც, რომელიც მოგვიანებით გაჩნდა იმ ხარვეზების გამო, რაც ნაჩქარევად აშენებულ თუ გარემონტებულ საცხოვრებლებს დროთა ვითარებაში აღმოაჩნდა: “შთავრობა ტრაბახობს რომ ლოტოლვილები ყოველმხრივ მოაწყო, ებმარებოდა ყველანაირად და უზრუნველყო თვითოუზული მჯახი, ქონება მოგეცით, მაგრამა იმას რატომ არა თვლის, იქ რამდენი ქონება დაგვარგეთ? თანაც დრო რო გავიდა ხან

წეალი ჩამოგიგიდა სახურავიდან, ხან დაგვინებიანდა იატაკი, სახლში სათავსოები არა გვაქ რამე რო მოვიყვანოთ, ხად წავიდოთ?” (საველე მასალა, შავშვები, 2012).

თავდაპირველად დევნილ მოსახლეობას, სახელმწიფოს გარდა, საქმაოდ სოლიდურ დახმარებას უწევდნენ საერთაშორისო პუმანიტარული ორგანიზაციები, მაგრამ ნორმალური არსებობისათვის ეს მაინც არ იყო საკმარისი. რესპონძენტთა თქმით, როდესაც ხეობის ხალხმა თავიანთი სამშობლო დატოვა და მათი უკან დაბრუნება გაურკვეველი ვადით გადაიდო, თითქმის ყველა შრომისუნარიანი ადამიანი (უმთავრესად ქალაქებში) ცდილობდა სამუშაო ეშოგნა, რაც ნამდვილად არ იყო ადვილი. ისინი იშვიათად ახერხებდნენ თავიანთი პროფესიის შესაბამისად დასაქმებულიყვნენ და, ძირითადად, დროებითი სამუშაოთი იყვნენ დაკავებულნი. სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია, რომელიც ომამდე სოფ. ქურთაში იყო განთავსებული, ფაქტობრივად სამოქმედო ასპარეზის გარეშე დარჩა; ამდენად, ის შეეცადა თავისი კადრები გაენაწილებინა მათი სურვილის და პროფესიისდა მიხედვით მაგალითად, მოსამსახურეთა გარკვეულმა ნაწილმა დაცვის პოლიციაში ან თავდაცვის სამინიტროში დაიწყო მუშაობა, ნაწილი კი ძველ სამსახურში, ანუ დროებით ადინისტრაციაში დარჩა რომელიც ამჟამად თბილისშია.

სახელმწიფომ გარკვეული სოციალური დახმარება და შედაგათები დააწესა დევნილთათვის, მათ შორის, საყოველთაო დაზღვევა. გარდა ამისა, სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაცია იხდის 2008 წლის მერე ხეობიდან გამოსული (ანუ ომის დროს დაზარალებული) სტუდენტების სწავლის საფასურს, გასცემს სოციალურ დახმარებას წელიწადში ერთხელ მრავალშვილიან ოჯახებზე, ინგალიდებზე (I ჯგუფის და ბავშვობიდან ინგალიდებზე) და მარჩენალდაკარგულებზე; ერთჯერადი დახმარება ეძლევათ ასევე ომის ვეტერანებს (9 მაისს)და სოციალურად დაუცველებს. აგრეთვე, 100 ლა-რიდან 500 ლარამდე

დახმარება გაიცემა, მირითადად, ონკოლოგიურ ავადმყოფებზე. დაზღვევასთან ერთად აღნიშნულ კონტინგენტს აქვს ყოველთვიური დახმარება – 28 ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის მიწურულს, როდესაც ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ გარკვეული ვითარების გამო, საქართველოს მოსახლეობას არსებული დაზღვევა მოქმედია, ცხინვალის რეგიონიდან დევნილებს დაზღვევა ისევ ეძლევათ. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის ომის შედეგად დევნილთა ნაწილი შესაძლოა დახმარებას ჯანდაცვის სამინისტროდან იღებდეს, სამხრეთ ოსეთის ყოფილი აგზონომიური ოლქის დროებითი აღმინისტრაცია თავის მხრივ მაინც გასცემს დახმარებას დადგენილი წესისამებრ. პედაგოგები პატარა და დიდი ლიახვის ხეობიდან, რომელთა რაოდენობაც ორასს აღემატებოდა, 2009 წლის ჩათვლით იღებდნენ ხელფასს; საბავშვო ბადის მასწავლებლებს ხელფასს 2012 წლის ჩათვლით უხდიდნენ. ეს დახმარება პედაგოგებს მოქმედია მაშინ, როდესაც თავიანთი სპეციალობით სკოლებში ან საბავშვო ბადებში დაიწყეს მუშაობა. მაგალითად, როდესაც წეროვანში სკოლა ააშენეს, რიგი პედაგოგებისა იქ გადანაწილდა სამუშაოდ. ასევე დევნილი პედაგოგები შაუმიანის შერეულ – რუსულ-ქართულ სკოლაში მუშაობენ, და სხვ.

გარდა უდიდესი მორალურ-ფსიქოლოგიური სტრესისა, რაც თან ახლდა 2008 წლის ომს და მის შედეგებს, სამახაბლოებლი დევნილებისათვის ძალზე მტკიცნეული იყო ტრადიციული ცხოვრების წესის მოშლა. ხეობელი ქართველები, რომლებიც მთელ საქართველოში საუკეთესო მეურნეებად არიან ცნობილი, რომელთა წყალობითაც ეს მსარე განსაკუთრებული სამეურნეო (მეხილეობა, მევენახეობა, მიწათმოქმედება) ტრადიციებით არის გამორჩეული და ვისაც ფაქტობრივად ემყარებოდა ცხინვალის რეგიონის სამეურნეო ინფრასტრუქტურა, ტრადიციული სამოქმედო ასპარეზის გარეშე აღმოჩნდნენ. ამიტომაც იყო, რომ მათმა ნაწილმა, ვისაც ურბანულ ყოფასთან შეგუება ზემოხსენებული მიზეზის გამო გაუჭირდა, სოფელში არჩია ცხოვრება (უმეტესი ნაწილი

წავიდა გორის რაიონში, ასევე ქახეთში, ატენის ხეობაში) და სამეურნეო საქმიანობას მიჰყო ხელი. ამ მოთხოვნილების შედეგი იყო ისიც, რომ უმრავლესობამ ის მცირე ნაკვეთებიც კი, რაც მათ ახალი დასახლების პირობებში ერგოთ, ბაღნარად აქცია.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ხსენებული ასპექტების, ანუ დევნილთა ტრადიციული საქმიანობისა და ინტერესების გათვალისწინებით მოხდა ახალი დასახლებების აღილმდებარეობის შერჩევა. მათი პროექტიორებისას, სპეციალისტები დევნილთა ტრადიციული ყოფის თავისებურებებიდან ამოდიოდნენ. 6. ზაზანაშვილის გამოუქვეყნებელ ნაშრომში – Процессы Архитектурно-Функциональной Адаптации В Поселениях ВПЛ «Второй Волны», სადაც განხილულია დევნილთა დასახლებების სოციალური ადაპტაციის საკითხები, ხაზგასმულია ის პრინციპები, რის საფუძველზედაც მოხდა მათი ადგილმდებარეობის შერჩევა, მათ შორის კი პირველი, დევნილთა ყოფითი თავისებურებაა. სწორედ სოფლის მეურნეობის, როგორც დევნილთა უმთავრესი საქმიანობის გათვალისწინებით, გადაწყდა სოფლის ტიპის დასახლებების აშენება, რომლების სასოფლო-სამეურნეო სავარგულებოან ახლოს იქნებოდა. სადაც მათ შემდგომში დამოუკიდებელი სამეურნეო საქმიანობის წარმოების საშუალება ექნებოდათ. ეს დასახლებები კი ახლოს უნდა ყოვილიყო გზასთან, სარწყავი და დასალევი წყლის სისტემასთან (Зазанашвили: 2011, 6-7)

ამ ფორმულირების მიხედვით, დევნილთა შემოსავლის ძირითადი წყარო უნდა გამხდარიყო მიწა. თუმცა, დევნილთა დასახლებებში, ზემოხენებული თვალსაზრისით, მდგომარეობა ყველგან ერთგვაროვანი არ არის. ზოგან, სადაც ამისი შესაძლებლობა და მოსახლეობის სურვილი იყო, ხალხს მიწები დაურიგეს. მიწები არ აქვს მცხეთა-მთიანეთის რაიონის სამ დასახლებას წეროვანს, წილკანსა და ფრეზეთს, ასევე გორის “ვერხვების” მოსახლეობაც მიწის გარეშეა დარჩენილი. გერმანელების მიერ აშენებული ეს დასახლება ვიზუალურად ძალიან ჰგავს გერმანულ სოფელს. მათ აქვთ

საბალ-ბოსტნე მცირე ნაკვეთები აქვთ, მაგრამ უწყლობის გამო მოსახლეობას ბოსტნის გაშენება უჭირს. მთხოვბელთა ინფორმაციით: “თავიდან წეროვანი არც საცხოვრებლად და არც სამეურნეო თვალსაზრისით სახარბილო არ იყო ჭაობიანი, სავსე იყო კოდოებით და ქვეწარმავლებით. მერჯ დააშრეს და ახლა უკვე ხეხილიც კარგი მოჟყავთ. ამასწინათ, ერთი იქაური ამბობდა, აატარა ატმის ხიდან ორი ვედრო ატამი მოვკრიფეთო. კიტრიც და სხვა ბოსტნეულიც აქვთ. ვისაც შრომა უნდა და უნარი აქვს, ყველაფერი მოჟყავს, ვისაც შრომა არ უნდა, იმას რასაკვირველია არც არაფერი გააჩნია.” (საველე მასალა, გორი 2012).

გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა გორის დასახლება ქწ. „წმინდა წყალზე”, სადაც ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ აქური მოსახლეობა საკმაოდ ნაყოფიერ ნიადაგზე სახლობს. ადგილობრივი ინფორმანტის თქმით: ”ეს ტერიტორია ადრე მაჟუთვნოდა საცდელ ძეურნეობას. კომუნისტების დროს იყო ახეთი გორში, თუ საქარველოში რაიმე ჯიშის მოყვანა ან შემოტანა უნდოდათ, აქ გამოჟყავდათ იმ დროს. ეს არის განსაკუთრებული ძინა, ამბობენ, აქ ძინისქვეში წყლები გადისო და ამიტომაც მოსავალიც საუკეთესოა. ჩვენ გვიდგა თითქმის ყველაფერი. აი, ეს ხეივანი, 2009 წლიდან ამხელაა გა ზრდილი. ყველაფერი მომყავს, ლობით, სიმინდი, კარტოფილი, პამიღორი, კიტრი, წიწაკა. ატმები მოდის ისეთი რო, გასაგიუებელი, მაგრამ ჩვენი ნაკვეთი შორსაა აქედანა და იძულებული ვარ მკვახე მოვკრიფო, რადგან გადადიან ხოლმე და იპარამებ. აი, აქვე რო ნაკვეთია, ეგ ერთი ჩვენებური კაცისაა, იქ რო პამიღორი თესია, აბა ნახეთ, როგორია! ჩვენ არ ვუჩივით ცხოვრებას, ვინც შრომობს, იმას არა უჭირს რა. ერთი იმას ვდარღობთ, რომ სამშობლოში დაგვაბრუნა. მე ტრაქტორიც შევიძინე, კურძო სამუშაოებზედაც დაგდივარ, არაფერზე არ ვიხვ უკან “(საველე მასალა, გორი 2012).

გამოკითხვისას დევნილები ჟოველთვის ავლებენ პარალელს მათ ომამდელ და დღევანდელ სამეურნეო ყოფას შორის, ისინი გამოთქვამენ წუხილს, იმის გამო,

რომ დღეს მათ სამეურნეო საქმიანობას ისეთი გასაქანი არ აქვს, როგორც ლიახვის ხეობაში ყოფნისას. მაშინ თავისუფლად შეეძლოთ რუსეთში გაეტანათ სოფლის მეურნეობის პროდუქცია, დღეს კი მისი ჭარბად წარმოების არც ოდინდელი პირობები აქვთ და არც მისი რეალიზაციის შესაძლებლობა.

ჩემ შეკითხვაზე, თუ როგორ უყურებენ ერგნეთის ბაზრობის რეაბილიტაციას, რადგანაც ამის შესახებ იყო მოარცელი ხმები საზოგადოებაში, დავნილები ერთხმად აღნიშნავდნენ ამ იდეის უაზრობას: “ერგნეთზე ლაპარაკი ეხლა უაზრობაა. კი, ნამდვილად კარგი იყო, როცა ეს ბაზრობა მუშაობდა, ჩვენთვისაც და ოსებისთვისაც. მათი ფინანსური კეთილდღეობისათვის ეს ბაზრობა მაღიან მომზებანი იყო, ახლა ამის იმედი რასაკვირველია აღარავის აქვს. იქ მოსახლეობა აღარ არის, ვიდა ამოვა სავაჭროდ ბაზრზე? ქართულ სოფლებში რაც მოსავალი მოდიოდა, ახლა სადღაა! მოდიოდა იმიტომ რომ ქართველი მეურნეობას თავს აკლავდა, საერთოდ ჩვენები ხომ საუკეთესო მეურნეები იყენებ! თხებს რაც დარჩათ ეს ხილი, გადაუჯიშდათ ამ წლებში. რამდენადაც ვიცი, წუწუნებებ, ძალიან წერილი ვაშლი მოდისო, ან საერთოდ აღარ მოდისო. რას მოვა, თუ არ შეწამლუ, არ გასხვალი? ეს ცხრა სოფელი, ხეობის ქართულ სოფლებს გვულისხმობ, საერთოდ მთელ ქართლში გამორჩეული სოფლები იყო. თხერი სოფლები ქართულისაგან მავით განსხვავდებოდნენ, ეგენი ინახავდნენ მოელი ცხინვალის რაიონს” (საველე მასალა, ერგნეთი, 2012).

არაერთგვაროვანია სხვადასხვა დასახლებაში მცხოვრებ ლიახვის ხეობიდან დევნილთა ყოფითი პირობები; მრავალკომლიან დასახლებებში არის სკოლა, საბავშვო ბაღი, სამედიცინო ჰუნები. ზოგიერთ დასახლებაში სკოლა არ აქვთ და ბავშვებს მეზობელ სოფელში უწევთ სიარული. ასეთია ფრეზეთის დასახლება, სადაც ახალგორიდან და სამაჩაბლოდან დევნილი 3 სხვადასხვა სოფლის მოსახლეობა ცხოვრობს. სკოლის მოწაფეებს წეროვანში უწევთ სიარული, რაც ზამთრის პირობებში საჭაოდ როგორია. თუმცა, ფრეზეთში აქვთ

საბავშვო ბალი, რომელიც ერთ კოტეჯშია განთავსებული და მოსახლეობის ძალისხმევით არსებობს. დევნილთა დასახლებებში წეროვანი ერთ-ერთ ყველაზე კეთილმოწყობილად ითვლება. აქ ლტოლვილების დიდი ნაწილი დასაქმებულია, ძირითადად კერძო სტრუქტურებში და, ნაკლებად, საჯარო სამსახურებში. მუშაობები იქვე – წეროვანის ქაღალდის ქარხანაში, ქართულ-შვეიცარულ კომპანია „ბერტაში“, რომელიც საყოფაცხოვრებო მოხმარებისა და პიგიენური პროდუქტების მწრმოებელია, ბარამბოს ქარხანაში, მაგრამ ზოგადად, მიუხედავად სამუშაოს და საკუთარი მეურნეობის ქონისა, მაინც უჭირთ. წეროვანში სკოლის გარდა არის საავადმყოფო, საბავშვო ბალი, პოლიცია, ეკლესია.

თუმცა სახელმწიფო ყველანაირად შეეცადა ნორმალური პირობები შეექმნა დევნილი მოსახლეობისათვის, პრობლემები მაინც ბევრია: მაგალითად, ხეითიდან, აჩაბეთიდან, ქსუისიდან და ქურთიდან ხურვალეთში და შავშვებში ჩასახლებულ დევნილებს საკმარი არასახარბიელო ვითარებაში უხდებათ არსებობა, რაც ძირითადად ყოფითი პირობების მოუგარებლობაში გამოიხატება: ესაა უხარისხო გზები, ტრანსპორტის, წყლის, გაზის, ელექტროენერგიის, სამედიცინო მომსახურების დეფიციტი, უმუშევრობა. იგივე პრობლემების წინაშე დგანან თითქმის ყველა შედარებით მცირე დასახლების მკიდრნი. ფრეზეთელებისათვის, რომელთაც თავად დევნილთა აზრით, ყველაზე ცუდი ადგილი შეხვდათ საცხოვრებლად, სადაც არ არის ბუნებრივი მწვანე საფარი და დასახლებას მუდმივად მზე აჭერს, უწყლობა და კომუნიკაციების მოუწესრიგებლობა პირველად პრობლემად არის ქცეული.

ლიახვის ხეობის მოსახლეობა უკვე მეექსე წელია დევნილობაში ცხოვრობს; ამ სხის გნმელობაში მოსახლეობის წინაშე ბუნებრივად დადგა სასაფლაოს არსებობის საკითხი. ცხინვალელებს თბილისში სახელმწიფომ კუთხის სასაფლაოს ზემოთ გამოუყო ადგილი. რაც შეეხება ახალ დასახლებებს, გორის დევნილები თავიანთ მიცვალებულებს ადგილობრივ

სასაფლაოზე გორში კრძალავენ, წეროვანს თავისი საკუთარი სასაფლაო აქვს, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც მიცვალებულს სოფელში მიასვენებენ, თავიანთი რომელიმე წინაპრის მიწაზე.

ცხინვალის რაიონიდან დევნილთათვის ახალ გარემოსთან ადაპტაცია სხვადასხვა დასახლებაში არაერთგვაროვნად მიმდინარობდა. განსაკუთრებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ დევნილები ლიახვის ხეობიდან დაბა შაუმიანში, სადაც ბირითადად ეთნიკური სომხები ცხოვრობენ. დევნილები, რომლებიც აქ 2009 წლიდან არიან, შაუმიანის ცენტრიდან ცოტა მოშორებით კორპუსებში ცხოვრობენ და ერთგვარად მეზობლებისაგან იზოლირებულნი არიან. თავდაპირველად ეს ფაქტორი, ერთი მხრივ, მათი ინტეგრაციისთვის არც თუ სახარბიელო ვითარებას ქმნიდა. მაგრამ, ბოლო პერიოდში სათემო განათლების ცენტრში, რომელიც დაარსდა 2009 წელს სახალხო უნივერსიტეთი გერმანული ასოციაციის მხარდაჭერით, ქართული ენის შემსწავლელი სპეციალური ჯგუფები გაიხსნა, რამაც შემდგომში ადგილობრივი და დევნილი მოსახლეობის კომუნიკაციას შეუწყო ხელი. დევნილთა ჩამოსახლებამდე აქ ქართულ ენაზე სწავლება არ მიმდინარეობდა, რადგან მოსახლეობის თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა არაქართველია და სკოლებიც სოფელში რუსულ და სომხურენოვანი იყო. დევნილთა ჩამოსახლების შემდეგ კი მეორე საჯარო სკოლაში ქართული სექტორი გაიხსნა, სადაც დევნილ ბავშვებს თავად დევნილი პედაგოგები ასწავლიან. “ურთიერთობები ქართველ და სომებს ბავშვებსა და პედაგოგებს შორის არ არის ცუდი, პირიქით, ქართულ ენაზე ურთიერთობის და მეგობრობის სურვილს გამოხატავენ. დევნილთა დამხახურება სწორედ ის, რომ სომხური ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებს დღეს უკვე სირცხვოლად მიაჩნიათ საკუთარი ქვეყნის სახელმწიფო ენის არცოდნა. ისინი ამბობენ, ადრე ამას არავინ გვთხოვდა, არც გარემო გვქონდა ისეთი, ვინმეს ქართველად დავლაპარაკებოდით – ჩვენი სოფელი ხომ მოლიანად სომხურია და მის გარეთ კი რუსულიც საქართვის იყოთ. ახლა, როცა ჩვენს გვერდით

ქართველები ცხოვრობენ და ყველაფერი ქართულად
წარმოებს, გალღებული ვართ ვიცოდეთ, პატივი ვცეთ და
შეილებსაც ვახსავლოთო” (ბაინდურა შეიძლი: 2010).

სრულიდ აშკარაა, რომ შაუმიანის დევნილები ნებით
თუ უნებლიერ, სახელმწიფოს სამოქალაქო ინტეგრაციის
სტრატეგიის ერთ-ერთ სექტორად მოგვევლინენ.
ქართველთა შაუმიანის დასახლებაში გამოჩენას
სტრატეგიული მნიშვნელობა იმიტომ ჰქონდა, რომ
ამგვარად მოხდა ქართული ელექტრის შემოჭრა
არაქართულ გარემოში, გაჩნდა აუცილებლობა და
ინტერესი სახელმწიფო ენის შესწავლის მიმართ, ჩაისახა
ინტერესულობული დიალოგის წარმართვის პესპექტივა,
რესულ და სომხურ სკოლებში გაჩნდა ქართულად
სწავლების პრეცედენტი, რაც საბოლოოდ ეთნიკური
უმცირეობის სახელმწიფო ინტეგრაციის საწინდარია.

აღსანიშნავია დევნილი მოსახლეობის რელიგიური
ყოფა. ჯერ კიდევ ლიახვის ხეობაში ყოფნის დროს
ქართულ მოსახლეობაში აშკარად შეინიშნებოდა
მართლმადიდებლური რწმენის გაძლიერება, რაც
გამოიხატებოდა ეკლესიების რესტავრაციასა და
ქრისტიანული მსახურების აღდგენაში, ეკლესიის მრევლის
რაოდენობის ზრდაში, ქრისტიანულ დღესასწაულებში
აქტიური მონაწილეობის მიღებაში, რელიგიური ნორმების
დაცვაში და ა.შ.

2008 წლის ომამდე ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო
ოსებისა და ქართველების მიერ ცხინვალის რეგიონის
ქართველი და არამარტო ქართველი მოსახლეობის
მთავარი სალოცავის სასწაულმოქმედი გერის წმინდა
გიორგის ერთდროულად მოლოცვის ტრადიცია, თუმცა
პირველმა კონფლიქტმა თავისი დაღი დაასვა კულტურული
ინტეგრაციის ამ იშვიათ გამოვლინებას; თუ კონფლიქტამ-
დე პერიოდში ქართველები და ოსები ერთად აღნიშნავდნენ
გერისთობას და ერთობლივ ლენის მართავდნენ, პირველი
კონფლიქტის მერე ერთმანეთს ერიდებოდნენ და
ცდილობდნენ ერთმანეთთან არ ეკონტაქტათ, იქაურების
თქმით: “ჩვენები ეკლესიასთან, ზემოთ იქრიბებოდნენ,
ოსები კი სალოცავის დაბლა სხდებოდნენ. შეიყრებოდნენ,

სეამდნენ და ღრუბლდნენ. მაგათ სხვა რა იციან, ერთი ოსაიდა-ვარაიდა. ჩვენები, სხვათა შორის, ბოლო ხანს, ომაძღვა, მაინც ფრთხილობდნენ და იქ შესვლას ყველა კერ ბეჭავად” (სოფ. ქორდი. 2012)

2008 წლის ომმა კულტურული კომუნიკაციის ეს გადმონაშთიც მოსპო. გერის სალოცავში მისვლა დღეს შეუძლებელია: სოფელი არბო, რომელზედაც გადიოდა გერისკენ მიმავალი გზა, დღეს ლიახვის ხეობის გორის რაიონის სოფლებიდან უკანასკნელი პუნქტია, რომლის იქითაც ქართველი ვეღარ გადადის. ამიტომაც, ბოლო ხანს დამკვიდრდა გერისთობის დღეობაზე არბოს ეკლესიაში თავშეყრის ტრადიცია. მართლაც იმ დღეებში (გერისთობის დღეობას სამჯერ თითო კვირის ინტერგალით აღნიშნავენ თავი, შეუ და ბოლო) არბოს ეკლესიაში სალოცავად მოდის ის მლოცველიც, ვინც გერში ვეღარ აღნიშნავს ტრადიციულ დღეობას.

ახალ დასახლებებში თანდათანობით ფეხს იკიდებს ეკლესიების მშენებლობის ტენდენცია. მაგალითად, ეკლესიაა გორში, “ერხვების დასახლებაში, რომელიც გერმანელებმა ააშენეს; სოფელ ბერბუპში ამოქმედდა გერის წმინდა გიორგის ტაძარი. ეს სალოცავი, რომლის პედელშიც გერის ტაძრიდან ჩამოტანილი ქვა დაატანეს, დევნილების თხოვნით აიგო. აიგო ეკლესია წეროვანშიც და მას საქმაოდ დიდი მრევლი ჰყავს. სხვაგან, დევნილები ახლოს მყოფ ეკლესიებში დადიან. მაგალითად, გორში ძირითადად გორიჯვარში ლოცულობენ.

დევნილები ძალზე მტკიცნეულად განიცდიან იმ ფაქტს, რომ კონფლიქტის შემდეგ ოსებმა ქართული ეკლესია-სალოცავები ოსური კულტურის ძეგლებად გამოაცხადეს, ზოგი გადაღებეს, ზოგიც განადგურდა. გავრცელებული ინფორმაციით, ოსმა სეპარატისტებმა ეკლესის კედლებიდან ის ქვები ამოიღეს, რომლებზეც ქართული წარწერები და მართლმადიდებლური ჯვრები იყო გამოსახული.

ადსანიშნავია, რომ რელიგია და, კონკრეტულად, კი ხეობაში არსებული ქართული ეკლესიები და ქრისტიანული წმინდანები დევნილთა წარმოდგენებში

იქცა ცხინვალში ქართველების თავს დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენებზე შურისძიების ერთადერთ ვირტუალურ იარაღად. გორის რაიონში მცხოვრებ დევნილ მოსახლეობაში ხშირად მოისმენთ ისტორიებს ხეობაში არსებულ ეკლესიებში მომხდარი სასწაულების შესახებ: “თურმე ქურთის დკონისმშობლის ეკლესიიდან საღამობით ისმის ხოლმე გაურკვეველი ხმები, კივილის თუ გოდების. ამის შიშით ოსები თურმე ეკლესიასთან ახლოსაც კი ვერ მიღიან. ერთხელ თურმე მარშრუტება მოდიოდა ჩრდილო ოსეთიდან და მძღოლს თურმე შუმასთან წინ გადაედობა თეთრებში ჩაცმული ქალი, სად წაიყვანეთ ჩემი შეიღებით, მერე ავარია მოუკიდა იმ მძღოლს. ესეთი ამბები სხვა ეკლესიებზედაც გამოგია. ხალხი ამბობს, რომ ოსები ძალიან შეშინებულები არიანო!” (საველე მასალა, სოფ. ტირმინისი, 2012).

მსგავსი ისტორიები მრავლადაა: “ლეგენდად დადის, კეხველი არის ერთი და იმან მოყვა, ისე მაგარ მანდრაჯში არიან ოსებიო! ბიჭები რომ დაიღუპენ ცხინვალში და რომ ვერ გამოიყვანეს, მაშინდელი ამბავიაო; ერთ-ერთი დაჭრილი ბიჭი, რომელიც გამოიყვანეს, ის ყვებიდა თურმე, ვიდაცა ქალი დადიოდაო, თეთრებში ჩაცმულიო, მე ვიწერი და ვხედავდოთ – იმ ქალს წინსაფარი სულ დახვრცებილი ჰქონდაო. ხოდა ის ჩვენ ბიჭებს, გარდაცვლილებს, გვირგვინს ადგამდა თავზე. კიდევ ძელიცხოველიდან დამდამობით ხმები ისმისო. ერთი ორი წელი ძალიან შეშინებული იყვნენ, თურმე ოსები, ვერ ეკარებოდნენ. მაგრამ ეხლა რომელიდაცა გალენიაზე თქვეს, მეთლახი დააგეხო. შუაგულ ცხინვალში, ქართული ეკლესია რომ იყო, დღესდღეობით ჩვეულებრივ ტარდება რუსულ ენაზე წირვა. იძანიან ოსები ჩვენი ეკლესია არის ეხო. საკმაო მრევლი ჰყავხო” (საველე მასალა, ერგენიო, 2012).

ვინაიდან ცხინვალის რაიონიდან დევნილი მოსახლეობის ხეობაში შესვლა პრაქტიკულად გამორიცხულია, ტრადიციული რელიგიური ყოფის დეფიციტი დევნილმა მოსახლეობამ შეძლებისდაგვარად და თავისებურად შეივსო:

ის დღესასწაულები, რასაც ისინი ტრადიციულად აღნიშნავდნენ თვითი სამშობლოში, მათ მიერ აღნიშნება იქ, სადაც თვითონ სახლობენ. ასეთია მაგალითად ლიახვის ხეობელების ერთ-ერთი მთავარი დღეობა, ღვთისმშობლობა 21 სექტემბერს. ღვნილი მოსახლეობა გახდა მრევლი ძირითადად მათ საცხოვრებელთან ახლოს მყოფი ეკლესიებისა, როგორც ქალაქად, ისე სოფელში.

უკვე მეხუთე წელია, რაც ლიახვის ხეობელები დგენილობაში ცხოვრობენ და სამშობლოში დაბრუნების სურვილი ახალგაზრდებსაც კი არ განელებიათ. დევნილობაში შექმნეს შერეული ოჯახებიც, ახლა უკვე თავით მეზობელ ახალგორეულებთან. გამოკითხულ დევნილთა დიდ უმრავლესობას ლიახვის ხეობაში დაბრუნების უდიდესი სურვილი აქვს, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ იქ ცხოვრება ოსებისა და რუსების გარეშე სურთ. მიუხედავად ამისა, სამწუხარო რეალობაა ის, რომ საირისპირო მხრიდან იგივე იმტულსები არ მოდის. “ხეობაში არ დარჩა არცერთი ქართველი, ქართველი კი არა, ოსებიც კი არ დარჩნენ, ვინც ქართველებს ენათესავებოდა; პირიქით, იმათ უფრო ერთოდნენ – თქვენ ოსები ქართველების ცოლები და ქმრები რატომ ხართო! მერქ, ცოტა რომ დაწენარდა მდგომარეობა, მაშინ გაძევდეს ოსებმა შესვლა ნათესავებთან, მაგრამ ისინი თან არ გადაჰყოლიან და ეხენიც ცუდად განეწყნენ. ჯერ კიდევ ომამდე როგორიც იყო კავშირები, ანუ პირველი კონფლიქტის მერქ, ისიც კი სრულიად მოისპო. თან იმათ, ანუ იქაურ ოსებს, ძალიან აკონტროლებს ფსბ, ამიტომაც აღარც ის ნათესავი უნდა და აღარც არავინ. ყოველი შემოსული ზარი კონტროლდება” (საველე მასალა, გორი 2012).

ჩემმა რესპონდენტმა გაიხსენა ამბავი, როდესაც თავად ოსი ეთნიკური წარმოშობის ქალბატონი ვერ წავიდა ცხინვალში საკუთარი ქმრის დასამარხად: “ჩვენი ახლომდების ძმა მოკლეს ოსებმა – ქართველი; იმას თხი ცოლი ჰყავდა, მაგრამ ის ვერ ჩავიდა ცხინვალში და ვერ დამარხა ქმარი შიშით, მერქ იმისი და ჩავიდა ვლადიკავკაზიდან და იმან დამარხა, სულ გახრწილი

დახვდა თურმე გვამი. ცოტა რომ გადაიარა ომის ამბავმა, იყვნენ შესულები ცხინვალში ქართველი ბიჭები, თავიანთი სახლის ნახვა უნდოდათ. ერთი ბოთლი არაფი მისცეს რუსებს თურმე და იმათაც შეუშვიათ, მაგრამ ეგ რისკზე წასვლა იყო, იქ რომ რამე მოგივიდეს, აასუხისმგებელი არავინ არაფერზე არაა. სახარბიელო არაფერი არ დახვდრიათ. საერთოდ, იქვდან, ოსების მხრიდან არანაირი მუხტი არ მოდის შერიგებისა” (საველე მასალა, სოფ. ქორდი, 2012).

რასაკვირველია, ეს ფაქტორი ქართულ-ოსური ურთიერთობის პერსპექტივას უიმედოს ხდის. ცხადია, ქართული ელემენტი ამ ეტაპზე გამოითხულია და მთელი დატვირთვა, როგორც ინტერენტიკური ურთიერთობის კატალიზატორზე, ქართულ-ოსური შერეული ოჯახების ოსურ ელემენტზე უნდა მოდიოდეს. მაგრამ, ეს ოსური ელემენტიც ფაქტობრივად უარყოფილია დღევანდელი ცხინვალელი ოსებისაგან; თუმცადა, ის არის ერთადერთი, რამაც მომავალში გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს ქართულ-ოსური ურთიერთობის რევიტალიზაციაში.

ლიახვის ხეობელ დევნილებს თავისი კუთხის სიყვარულით და მონატრებით არაერთხელ უცდიათ გადასვლა საზღვარზე. თავისი კუთხის სიყვარული დევნილი მოსახლეობის ცნობიერებაში თავიანთი კუთხის ტრადიციებთან ასოცირდება, რომლის დაცვა და შენარჩუნება მათი ყოველდღიურ ყოფაში ნათლად შეიმჩნევა. ამ თვალსაზისით, მეტად საინტერესოა ნ. ზაზანაშვილის ზემოხსენებული ნაშრომი, სადაც ყურადღება გამახვილებულია დევნილთა დასახლებების პირველადი არქიტექტორული იერსახის შეცვლაზე და მის მიზეზებზე.

დასახელებულ მიზეზთაგან ერთ-ერთი კულტურული ტრადიციაა, რაც დევნილთა ღირებულებით ორიენტაციას განსაზღვრავს და შესაბამისად განაპირობებს ამა თუ იმ კონკრეტულ ცვლილებას არქიტექტორულ დიზაინში. ასეთად მაგალითად დასახელებულია სტუმართმოყვარეობის ტრადიცია, რაც სამაჩაბლოელ დევნილებს სტუმრის მიღებისა და გამასპინძლების უკვეთს

პრაქტიკულ გამოსავალს აძებნინებს ისინი უფრო განიერ და ფართო მინაშენს აწყობენ, რათა საშუალება ჰქონდეთ უკეთესად მიიღონ სტუმრები. აქვე ვლინდება კოლექტიური კულტურის ის ელემენტებიც, რომელიც ასე მყარს ხდის ზოგადად კულტურული ტრადიციის ჩარჩოებს.

ავტორის აზრით, დევნილთა მიერ დიზაინის შეცვლა ხდება იმიტომაც, რომ არიტექტორს არ გაუთვალისწინებია მიწათმოქმედი ადამიანის ყოფის სპეციფიკა, არ შეუქმნია თუნდაც ის სათავსოები, რაც საჭიროა ჭირნახულის შესანახად (2011: 32).

ამდენად, ლიახვის ხეობელი დევნილების ყოფის თავისებურება წარმოაჩნის იმ ტრადიციებს, რაც ამ ხალხმა წამოიღო თავისი კუთხიდან და რაც დღესაც მათი ეთნიკური ცნობიერების ერთ-ერთ ქვაკუთხედად მოიაზრება.

ზოგადად კი, ნებისმიერი ტრადიციის შენარჩუნება, შესაძლებელი არის იმ შემთხვევაში, როდესაც ესა თუ ის ეთნიკური ერთობა, ანუ ტრადიციის მატარებელი ერთობა კომპაქტურად ცხოვრობს, ანუ შექმნილია შესაფერისი გარემო კულტურული ტრადიციის შენარჩუნებისათვის. როდესაც განსხვავებული ეთნიკური იდენტობის მქონე ჯგუფები გვერდიგვერდ (ერთ სოციუმში) არსებობენ, ინტერკულტურული გავლენა საგრძნობია და ტრადიციის შენარჩუნების საფუძველი შედარებით მყიფეა. დევნილთა დღევანდელი კომპაქტური დასახლებები ამ კონტინგენტის იდენტობის შენარჩუნების გარანტია.

დაბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: 2008 წლის რესევ-საქართველოს ომის შემდგომ ცხინვალის რაიონიდან დევნილი მოსახლეობა ძირითადად კომპაქტურად სახლობს. ეს განაპირობებს მათ შეკავშირებულობას და ჯგუფის შეკრულობას. მტკიცეა მათი ნათესაური კავშირები. ერთად ყოფნა მათ იდენტობას ამჟარებს და მათი კუთხური ტრადიციების შენარჩუნების საწინდარია. ამვდროულად ეს კონტინგენტი არ შეიძლება ჩაითვალოს ჩაკეტილად, თუნდაც იმ კავშირების გამო, რომელიც მათ ქალაქთან გააჩნიათ, რეალურად ისინი უფრო ჩაკეტილი იყვნენ ცხინვალის რაიონში ცხოვრებისას, ვირე დღეს არიან. მიუხედავად

ზოგადი გაჭირვებისა, დევნილები მეტად შრომისმოქვარე ხალხია, რაც მათი მეურნეობის და ზოგადად საქმის მიმართ დამოკიდებულებაში გამოიხატა. ამან კი დაღებითი შედეგი გამოიღო და დევნილობაში თავისი ინდივი-დუალური სახე შეუნარჩუნა.

დამოწმებული ლიტერატურა:

ბაინდურა შვილი რიტა. დევნილობა შაუმიანში, 24 საათი, 02.07.10.

იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების მოკლე ანალიზი, ჟურნ. „სამი საუნჯე“, 22.09.2012.

Зазанашвили Нано. Процессы Архитектурно-Функциональной Адаптаций В Поселениях ВПЛ «Второй Волны», 2011, ხელნაწერი.

ლავრენტი ჯანიაშვილი

სამეურნეო ყოფის ტარნსფორმაცია ახალგორის მოსახლეობაში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ

სტატია მომზადდა რუსთაველის ფონდის მიერ
დაფინანსებული პროექტის – “ოკუპირებული ახალგორის
რაიონი და ქართულ-ოსური თანაცხოვრების დინამიკა”
სახელმწიფო გრანტი №31/02 – ფარგლებში

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში განვითარებულმა სოციოპოლიტიკურმა კატაკლიზმებმა მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა ყოფაში. ამ მხრივ გამონაკლისს არც ახალგორის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს. მდგომარეობა განსაკუთრებით დამძიმდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, როდესაც რუსებმა ამ რეგიონის ოკუპაცია განახორციელეს. მოსახლეობის ერთმა ნაწილმა საცხოვრებელი აღდილები მიატოვა და მცხეთის მუნიციპალიტეტში საგანგებოდ შექმნილ დასახლებებში გადმოვიდა. თითქმის მთლიანად დაიცალა სოფლები, დაირღვა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული სამეურნეო კავშირები, მოიშალა ტრადიციული მეურნეობის დარგები, შეიცვალა ბევრი ოჯახის შემთხვევლის წეარო. შექმნილი სიტუაცია მეტად საყურადღებოა როგორც სამეცნიერო, ისე პოლიტიკური ოვალსაზრისით. დაპირისპირებული ეთნოკულტურული ჯგუფების წარმომადგენლების თანაცხოვრების პერსპექტივის კვლევა ინდიკიდების და ეთნოსოციალური ერთეულების მაგალითზე, საზოგადოების ურთიერთსოლიდარობისა და თანამშრომლობის ტრადიციული და ახლადშექმნილი სოციოკულტურული ინსტიტუტების ეკონომიკური ჭრილში შესწავლა, ქართულ-ოსური ერთობების ურთიერთობათა მატერიალური ასპექტების გამოვლენა – ხელს შეუწყობს ამ ეთნიკური სეგმენტების დაახლოებას და გარე საფრთხეების

არიდებას, რაც ქვეყნისათვის ეროვნულ-სახელმწიფო ებრივი
მნიშვნელობის პირობაა.

ოკუპაციის პირობებში სრულფასოვანი სავალე-
ეთნოგრაფიული კვლევა საკმაოდ რთულია. თუმცა,
გარკვეული მასალის შეკრება მოხერხდა 2008 წლის
რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ახალგორის
მუნიციპალიტეტიდან დევნილი მოსახლეობის ჩასახლების
ადგილებში (წეროვანის დევნილთა დასახლება, წილკანი,
ფრეზეთი). სტატიაში გამოყენებულია ასევე,
ელექტრონულსა და ბეჭდვით მედიაში გამოქვეყნებული
მონაცემები.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ
ქართულმა ხელისუფლებამ გაატარა ღონისძიებები
ოკუპირებული ტერიტორიიდან საქართველოს
მოქალაქეების გამოსაყვანად. ახალგორის
მუნიციპალიტეტიდან დევნილი მოსახლეობისათვის
წეროვანის, წილკანისა და ფრეზეთის ტერიტორიაზე ააგეს
სტანდარტული ტიპის საცხოვრებლები ე.წ. “კოტეჯები”.
“კოტეჯი” წარმოადგენს სამოთახიან შენობას (საერთო
ფართით 58 მ²) ფრეზეთსა და წილკანში ეზოებში დგას
ხის ფიცრული ტუალეტები, წეროვანის დასახლებაში კი
ტუალეტი და აბაზანა საცხოვრებლის შეგნითაა
მოთავსებული. ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის
მონაცემების თანახმად, განსხვავებულია “კოტეჯებზე”
მიმაგრებული მიწის ფართობები: წეროვანში – 400 მ²,
წილკანში – 1000 მ², ფრეზეთში – 1000 ან 2000 მ².
წეროვანის დასახლებაში 2002 “კოტეჯია” (ახალგორის
მუნიციპალიტეტიდან დევნილ მოსახლეობას უჭირავს 1352
შენობა – ცხოვრობს 4700 ადამიანი). წილკანის დევნილთა
დასახლებაში – 400 “კოტეჯია” (ახალგორელებს უჭირავთ
354 შენობა – 1100 ადამიანი), ფრეზეთში 300 “კოტეჯია”
(ახალგორელები ცხოვრობენ 265-ში – 912 ადამიანი). სულ
ახალგორიდან დევნილებს ეკუთვნით 1971 “კოტეჯი” (6712
ადამიანი). დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის
70% (500 ადამიანი სახელმწიფო სექტორში, 1500 – კერძო
სექტორში).

ომის შემდეგ ახალგორის რაიონი, ე.წ.
დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის
დაქვემდებარებაში გადავიდა. ადამიანური რესურსებისაგან
დაცლილ რეგიონში ეკონომიკური სტაგნაცია დაიწყო.
ცხინვალის ხელისუფლება შეეცადა არალიარებული
სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში ახალგორის
ინტეგრაციისათვის ღონისძიებების გატარებას. რაიონის
ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტი სივრციდან
მთლიანად ჩამოშორების მიზნით გაატარეს რამდენიმე
ღონისძიება – სახელი შეუცვალეს ახალგორს და
საბჭოთა პერიოდის სახელწოდება ლენინგორი
დაუბრუნეს; იგეგმება ეთნიკური ქართველებისათვის 1990-
იანი წლების შემდეგ მიღებული “უკანონ” საცხოვრებელი
ფართების და მიწის ნაკვეთების ჩამორთმევა (სავარაუდოდ,
90-იან წლებში რეგიონიდან წასული ოსების
შესასახლებლად); ცდილობები, რაიონი საქართველოსაგან
ეკონომიკურად დამოუკიდებელი გახადონ, ზრდიან ე.წ.
სამხრეთ ოსეთიდან პროდუქციის მიწოდებას, აწყობენ
ცალკეულ “ჰუმანიტარულ” აქციებს, მოსახლეობას უწევენ
მატერიალურ და ფინანსურ დახმარებას, მიმდინარეობს
გზის მშენებლობა ცხინვალსა და ახალგორს შორის და
ა.შ. ვარაუდობენ, რომ ახალგორისა და ცხინვალის
შემაერთებელი ავტომაგისტრალის მშენებლობის
დასრულება და სატრანსპორტო კავშირების განვითარება
ხელს შეუწყობს ახალგორის რეგიონის სოფლის
მეურნეობის აღორძინებას, რადგან ხელმისაწვდომი
გახდება გასაღების ბაზარი როგორც ცხინვალის, ისე
რუსეთის მიმართულებით (*ძაგლება, 2013*). ახალგორის
რაიონის სოფლის მეურნეობის პოტენციალს ოსური მხარე
საქმაოდ გაზიადებულად აღიქვამს – “განსაკუთრებით
მდიდრად და ნაყოფიერად ითვლება წინაგარის ზონის
მიწები, სადაც კომპაქტურად განლაგებულ 1200 პეტარ
მიწაზე საქართველოში მოყვანილი ბოსტნეულის 35%
მოდიოდა” (*ძაგლება, 2013*).

დიდ იმედებს ამყარებენ რფსრ-სთან “საგანგებო
საგაჭრო რეჟიმის” ამოქმედებაზე, რომელიც 2012 წელს ე.წ.
სამთავრობათშორისო შეთანხმების სახით მიიღეს რუსეთმა

და ეწ. სამხრეთ ოსეთმა. ფიქრობენ, რომ იგი ბიძგს მისცემს სამომხმარებლო ფასების შემცირებას. 2014 წლისათვის ვარაუდობენ საინვესტიციო პროგრამით განსაზღვრული ობიექტების მშენებლობების დასრულებას. მაღალმთიანი და საოკუპაციო ზოლთან ახლო მდებარე სოფლებში სამედიცინო მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით შემოაქვთ ეწ. საფელდშერო-საბენიაქალო პუნქტები (ФАП - Фельдшерско-акушерские пункты), სადაც შესაძლებელი იქნება პირველადი დახმარების გაწევა. რესული სახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფენ საპენსიო ასაკის ძალოვანი ორგანოების ყოფილ თანამშრომლებს და აშ.

“ოსური ხელისუფლების” გეგმები საკმაოდ ძნელად განსახორციელებელი აღმოჩნდა. სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ტრადიციას და ოდესლაც აყვავებულ სოფლების მდგომარეობას ჩვენი მთხოვბელი ასე აღწერს: ახალგორის მოსახლეობა პროდუქტის გახაყიდად მამდე თბილისში დადიოდა, რადგან ცხინვალამდე ორჯერ მეტი დრო უნდოდა. ომის შემდეგ წინაგრის მხარე კი ომის შემდეგ ფაქტიურად უსიცოცხლო ზონად იქცა. ადრე აქურებს მთელი პროდუქტი გორში დაჭრნდათ გასაყიდად. ახლა ჯერ ახალგორში უნდა ჩაიტანონ, მერე იქნდან თბილისში უნდა წაიღონ. ამას დიდი დრო უნდა. ცხინვალში წაცებას აზრი არა აქვს, ეს არის “მეცნიერებულავი,” თითქმის აღარავინ ცხოვრობს. ახალგაზრდობა საერთოდ აღარ დარჩა ხულ რუსეთში წავიდა (ხანდაზმული მამაკაცი – წერვანის დასახლება).

ექსპერტი ეწ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკიდან აღნიშნავს, რომ ომის შემდეგ პერიოდში დაირღვა ქართველებსა და ოსებს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები. უმეტესად მთაში მცხოვრები ოსები და დაბლობში მცხოვრები ქართველები წინათ ურთიერთსარგებლიან ვაჭრობას ეწეოდნენ, ერთმანეთში საწარმო პროდუქციას ცვლიდნენ. ბაზარზე ოსებს ხორცი, ყველი, მატყლი, კარტოფილი, ხის ნაკეთობები ჩამოჰქონდათ, ქართველებს – კი ხილი, ბოსტნეული, მარცვლეული, სამრეწველო

საქონელი. ცხინვალს პროდუქტით ამარაგებდნენ ძირითადად ქალაქის ირგვლივ სოფლებში მცხოვრები ქართველები (ხარჯბო, 2011: 10).

ახალგორის რეგიონის მოსახლეობის ამჟამინდელი სამეურნეო ყოფა გარკვეულ კავშირშია ოსების ჩამოსახლებისა და სამეურნეო ყოფის განვითარების ისტორიასთან. ამ ისტორიის ხასიათზე არაერთგვაროვანი შეხედულებები არსებობს. ოსი ავტორების აზრით ოსების ძირითად საქმიანობას უფლევესი დროიდან მიწათმოქმედება წარმოადგენდა. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მოაქვთ არქეოლოგიური მონაცემები, კერძოდ, ოსეთის მთისა და დაბლობ რაიონებში აღმოჩენილი ბრინჯაოს სამიწათმოქმედო იარაღები, რომლებიც ჩ. წ. I ათასწლეულით თარიღდება. სკვითებთან გენეტიკური ნათესაობის თეორიიდან გამომდინარე, ოსებს მიაწერენ სკვითების სამეურნეო ყოფის დამადასტურებელ არტეფაქტებსაც. აღრეული მიწათმოქმედების დასაბუთებას ცდილობენ ფოლკლორული თქმულებებისა და რწმენა-წარმოდგენების საშუალებით. მიაჩნიათ, რომ ამ დარგის სიძველეზე მიუთითებს ნართების თქმულებებში სამიწათმოქმედო კულტურების სხენება, მიწათმოქმედებასთნ დაკავშირებული რიტუალების არსებობა და ის, რომ მეხორბლეობის ღვთაებას – უაცილას – ოსები განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ (კალოვვი, 1967: 65). ეს საკამათო დებულებაა. ალანებში, რომლებსაც ოსები უშუალო წინაპრებად მიიჩნევენ მიწათმოქმედების მაღალი კულტურის შესახებ პირდაპირი წერილობითი საბუთები არ არსებობს, არქეოლოგიურ არგუმენტაციაზე დამყარებული მსჯელობა კი უსაფუძვლოა, ვიდრე საბოლოოდ არ გარკვეულა ოსთა ეთნოგრენეზის საკითხი.

სამეცნიერო ლიტერატურაში მრავლად გხხვდება ზემოხსენებული მოსაზრების საწინააღმდეგო მონაცემები. ამიანე მარცელინის თანახმად, ალანები ვრცელ ტერიტორიაზე მომთაბარეობდნენ. მინდვრები გაველურებული იყო, რადგან მიწას არ ამუშავებდნენ. მათი ნაწილი შემგროვებლებას მისდევდა, ნაწილი მინდვრის

ნაყოფით იკვებებოდა, არ იცოდნენ კავი (სახვნელი), არ იცოდნენ თესვა (აღმანი 2003: 68). ამიანე მარცელინის ცნობებზე დაყრდნობით რ. თოფჩიშვილი დაასკვნის, რომ IV საუკუნის ბოლოსათვის ალანები (ოსთა წინაპრები) კავკასიის არც ერთ რეგიონში არ ცხოვრობდნენ; ამ დროისათვის ისინი მხოლოდ მომთაბარე მეურნეობას ეწეოდნენ და რჩენის ერთ-ერთი საშუალება ლაშქობა, ბინადარი ხალხების ძარცვა იყო (თოფჩიშვილი, 2008:). ზ. ჭიჭინაძის ცნობითაც, მას შემდეგ რაც შევე გიორგი ბრწყინვალებ ოსები შიდა ქართლიდან განდევნა, მათ სთხოვეს მევეს ხელოსნობის ცალკეული დარგების შესასწავლად ოსტატები მიეცა “თფილისიდამ გვიბოძეთ სამსამი კაცით თითო ხელობის, რომ მათ დაიწყონ აქ მუშაობა და ჩვენც გვექმნეს ყველა საჭირო სახმარებლიო. გონიერმა გიორგი ბრწყინვალებ კველა ეს ხელოსნებიც თან წაიყვანა, მალე ჩავიდა ოსეთში, ყველა ესენი დაამკვიდრა იქ, ამათ გაუხსნა სახელოსნოები და ამ გვარად შემოსა ტიტილიკანა და ფეხშიშველა ოსები“ (ჭიჭინაძე 1916: 6-7).

მოგვიანებით, ოსები თანდათანობით გადავიდნენ ინტენსიურ მეურნეობაზე რასაც ქართული საისტორიო წყაროებიც ადასტურებენ. ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში საუბარია, რომ ოსები მისდევდნენ მესაქონლეობას, მონადირეობას, მეფუტკრეობას, მეთევზეობას, ხელოსნობასა და შინამრეწველობას, მჭედლობასა და ზეინკლობას, ვაჭრობასა და გაცვლა-გამოცვლას (თოფჩიშვილი, 1977: 44-56). დასაბუთებულად შეიძლება გისაუბროთ, რომ სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების შედეგად რუსეთის იმპერიის შემაღებულობაში შესვლის შემდეგ ოსთა სამეურნეო ცხოვრებაში მიწათმოქმედებას უკვე წამყვანი ადგილი ეჭირა, მისი როლი იზრდებოდა დაბლობ რეგიონებში, ხოლო მთაში, პირიქით, მცირდებოდა მესაქონლეობის სასარგებლოდ.

ოსები სახლდებოდნენ ქართველ ფეოდალთა მიწებზე, მათი სოფლები ჩვეულებრივ მაღალმთიან და ტყიან ადგილებში მდებარეობდა. როგორც ბ. კალოევი აღნიშნავს

“ვერც უგზოობა, ვერც შვიდთვიანი ზამთარი, ვერ აჩერებდა ოსების გადმოსახლებას, რომელიც ყოველწლიურად იზრდებოდა (*კალოგი*, 1967: 61). ოსური მოსახლეობის მოძრაობას ქართული მთიანეთის გავლით ბარის სოფლებისაკენ გარკვეული პოლიტიკური და სამეურნეო-ეკოლოგიური მიზეზები განაპირობებდა, სადაც მთიანეთი ერთგვარ შუალედურ ეტაპს წარმოადგენდა. ბ. გამყრელიძე დააკვირდა ოსთა მიგრაციის თავისებურებებს და შეამჩნია, რომ 1886 წ. გუდაროს ხეობაში აღრიცხული იყო 281 ოჯახი. ოსური ოჯახების რიცხვი ძალიან ცვალებადი იყო, მათი ერთი ნაწილი მაღლევე ტოვებდა ამ ადგილებს და მიდიოდა საქართველოს სხვა ადგილებში, ხოლო სოფლები კვლავ იქსებოდა ჩრდილოეთიდან მიგრირებული ოსების ხარჯზე. ე. გაშაკიძის აზრით, ამ ხშირი მიგარციების მიზეზი ის იყო, რომ ოსები ტრადიციულად მიწაზე არ იყვნენ მიჯაჭვული, ამიტომ ცდილობდნენ მისოვის რაც შეიძლება სწრაფად და მეტი გამოეწოვათ, გამოფიტულ მიწებს ტოვებდნენ და სხვაგან გადადიოდნენ (გამჭრელიძე, 2003: 155). ამ დებულებას არ ეთანხმება და ჩიბიროვი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ოსების გადასახლების მიზეზი მცირემიწიანობა და მძიმე სამეურნეო ეკოლოგიური პირობები იყო (*ჩიბიროვი*, 1987: 415).

. 3. В конце 2013 года стало известно, что официальные претензии относительно сулугуни выдвинули армяне. Они подвергают сомнению принадлежность сулугуни грузинской культуре, признанную соответствующими структурами Евросоюза, и в предъявленном иске отмечают, что «сулугуни не является сыром грузинского происхождения, поскольку он производился во всем Советском Союзе». С целью подтверждения факта производства сулугуни во всем Советском Союзе армяне указывают, что «в период СССР для производства продукции использовались государственные стандарты, так наз. ГОСТ-ы, единые для всего государства. Соответственно, для Грузии дополнительной аргументацией в пользу «сулугуни» не может служить обозначение географического происхождения продукции». Исходя из сказанного, поскольку во времена Советского Союза у Грузии не было собственного ГОСТ-а, сулугуни не может быть признан частью грузинской этнической культуры. Прежде чем сделать комментарий по поводу этого nonсенса, скажем, что соответствующие европейские структуры, кроме сыра «сулугуни», требуют дополнительных историко-этнологических аргументаций относительно «аджарского члечили», «месхетинского чечили», «тушинского сыра гуда» и «чурчхелы».

Так как настоящая статья касается «сулугуни», на сей раз остановимся только на этом продукте. Все те, кто хорошо знают этнографию Кавказа, подтверждают, что армянский народ не знал и не знает сыра ни под аналогичным названием, ни изготовленного по аналогичной технологии. Если во времена СССР сыроваренные заводы Армении и России без ведома Грузии производили сулугуни, разве это доказывает, что указанный продукт не является элементом грузинской этнической культуры? Кто-нибудь брал разрешение на его производство у грузинского народа? Конечно, нет.

Теперь обратимся к соответствующей научной литературе: *I. Алла Тер-Саркисянц. История и культура армянского народа. С древнейших времен до начала XIX в., 2-е издание. - М., 2008.* Автор весьма известный, авторитетный армянский этнолог. Она фиксирует всего три вида армянского сыра, но ни один из них ни по названию («сулугуни»), ни по технологии изготовления даже близко не стоит к сыру, получаемому в результате варки и мешания, который крестьяне Западной Грузии производили в течение многих веков. Армянам были известны: а) «глух панир», или «сыр-головка»; б) «мотал», или рассыпчатый сыр и в) «тел панир» / «чечили», или нитевидный сыр. Кроме того, армяне добавляли в сыр зелень, особенно бекондара (тимьян, чабрец; англ. *oregano*). Такой сыр, как правило, выдерживали в бурдюках. *II. Армяне / Ответственные редакторы: Л. М. Варданян, Г. Г. Саркисян, А. Е. Тер-Саркисянц. - М., 2012.* В указанной солидной книге, касающейся армян и армянской культуры, в числе разновидностей армянского сыра названы те же разновидности, что и в предыдущей книге (с. 239). Но добавлена еще одна разновидность сыра «шор», стоящая где-то посередине между сыром и творогом. Внимание любого знатока грузинского языка привлечет название одного из распространенных среди армянского народа сыров «тел панир» / «чечили», или ниточный сыр. Такой же сыр готовили в историко-этнографических краях Юго-Западной Грузии и

точно под этим названием. На то, что сыр «чечили» заимствован армянами у грузин, непосредственно указывает его название «чечили», бесспорно являющееся грузинским словом, произведенным от прилагательного «чечили», «гачечили» («трёпаный», «растрапанный»). III. **Народы Кавказа. II / Под редакцией Б. А. Гарданова, А. И. Гулиева, С. Т. Еремяна, Л. И. Лаврова, Г. А. Нерсесова, Г. С. Читая.** - М., 1962. Из шести редакторов этого издания, посвященного народам Южного Кавказа, двое являются этническими армянами. Мы заостряем внимание на данном факте потому, что они общепризнанные ученые, и сомневаться в их компетенции у нас нет никаких оснований. Среди видов армянского сыра названы: «глух панир», «тел панир» и «шор» (с. 470). Теперь же прочитаем, что написано в указанной книге о разновидностях грузинского сыра, и в частности о «сулугуни»: *«В Грузии известны различные сорта сыра: тушинский (овечий), имеретинский, сулгуни. Для приготовления сулгуни молодой пресный сыр из коровьего или буйволиного молока оставляют два-три дня для «дозревания». Затем сыр режут тонкими кусками и опускают их в кипящую воду. Размякшую массу месяят, как хлебное тесто, и придают ей форму круглой лепешки. Приготовленный таким способом сулгуни едят или в свежем виде с соусом из молока с мяты и другими пряностями, или же жареным на вертеле, или в сушеном виде, причем его сушат либо на солнце, либо над очагом, и, наконец, из-под рассола. Сулгуни отличается острым кисломолочным вкусом и ароматом. Центр приготовления сулгуни Мегрелия (Западная Грузия), откуда (по данным Аристотеля) происходит известная древнему миру колхидская корова»* (с. 306).

К сожалению, надо констатировать, что нам приходится отстаивать свою правду на международной арене. Мы бы хотели посоветовать представителям Международного арбитража присутствовать на процессе приготовления сыра супругуни в семьях грузинских крестьян в различных историко-

этнографических краях Западной Грузии (Самегрело, Сванети, Имерети). С той же целью посетить и села Армении. Кроме того, побывать на рынках Тбилиси и Еревана, Зугдиди и Кировакана, Кутаиси и Ленинакана, где крестьяне, естественно, продают свой домашний сыр, и затем сделать справедливые выводы. Как мы уже писали выше, толкование грузинской лексической единицы «сулугуни» дано еще известным грузинским писателем и лексикографом *Сулхан-Саба Орбелиани* (1658-1725) в его «Грузинском словаре». Интересно, отыщется ли это слово в словаре армянского лексикографа *Рачия Ачаряна*? Мы уже говорили и о том, что с 1890-х годов из грузинского портового города Поти сыр «сулугуни», изготовленный в Западной Грузии по технологии варки и замешивания, в большом количестве вывозился в страны Западной Европы. Может, армянские ученые извлекут и опубликуют какие-либо архивные документы, подтверждающие экспорт «сулугуни» из Армении за границу.

Использованная литература:

- Абаев В. И.** Историко-этимологический словарь осетинского языка. Т. III. М., 1979.
- Абаев В. И.** О некоторых осетинских элементах в грузинском языке // Труды Института языкознания АН СССР. Т. VI. 1956.
- Абаев В. И.** Осетинский язык и фольклор. И. М.-Л., 1949.
- Абазины:** историко-этнографический очерк. Черкесск, 1989.
- Багратиони Вахушти.** Описание царства Грузинского / Текст по всем основным рукописям установлен С. Каухчишвили. Тб., 1973 (на груз. языке).
- Бжания Ц. Н.** Из истории хозяйства и культуры абхазов. Сухуми, 1973.
- Словарь грузинских народных говоров. I / Составил **Ал. Глонти**. Тб., 1974 (на груз. языке).

- Гугушвили П.** Кустарная промышленность в Грузии и Закавказье в 1801-1820 годах // Труды Института экономики. Тб., 1950 (на груз. языке).
- Калоев Б. А.** Осетинские историко-этнографические этюды. М., 1999.
- Калоев Б. А.** Осетины (Историко-этнографическое исследование). М., 1971.
- Орбелиани С.-С.** Сочинения. Т. IV-2. Тб., 1966 (на груз. языке).
- Осетины** / Ответственные редакторы: **Цаллагова З. Б., Чибиров Л. А.** М., 2012.
- Топуриа Н.** Народные методы обработки молока в Самегрело (сыр) // Хозяйственный быт и материальная культура грузинского народа. Тб., 1964 (на груз. языке).
- Флейшман В.** Молоко и молочное дело. Вологда-Москва, 1927.
- Чиковани Т.** Этноархеологические этюды. Тб., 1989 (на груз. языке).

თვალსაზრისი

როლანდ თოფჩიშვილი

ტრადიციების შესახებ¹

ბოლო დროს სოციალურ ქსელში გამოჩნდა ჩამონათვალი 10 ქართული ტრადიციისა, რომლებიც ავტორის აზრით „შესაცვლელია და დასავიწყებელია“. გვაინტერესებს თქვენი როგორც ეთნოლოგის პოზიცია ამ ფაქტთან დაკავშირებით, რადგან ეთნოლოგის კვლევის ერთ-ერთი ძირითადი სფერო ტრადიციებია.

— გავეცანი ამ ჩამონათვალს. პირველ ყოვლისა, ხაზი უნდა გავუსვა იმას, რომ ჩამონათვალის შემდეგენს საერთოდ არა აქვს ცოდნა ტრადიციებისა და ზოგადად ეთნოლოგის შესახებ. რა არის ტრადიცია? ძალიან მოკლედ რომ ვთქვათ, ტრადიცია არის ისტორიულად ჩამოყალიბებული ქცევის მტკიცე წესები, შეხედულებები, გემოვნება, წეს-ჩვეულებები, რომელიმე ეთნოსის ზე, ჩვეულება, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და რომელიც მისი კულტურის მემკვიდრეობითობასა და ერთობას უზრუნველყოფს, ხალხები ერთმანეთისაგან არა მხოლოდ ენით, არამედ ტრადიციებითაც, ეთნიკური კულტურითაც განსხვავდებოდნენ და განსხვავდებიან. ტრადიციაა ის ზე, ჩვეულება, რომელზედაც საზოგადოებას მოთხოვნილება გააჩნია, რაც ფუნქციონირებს. ტრადიციას ევოლუციონისტებმა და მარქსისტებმა ტერმინი გადმონაშორი დაუპირისპირება, რაშიც გულისხმობდნენ საზოგადოებისათვის შეუფერებელ წეს-ჩვეულებებს. საბჭოთა ეპოქაში ასეთ ტრადიციებს ანუ გადმონაშორებს ბოლშევიკებმა ბრძოლა გამოუცხადეს. განსაკუთრებით დაუნდობელნი იყვნენ

¹ intervju 2014 wlis ianvris TveSi CamogvarTva gazeT `kviris palitris~ korespondentma, romlis dastambva gazeTma mizanSewomilad ar CaTvala. krebulSi ibeWdeba aRniSnuli intervius gafarToebuli varianti.

რწმენის მიმართ. 1970-იან წლებში საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ ხელახლა გამოუცხადა ბრძოლა კ.წ. მავნე ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს. მაგრამ შედეგად რა მიიღეს? მოსპეს რომელიმე ტრადიცია? პირიქით, ასეთმა მცდელობამ უკუშედეგი გამოიღო და საზოგადოებისათვის მიუღებელი ბევრი ნოვაცია გაჩნდა. ტრადიციაზე, თუ ის საზოგადოებისათვის მიუღებელია, თვით საზოგადოებამ უნდა თქვას უარი. XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ქართულ ტრადიციებს ბრძოლა გამოუცხადა ცარიზმაც, რათა ქართველთა ეთნიკურობის ერთ-ერთი ნიშანი გაექროთ, მაგალითად, თბილისელებს უკუნობას უკრძალავდნენ. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ხელისუფლებამ უკუშედეგი მიიღო, ხალხში მდელვარება დაიწყო და ხალხმა მეფის გენერლებისა და პოლკოვნიკების გამასხარავება დაიწყო. ეს მაგალითები იმიტომ მოვიხმეთ, რომ ტრადიციებში ჩარევა, გარედან ზემოქმედება ვერავითარ შედეგს ვერ მოიტანს. საზოგადოება თავად უნდა მივიღეს ასეთ გადაწყვეტილებამდე, რომ ძველი ტრადიცია თანამედროვეობისათვის მიუღებლად მიიჩნიოს.

„ათ ქართულ ტრადიციასთან“ მებრძოლი რადაცნაირად ბოლშევიკის ასოციაციას იწვევს. ნეობოლშევიზმი კი დიდი ხიფათის შემცველია, მან შეიძლება საზოგადოების შიგნით დაპირისპირება გამოიწვიოს. ქართველ ხალხს სრულად არ მოუტანია დღემდე ის წეს-ჩვეულებები, რასაც საუკუნეების განმავლობაში ქმნიდა. იქმნებოდა ინოვაციებიც. ინოვაცია ესაა ეთნიკური კულტურის ახალი მოვლენა, რომელიც ეთნოსის განვითარების წინა სტადიაზე არ არსებობდა, მაგრამ გამოჩნდა შემდეგ და მისი ორგანული ნაწილი გახდა. კულტურული ინოვაცია ორი გზით ჩნდებოდა: შინაგანი განვითარებით და გარეგანი ზემოქმედებით. ინოვაცია გარკვეული ხნის შემდეგ ტრადიციებად გარდაიქმნებოდა. მიმაჩნია, რომ, მართლაც, ზოგიერთი რამ ქართველ ხალხს შესაცვლელი აქს, გლობალიზაციისა და მოდერნიზაციის ეპოქა გარკვეულ მსხვერპლსაც მოითხოვს, ზოგიერთი რამ თანამედროვე

საზოგადოებისათვის მიუღებელია, მაგრამ მათი აკრძალვა მხოლოდ და მხოლოდ ნეობოლშევიზმი იქნება და მეტი არაფერი. ბოლშევიზმიდან ნეობოლშევიზმში უნდა ამოვყოთ თავი? საბჭოთა პერიოდში ბევრი ტრადიცია შეირჩვნა, ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, მიუღებელი ნოვაცია გაჩნდა, რაც ერთგვარი პროტესტის გამოხატულებაც იყო იმ სისტემისათვის.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველი ადამიანი, რომელიც, ამავე დროს, პომო ეტნიცუს-იცაა თავის თავის რეალიზებას ტრადიციულ ანუ ეთნიკურ სისტემებში ახდენდა და ახდენს. ცნობილი ფრანგი ანთროპოლოგი ლუის-ხეროსი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ადამიანი თავისი რაობის რეალიზაციას ახდენს არა აბსტრაქტულ კაცობრიობაში, არამედ ტრადიციულ კულტურებში, სადაც ყველაზე რევოლუციური ცვლილებებიც კი არ შეეხებიან წარსულის არსებით საფუძლებს და თვით ისინი შეიძლება აგხსნათ დროსა და სივრცეში მკაცრად განსაზღვრული სიტუაციიდან გამომდინარე“. არც იმის დავიწყება არ შეიძლება, რომ ყოველი ეთნოსის და მისი ტრადიციების თავისებურებებზე არსებით გავლენას ახდენდა და დღესაც ახდენს ბუნებრივი პირობები. ტრადიციების შემსწავლელი ყველა ცნობილი მეცნიერი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, კლიმატი თავის დაღს ასვამს ამა თუ იმ საზოგადოების არა მხოლოდ სამურნეო საქმიანობაზე, არამედ ქვევის სტერეოტიპებსა და ეთნოგსიქოლოგიაზე. ასე რომ, ტრადიციების შეცვლა თითოეული ადამიანის და თუგინდ ადამიანთა ჯგუფის ნებასურვილზე არაა დამოკიდებული.

დასავიწყებელ ტრადიციათაგან ერთ-ერთი პირველი დასახელებულია მსხვერპლშეწირვა; რამდენად იზიარებთ ამას და ზოგადად საიდან იღებს სათავეს მსხვერპლთშეწირვა? ის მხოლოდ ქართველებისთვისაა დამახასიათებელი?

— რელიგიური დღესასწაულის დროს მსხვერპლთშეწირვა ნამდვილად ძველისძველი ტრადიციაა. თქვენ კორექტულად დასჭირ შეკითხვა. „10

ტრადიციასთან“ მებრძოლს კი საქმაოდ მუქ ფერგბში აქვს დახატული. თურმე „სისხლიანი მსხვერპლებშირვის რიტუალი შოგში აგდებს ნებისმიერ მნახველს“. ის საზს უსგამს იმაზე, რომ მან შეიძლება ბავშვის მომავალი განვითარება დაამახინჯოს. მსხვერპლობრივი ისტორიული მსოფლიოს ყველა ხალხისათვის იყო დამახასიათებელი. მხვერპლობრივი გარკვეულ რწმენა-წარმოდგენებთან იყო დაკავშირებული. პირველყოფილ-მა/პრიმიტიულმა სალხებმა ადამიანის მსხვერპლობრივი კი იცოდნენ. ტომის წინამდღოლს იმ ქვეყანაშიც ჭირდებოდა ქვეშვრდომები. შინაური ცხოველების მსხვერპლობრივი ქრისტიანობამდელ საქართველოში საყოველთაო მოვლენა იყო. ჩეგნში იცოდნენ მამალი საქონლის, ცხვრის, ფრინველის შეწირვა. ჩეგულებრივ ესენი ის ცხოველები იყო, რომლებითაც ადამიანები იკვებებოდნენ. მაშინ ადამიანები ცხოველის ხორცს, როგორც ახლა, ყოველდღიურად არ მიირომევდნენ. წელიწადში მხოლოდ რამდენიმეჯერ შეუქცეოდნენ და ხორცის ჭამის ერთ-ერთი პერიოდი ძირითადი რელიგიური დღესასწაული იყო. ბევრგან დროთა განმავლობაში მსხვერპლობრივი სალოცავის/ეკლესიის ეზოში შესაწირი ცხოველის ან ფრინველის გაშვება ჩაენაცვლა. ქრისტიანობა, ბენებრივია, ყველანაირ ქრისტიანობამდელ წეს-ჩვეულებას ებრძოდა. ეს ბრძოლა დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა. მსხვერპლობრივიასთან კი ქრისტიანობა არა მარტო საქართველოში, არამედ სხვაგანაც ერთგვარ კომპრომისზე წავიდა. მსხვერპლობრივი იციან ისეთ კლასიკურ ქრისტიანულ ქვეყანაშიც, როგორიცაა სომხეთი (განსხვავება იმაშია, რომ საქართველოში მსხვერპლობრივი შეწირული ცხოველი ან ფრინველი უნდა აუცილებლად მოეხარშათ, სომხეთში კი მხოლოდ მას მთლიანს წვავდნენ). ისლამურ სამყაროშიც მსხვერპლობრივი ჩვეულებრივი ამბავია. კათოლიკე მისიონერები შუა საუკუნეებში საქართველოში ქართველთა ქრისტიანობას აღნიშნული ტრადიციის გამო, ეჭვს ქვეშ აყენებდნენ. თუმცა კათოლიკურ ეკლესიასაც მოუხდა ბევრ

ქრისტიანობამდელ წეს-ჩვეულებასთან კომპრომისზე წასვლა. მაგალითად, XIII საუკუნეში სამხრეთ საფრანგეთში ლიონის მახლობლად ერთ-ერთი ბერი ცრურწმენის მოწმე გახდა - გლეხები თაყვანს სცემდნენ „წინდა გინეფორს“. სინამდვილეში გინეფორი კათოლიკე წმინდანი არ ყოფილა; ის იყო მწევარი, რომელსაც, ლეგენდის თანახმად, ბავშვი ჰყავდა გადარჩენილი. ბერმა მკაცრად აუკრძალა გლეხებს ეს ბიწიერი კულტი. XIX საუკუნეშიც იმავე სოფლის მკვიდრნი უწინდებურად ეთაყვანებიდნენ „წმინდა გინეფორს“. ასე რომ, ოფიციალურ ქრისტიანობასა და „ხალხურ ქრისტიანობას“ შორის ყველგან იყო განსხვავება. განსაკუთრებით ძლიერი იყო „ხალხური ქრისტიანობა“ და, შესაბამისად, მსხვერპლთშეწირვა საქართველოს მთიანეთში. რელიგიური დღესასწაულებისას მსხვერპლთშეწირვას ისტორიულ საქართველოში არავინ შოკში არ ჩაუგდია. ჩვეულებრივ სოფლებში საქონელს, ცხვარს, თხას, ღორს პატარების თანდასწრებითაც კლავდნენ. ადამიანები ბავშვობიდანვე ეწვევოდნენ ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ მოვლენებს. ხოლო დღეს თუ თანამედროვე ბავშვებს ის შოკში აგდებს და მათ განვითარებას ხელს უშლის, ამის შესახებ იქნებ ფსიქოლოგისათვის გეკითხათ. ისე, საინტერესოა, თანამედროვე ბავშვებზე როგორ მოქმედებს ფილმები, რომლებშიც ადამიანებს კლავენ ანდა ტელესიუჟეტები, რომლებშიც მოკლულ ადამიანებს აჩვენებენ და კიდევ სხვა უმსგავსოებებს. ეს ფილმები ხომ თანამედროვე ცივილიზებულ დასავლეთშია შექმნილი.

ქეიფი საფლავზე (მაგალითად, აღდგომას), რამდენად მისაღებია? ამ ტრადიციამ ხომ არ განიცადა ერთგავრი სახეცვლილება და დღეს ხომ არაა დამახინჯებული ფორმით? როგორი იყო წარსულში ის?

- ზემოთ როდესაც აღვინიშნე, რომ „10 ქართული ტრადიციის“ მგმობელმა არ იცის რა არის ტრადიცია, ამასაც ვგულისხმობდით. შარშან აღდგომის დღეებში ერთ-ერთმა უცხოურმა არხმა სათაურით „ქეიფი მიცვალეულებთან“ სიუჟეტი გადასცა. ბუნებრივია, ინფორმაცია უცხოელებს აღდგომის დროს ე.წ. ქეიფის

შესახებ ქართველებმა მიაწოდეს. ტრადიციას დაშორებული ერთ-ორი მოვლენა, სიმახინჯე ტრადიცია ნამდვილად არაა. ქართველ ხალხს პქონდა და აქვს ქრისტიანული ტრადიცია საფლავების მონახულების, წინაპრების, ოჯახის გარდაცვლილი წევრების გახსენების. ქრისტიანული რიტუალები ღვინის გარეშე წარმოუდგენელია. ბუნებრივია, ქართველებიც გარდაცვლილებს ღვინით, შესანდობარით იგონებდნენ, იგონებდნენ მის გაკეთებულ კეთილ საქმეებს, პატივს მიაგებდნენ მათ ხსოვნას. საქართველოში საფლავზე ქეიფი და ორობა ტრადიცია არასძროს ყოვილა. შესანდობარის თქმის შემდეგ ღვინის დიდ ნაწილს საფლავზე ასხამდნენ. ეს იყო ტრადიცია და არა ქეიფი და ღვინის განუზომელი ხმა. საფლავზე გასვლა არა მხოლოდ ალდგომის დღეს იცოდნენ ქართველებმა; საქართველოში სასაფლაოები ჩვეულებრივ ეკლესიების ირგვლივ იყო. ეკლესია ოუ წმიმდა გიორგის, ღვთისმშობლის, კვირაცხოვლის, წმინდა ნიკოლოზის და ა. შ. იყო, შესაბამისად ქართველები მიცვალებულთა საფლავებზე თავს იყრიდნენ გიორგობას, ღვთისმშობლობას, კვირაცხოვლობას, ნიკოლოზობას... მაგრამ ყველაფერი ზომიერების ფარგლებში იყო. აქ შეუძლებელია არ გავიხსენო ერთი ჩვენი გერმანელი კოლეგა, რომელიც ქართული ლხინისა და ჭირის სუფრის ტრადიციებს სწავლობდა და პირადად მე რამდენჯერმე მყოლია ასეთ სუფრაზე, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მან რეგულარულად დაიწყო თავისი წინაპრებისა და ნათესავების საფლავებზე სიარული ღვინით და ის ისეთსავე წესს ასრულებს იქ, როგორსაც ქართველები, ღვინით იგონებს და მიწას მით აჯერებს. ვიმეორებთ, დღეს ოუ მართლაც ვინმე გართობასა და სმას ეძლევა საფლავზე, ეს მახინჯი ნოვაციადა და მისი სათავე თანამედროვე როულ სოციალურ ვითარებაში უნდა ვეძენოთ და არა ტრადიციაში. მიცვალებულთან დაკავშირებით საბჭოთა პერიოდში ბევრი სიმახინჯე რომ გაჩნდა, ამის დასადასტურებლად ერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ: არსებობს XIX საუკუნის ეკლესიის

მიერ შედგენილი მიცვალებულის რეგისტრაციის სიები (ასაკი, გარდაცვალების მიზეზი, გარდაცვალებისა და დაკრძალვის დღეები). ამ სიებში ვერ ნახავთ ვერც ერთ შემთხვევას მიცვალებული გარდაცვალებიდან მესამე დღეს რომ არ იყოს დაკრძალული. ეს იყო მართლმა-დიდებლური ტრადიცია მიცვალებულის მესამე დღეს დაკრძალვისა. მიცვალებულის ერთი კვირით შენახვა საბჭოთა ქართველის ათეისტურ საზოგადოებაში წარმოქმნილი ტრადიციის დამახინჯება გახლავთ. ქრისტიანულ ეკლესიას და ქართულ ტრადიციას არც დაკრძალვის დღეები ჰქონდა დაკანონებული, როგორც ეს ახალა. მიცვალებული მესამე დღეს უნდა დაკრძალულიყო და ეს დაკრძალვა ორშაბათს მოხდებოდა, ოთხშაბათს თუ პარასკევს, ამას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

სასმელის დიდი რაოდენობით დალევა ეს ქართული ტრადიციაა და თუ აქაც ტრადიციის დამახინჯებასთან გაძეს საქმე?

— ალკოპოლიზმსაც, სასმელის განუზომელი რაოდენობით სმასაც ტრადიციებთან არავითარი საერთო არა აქვს. ქართულ ტრადიციულ საზოგადოებაში სასმელს ზომიერად მიირთმევდნენ. ვის ეცალა მუდმივად სმისათვის? ლოთი და განუზომლად სმის მოყვარული ხალხი ასეთ სუფრულ სიმღერებს შექმნიდა? რა თქმა უნდა, არა. ტრადიციულად ქართველებმა ჭამაც ზომიერი იცოდნენ. აკადემიკოსი გ. ჩიტაია ერთგან აღნიშნავს: „ჭამის დროს ქართველები თავშეეკავებულები არიან. ქართული ანდაზის მიხედვით „ვაჟკაცს უნდა შეეძლოს ცხრა სუფრის გამოცვლა და ისევ იყოს ჭამისაგან მოუყიორქებელიო“ ან კიდევ „ჭამის შემდეგ ხილობაო, არის გარიშვილობაო“ და სხვა“.

როდესაც სასმელზე ვსაუბრობთ გვერდს ვერ ავუვლით თამადის ტრადიციას, თამადობის ინსტიტუტს. უნდა იყოს თუ არა ეს და როგორი ფორმით იყო ის ადრე? აგრეთვე რამდენად სწორია ამავე თამადის მხრიდან სასმელის დამალება? ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში თუ გგხვდებდა მსგავის მაგალითები?

— თამადის ინსტიტუტი ნამდვილად ქართული ტრადიციაა. თამადად ირჩევდნენ მჭერმეტყველს, საპატივცემულო და ასაკოვან ადამიანს. კარგი თამადის მოსმენას არაფერი სჯობდა. სუფრაზე უფროსები უმცროსებს ზრდიდნენ, კაცობის, პატიოსნების მაგალითებს აძლევდნენ. თამადა ხშირად იხსენებდა წარსულს, საგმირო ამბებს — ამით მტერთა ხშირი თავდასხმების ეპოქაში თამადის მსმენელი ახალგაზრდები პატრიოტებად იზრდებოდნენ. აგრეთვე უმცროსები უფროსებისადმი მოწიწებას სწავლობდნენ. ქართული სუფრა ერთგვარი სპექტაკლიც იყო. კარგი თამადა მჭერმეტყველი, ენამახვილი და იმპროვიზატორიც იყო. საქართველოში ვის როგორც შეეძლო ისე და იმდენ ღვინოს მიირთმევდა. თამადა არასდროს არავის აძალებდა სასმელს. ვინც კარგი მსმელი იყო, ისინი უფრო დიდხანს რჩებოდნენ სუფრაზე და შეიძლება ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ კიდევაც სმაში. მაგრამ, ვიმეორებ, სუფრიდან ისე უნდა ამდგარიყო ქართველი ფეხი არ არეოდა და სახლში სხვისი მისაყვანი არ გამხდარიყო. სადღეგრძელოს აუცილებლად მოხდევდა სიმდერა, სიმდერას — ლექსი, ლექსს — ცეკვა. XIX საუკუნის ბოლოს ფრანგი ბარონი დე ბაი წერდა: „ყველ სადღეგრძელოს მოხდევს დამსწრეთა გუნდური სიმდერა ხანგრძლივი სიცოცხლისა და ზღვა ბედნიერების სურვილით“. „ყველამ თავაზიანად შემომთავაზა მასპინძლობა ქართული წესისამებრ, რაც გულისხმობს სუფრისა და კონცერტების მონაცემეობას, მართლაც, როგორც მოგახსევთ, თითოეულ სადღეგრძელოს მოხდევს სიმდერა“. სადღეგრძელო, სიმდერა, ლექსი, ცეკვა, ხუმრობა ჩვეულებრივი ამბავი იყო და ქორწილში ისე დაათენდებოდათ, რომ გალეშილი ამ ქორწილიდან არავინ გამოვიდოდა. XVII საუკუნის ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელიც თბილისში ბატონიშვილის ქორწილს დაქსწრო გაოცებული იყო ქართულ სუფრაზე არსებული წესრიგითა და სისტემატიურობით. ის ხაზგასმით აღიშნავდა, რომ „სუფრაზე სამი ეკროპელი ვიზუალ და ჩვენ უფრო მეტს ვხმაურობდით, ვიდრე ყველა

ის ასორმოცდაათი კაცი, რომელიც სეფაში იყო“:
აგრეთვე, მამაკაცების უმეტესობამ იცოდა თავის ნორმა.
მე ვიცი, რომ პაპაჩემი ორ ლიტრზე მეტს არ სვამდა. ორი
ლიტრის შემდეგ ფეხი აერეოდა და სირცხვილ იყო
სუფრიდან ასე ამღარიყო. ოქროს სტუმარი რომ
მოსვლოდა, ბოდიშს მოიხდიდა, ეტყოდა: ჩემი ნორმა მე
უკვე მივიღე და თუ სტუმარი გააგრძელებდა სმას, ის
სუფრაზე რჩებოდა, მაგრამ მეტს აღარ სვამდა. ასეთი იყო
ქართველი მამაკაცების უმრავლესობა. ისევ
ზემოსენებულ ბაროხ და ბაის უნდა მოვუსმინოთ: „ერთ-
ერთი ქართველი მარწმუნებდა, – „ათას კაცზე, ერთი
ლოთი თუ შეგხვდება, ისიც ნაცვმი და სასაცილოდ
აგდებული არისო“. კახეთში ბევრ დვინოს აყენებენ,
ბევრსაც სვამენ, მაგრამ არ თვრებიან“. ქართულ სუფრაზე
როდესაც ადამიანს ადდეგრძელებენ, ხშირად მას
აღმატებით თვისებებს მიაწერენ, მაგრამ განა ყოველთვის
ეს ასეა? – რა თქმა უნდა, არა. ვისაც ამას ეუბნებიან, მას
უბრალოდ ახსენებენ, რომ სასურველია ასეთი და ასეთი
იყოს. ესეც აღზრდის, ადამიანზე ზემოქმედების ერთ-ერთი
საშუალებაა. ასეთი სუფრები ქორწილების, დღეობების,
ხატობების, საგვარო თავფრილობების, ქელებების –
ინახავს ძველ ადამიანურ ურთიერთობებს, ნათესაობას არ
ავიწყებს. ადამიანები ერთმანეთის მიმართ
გაუცხოვებულნი არ ხდებიან. ასეთ თვისებებს კი,
რამდენადაც ცნობილია, ბევრი ევროპელი შემოგვანატრის.
სხვათა შორის, ქართული ტემპერამენტის ჩამოყალიბებაში
დვინოს (ნივთიერებებს, რომლებიც მასში შედიოდა)
განუსაზღვრელი როლი აქვს ნათამაშევი, იგივე შეიძლება
ითქას ქართულ მრავალ ხმიან სიმღერებსა და
ცეცხლოვან ცეკვებზე, რომლებითაც ჩვენ ასე ვამაყობთ.

ორიოდე სიტყვა მიცვალებულის ტრაპეზის
შესახებაც უნდა ითქვას. ქელების მასშტაბები ძალიან
შეზღუდული იყო. ტრაპეზს უშლიდნენ მხოლოდ შორი
სოფლებიდან მოსულ ნათესავებს. ქელებში ახლაც
ტრადიციულ ქართულ სოფელში ჭიქა დვინოს არავინ
დაცლის ბოლომდე. ისტორიულ საქართველოში
თავდაპირველად ქელებში მხოლოდ სამ შესამდობარს

მიირთმევდნენ, მიცვალებულსა და მის ახლო ნათესავებს მოიგონებდნენ. შემდეგ სამი შესანდობარი შვიდმა შესანდობარმა შეცვალა. ამას არასდროს გაცდებოდნენ. მიცვალებულის ტრაპეზზე ცოცხლების სადღეგრძელო წარმოუდგენელი იყო. ტრაპეზიდან მალევე უნდა წამოშლილიყვნენ. მაშინდელი საკომუნიკაციო საშუალებები დიდხანს დარჩენის საშუალებას არც იძლეოდა. მიცვალებულთან დაკავშირებული ტრადიციები საბჭოთა პერიოდში ნამდვილად შეიცვალა, იმრავლა ხალხმრავალმა ქელებებმა, რაც თავის მხრივ, ნაცნობთა წრის გაფართოვებამაც გამოიწვია. ხალხმრავალი ქელებები (და, საერთოდ, სუფრები) თანამედროვე ქართული საზოგადოებისათვის ნამდვილად მიუდებელია. ალბათ, ხალხი თავად უნდა მივიდეს სათანადო გადაწყვეტილებამდე. გარედან ჩარევა, რაიმე კანონის მსგავსის მიღებამ შეიძლება უკუ რეაქცია მოგვცეს. საჭიროა საქართველოს ეთნოლოგიის ხალხში ფართოდ დანერგვა და უფრო ადრე დაუბრუნდება ხალხი წინაპართა ტრადიციებს. ალბათ, ამ პრობლემას კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება და საშუალო ფენის შექმნაც ადვილად მოაგვარებს. ტრადიციებთან მებრძოლი როდესაც ლვინის სმის კულტურას ებრძის, ძალაუნებურად გორბაჩოვი მასესენდება, რომელმაც საბჭოთა იმპერიაში მშრალი კანონი შემოიღო და, ფაქტობრივად, სმა აკრძალა. არასდროს დამავიწყდება გასოცოდავებული ქართველი გლეხები, რომლებსაც სიმწრით ნაყიდ არყის ქვაბებს ართმევდნენ. ზემოთ ბოლშევიზმი და ნეობოლშევიზმი ვახსენეთ. ბოლშევიზმსა და ნეობოლშევიზმს, სხვათა შორის, ათეიზმიც აერთიანებთ.

ქეიფის დროს მამაკაცებს შორის პატივისცემის ნიშნად ურთიერთ ხვევნა-კოცნა რამდენად იყო ჩვენითვის ტრადიციული?

— არც მამაკაცების ერთმანეთის კოცნა იყო საქართველოში მიღებული. მხოლოდ საპატივცემულო პიროვნებებს, ასაკით უფროსებს მხარზე ეამბორებოდნენ. მამაკაცების მიერ ერთმანეთის კოცნა შეხვედრისა თუ

ქეთის დროს საბჭოთა პერიოდში დამკვიდრდა. ასაკით უფროს ადამიანებს, ალბათ, ახსოვთ როგორ კოცნიდნენ ერთმანეთს კომუნისტური პარტიის „ბელადები“ პარტიულ შეკრებებზე და ურთიერთშეხვედრის დროს. ეს სენი მამაკაცების ერთმანეთის კოცნისა მაშინ შეეყარა ქართულ საზოგადოებას. სხვათა შორის, საქართველოში სულ რაღაც სამი თაობის წინ მშობლების მიერ ბავშვების/შვილების კოცნაც კი არ იყო მიღებული. ამ მხრივ ფრიად მნიშვნელოვანი ინფორმაცია აქვს დაცული XVIII საუკუნის ფრანგ დე გრაი დე ფუას, რომელიც რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოში მოვლენილი ავანტურისტი გენერლის ტოტლებენის ადიუტანტი გახლდათ. ტოტლებენის ერეკლე II-თან მიღებაზე მიყვანისას დე ფუა შემდეგს გადმოგვცემს: „როდესაც ტოტლენენმა ჩარდახის წინკარს მიაღწია, მას წარუდგა ერეკლეს ვაჟი. ტოტლებენი გადაეხვია მას, რამაც განაცვიფრა ეს ყმაწვილი კაცი, ვინაიდან ჩვეულება იმისა, რომ მამაკაცები ერთმანეთს გადაეხვიონ, საქართველოში ჯერ მიღებული არ არის. შემდეგ კარებში მას დახვდა ერეკლეს ბიძა, საქართველოს პატრიარქი (კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I, იესე მეფის ძე – რ. თ.). გრაფმა მოინდომა გადახვეოდა მას, მაგრამ პატრიარქმა უკან დაიხია, პირველი გადასახა მას და პირველი შევიდა ჩარდახში“. ისიც საყურადღებოა, რომ სიტყვა „ქეთის“ ქართული არაა; ის აღმოსავლური კაიფის ვარიანტია. ეს ლექსიკური ერთული სულხან-საბა ორბელიანმა არ იცოდა. საქართველოში მხოლოდ ნადიმობა ანუ მეჯლისები იცოდნენ. ნადი თუ სამუშაქოდ შეყრა იყო, ნადიმი – ტრაპეზზე შეყრა.

მზითვების ტრადიცია მხოლოდ ქართველებისთვისაა დამახასიათებელი? ხომ არაა ეს ტრადიცია ერთგავარად ძველმოღური?

– ისტორიულ საქართველოში მამის კერაზე ცხოვრებას ვაჟები აგრძელებდნენ. ქალი სხვა გვარში, სხვა ოჯახში შედიოდა. მიწას და სახლს მემკვიდრეობით ვაჟი იღებდა და არა ქალი. მზითვი ქორწინების წინაპირობა არასოდეს ყოფილა. ის მხოლოდ მე-19

საუკუნეში, კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვისას გაჩნდა აქა-იქ. მაგრამ მშობლების ოჯახიდან ქალსაც ხომ ეკუთვნოდა თავისი წილი და მისი სამემკვიდრეო ქონება მზითევი იყო. ეს იყო იმდროინდელი ცივილური ურთიერთობის გამოხატულება. საქართველოში ხომ ქალს არ ყიდიდდნენ. აღმოსავლეთისა და ჩვენს მეზობელ მუსლიმებში ქალის გამოხასყიდს ურვადი ერქვა. მზითევის გატანების ტრადიცია სხვა ხალხებისათვისაც იყო დამახასიათებული. მე არ მესმის რაა დასაძრახისი ან ძველმოდური იმაში თუ მშობლებმა გათხოვილ ქალიშვილს ოჯახიდან გარკვეული ქონება ან სხვა რაიმე ფულადი სახსოვარი უბოძეს? თუ მზითევის ტრადიცია დღესაც ცოცხალია, ე. ი. ის ამ საზოგადოებისათვის მისაღებია. ეს წეს-ჩვეულება თუ სხვის უფლებებს არ არღვევს, მაშინ რატომ უნდა იყოს ვიდაც მისი წინააღმდეგი. მე ვიცი არაერთი შემთხვევა, როდესაც პატარძლისთვის მშობლებს ხელმოკლეობისა თუ სხვა რამ მიზეზით მზითევი არ გაუტანებიათ, მაგრამ ახალი ოჯახების შემქმნელთათვის მას პრობლემები არ შეუქმნია. მზითევი ოჯახის ქალიშვილის, ახალი ოჯახის საკუთრება იყო და არის; ის პატარძალს ქმრისა და მისი ოჯახის წევრებისათვის კი არ მიკრინდა, ის მისი საკუთრება იყო მშობლებისაგან მიღებული. მზითევთან ერთად ქალს „სათავოსაც“ აძლევდნენ (სათავო ძირითადად ძროხა იყო, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ქალი ფლობდა და თავისი შეხედულებისამებრ იყენებდა მას). მე ვერ ვხედავ დღესაც რაიმეს მიუღებელს იმაში, რომ ქართული ტრადიციის თანახმად (ვისაც ამის სურვილი და შესაძლებლობა გააჩნია) მშობლები თავის გათხოვილ ქალიშვილს, რომელიც ახალ ოჯახს ქმნის, გვერდში ამოუდგნენ და თუგინდ ეს გვერდში ამოდგომა მზითევის ფორმით გამოხატონ. თუ დროთა განმავლობაში ქართული საზოგადოება მასზე უარს იტყვის, ვერც ამაში დავინახავ ტრაგედიას. დღეს, მართალია, თანამედროვე კანონმდებლობით, ქალიც და ვაჟიც მშობლების ქონების თანაბარი მემკვიდრეები არიან, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ ტრადიცია ამ შემთხვევაში ისევ ძველებურია?

ტრადიციას ასე უცბად, მექანიკურად, ბრძანებით ვერავინ შეცვლის.

ისე, როგორც ჩანს, ზოგიერთს ჩვენში ყველაფრის დასავლურის მიბაძვა გაუხდია მიზნად. დასავლეთში ისტორიულად რელიგიური შეუწყნარებლობა არსებობდა. ქართველები კი მთელი შეა საუკუნეების განმავლობაში ტოლერანტობით, შემწყნარებლობით გამოვირჩეოდით. ამ მხრივ ქართულ-ებრაული, ქართულ-სომხური, ქართულ-მცილიმური ურთიერთობის გახსენებაც საკმარისია. ისე ქართველმა გლეხმა ასეთი ურთიერთობა ხალხურ ლექსშიც ჩამოაყალიბა: „ყველა ადამის შვილი ვართ//თათარიც ჩვენი მმა არის//ჩვენსა და სომებს შეა//განყოფილება რა არის?“ სხვა არც ერთი ხალხის ფოლკლორმა ანალოგიური რამ არ იცის. დასასრულს უნდა აღვნიშნო, რომ თვით თანამედროვე ევროპელთა ტრადიციები ერთგვაროვანი არ არის, ყველას აქვს შენარჩუნებული მისთვის დამასახიათებელი ორიგინალური წეს-ჩვეულებები. ჩვენც უნდა გავუფორმოდეთ ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილ ეთნიკურ კულტურას. საამისოდ კი აუცილებელია ეთნოლოგიური ცოდნის ფართოდ დანერგვა. ეს იმ მხრივაცაა საჭირო, რომ აქა-იქ არსებული არასაკაცობრით იდები, მასინჯი ნოვაციები სწრაფად გაქრეს (არა დეკრეტით, არა ძალადობით) სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და ცალკეული ადამიანების ცნობიერებიდან.

დასასრულს არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ 10 მავნე ტრადიციას შორის დასახელებულია თამბაქოს ნაწარმის მოხმარება, არატოლერანტობა და დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის პირების მიმართ, არატოლერანტობა რელიგიური თუ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებისადმი. მთელი კატეგორიულობით უნდა განვაცხადო, რომ ამ ჩამოთვლილ მოვლენებს არაფერი აქვს საერთო ტრადიციებთან. ისე, როგორც ჩანს, შეზღუდული შესაძლებლობის პირების მიმართ ქართველების არატოლერანტებად გამოცხადება უცხოელებთან ქართველი ხალხის ერთგვარად დაბეზღებას პგავს. ასეთი

პირები ძველადაც და ახლაც საქართველოში ყოველთვის ყურადღების ქვეშ იყვნენ. იქნებ არატოლერანტური ქცევის რაიმე ფაქტი დაგვისახელონ თანამედროვე ყოფილან თუ საისტორიო წყაროებიდან ან ასეთი ეთნოგრაფიული მასალა სადმე გვაჩვენონ? სხვა სარწმუნოების ადამიანების მიმართ ქართველთა არატოლერანტობის არც ერთი ფაქტი არაა საქართველოს ისტორიაში დადასტურებული. ახალანდელი ასეთი ზოგიერთი გამოვლინება კი ყველასათვის ცნობილია, რომ გარედანაა თავს მოხვეული და ასეთი გამოვლინებებს, რა თქმა უნდა, ძირშივე მთელი საზოგადოება უნდა აღუდგეს წინ. სამწუხაროა, რომ ასეთი რეციდივების სათავესთან ხანდახან სამღვდელო პირიც დგას. სასულიერო პირი როდესაც ხმამაღლა აცხადებს, რომ არამართლმადიდებელი ქართველი რა ქართველია? ეს ნამდვილად გაუნათლებლობისა და სიბნელის ნიშანია, ან, უფრო მეტი, სხვათა შეკვეთების განმახორციელებელი. რას ვეუბნებით თურქეთში, ირანსა და აზერბაიჯანში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებს, რომლებიც მუსლიმები არიან და ამასთანავე თავგადაპლული ქართველები და თავი თავისი ეთნიკურობით მოსწონთ კიდევაც, ქართველები არა ხართო? საერთოდ კი ასეთ მნიშვნელოვან და დამაფიქრებელ საკითხებზე ნამდვილად დირს მსჯელობა და რაღაც გამოგონილ მიუღებელ ტრადიციებთან ბრძოლას აზრი არა აქვს. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ტრადიციებში ხელოვნური ჩარევა, ადამიანთა მენტალობაში უცაბედი გარდატეხის მოხდენა ვერავითარ შედეგს ვერ მოიტანს. ცვლილება და გარდატეხია მხოლოდ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სათანადო განვითარების შედეგად ხდება. ევროპისაკენ ქართველები მთელი არსებობის მანძილზე მიისწრაფოდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოვაცხადეთ, მაგრამ ამის საშუალებას არ გვაძლევდნენ, წინ გველობებოდნენ. ახლაც ასე ვართ, რაც მოდერნიზაციის ნიშნით ტარდება. მაგრამ იქამდე გრძელი გზა გვაქს გასავლელი, უნდა გავხდეთ აბსოლიტურად კანონმორჩილი, უნდა დაიხვეწოს

ყოფითი კულტურა, შემოპარულ სიზარმაცეზე უარი უნდა ვთქვათ, უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ტრადიცია და შემოპარული სოციალური სიმახინჯე, მახინჯი ნოვაცია, რომ ის ტრადიციად არ იქცეს. მოდერნიზაციას დეკრეტებით, მითითებებით არ ახორციელებენ, აღზრის პროცესში ის ბუნებრივად უნდა მოვიდეს, რა თქმა უნდა, რაც კარგი გვაქვს იმის შენარჩუნებით.

ქართულ ტრადიციებთან მებრძოლებს, როგორც ჩანს, მიზნად აქვთ საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული წეს-ჩვეულებების სრული მოსპობა. ალბათ, პგრინიათ ამ გზით ქართველები ევროპელებად იქცევიან. მათ (ჩემი აზრით, ათენისტებს) ავიწყდებათ, რომ ქართული ტრადიციები მართლმადიდებლურ ქრისტიანობას ეფუძნება და თუ ქართველთა მართლმადიდებლობისადმი დამოკიდებულებას გავითვალისწინებთ ტრადიციებისადმი ბრძოლაში წარმატებებს ვერ მიაღწიევენ. რაიმე წარმატებას მიაღწიეს ბოლშევიკებმა რელიგიასთან ბრძოლით? – ვერ მიაღწიეს. ასე რომ, ვერც რელიგიასა და ქართულ დირებულებებთან თანამდროვე მებრძოლებს ექნებათ რაიმე ხელშესახები წარმატება. ტრადიციებისადმი და ამა თუ იმ ისტორიული მოვლენისადმი საბჭოთა მეცნიერებაში ხშირად გამოიყენებდნენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა „პროგრესული“, „არაპროგრესული“, „დადგებითი მნიშვნელობის“ და „უარყოფითი მნიშვნელობის“. ასეთი ცნებების გამოყენება არაკოტექტული იყო. ეთნიკური სტერეოტიპები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა და ეთნიკური ისტორიის ხანგრძლივი პროცესის განმავლობაში იყო ჩამოყალიბებული, ასეთ შეფასებებსა და დამოკიდებულებას არ ექვემდებარება. ესა თუ ის ეთნიკური ტრადიცია თუ ერთი ეთნოსისათვის მისადებია, მეორე ეთნოსისათვის მიუდებელია. ხალხები ცხოვრობენ თავიანთი საკუთარი ქცევის სტერეოტიპებით და არა სხათა მიერ გამომუშავებული ტრადიციებითა და ქცევის სტერეოტიპებით. ტრადიციებში გარედან ჩარევასა და ზემოქმედებას არასდორ ჩამრევთათვის დადგებითი შედეგი არ მოუგანია. ევროპელები რამდენადაც

ცნობილია არავის მოუწოდებენ მაინცდამაინც ჩემნაირი გახდიო. ჩვენს გარემოში მოხვედრილნი ისინი ხშირად ზოგიერთ ქართულ ტრადიციას შენატრიან, განსაპუთრებით მხედველობაში გვაქვს საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ადამიანური ურთიერთობები. არ ქართველმა ხალხმა კი გვერდში უნდა ამოიყენოს ტრადიციების შემსწავლელი მეცნიერება – ეთნოლოგია, რომ ტრადიციების სახელით ზოგიერთი მახინჯი და მიუღებელი ხოვაციას ადგილად დააღწიონ თავი. ისე ყველამ უნდა იცოდეს, რომ მოდრენირებას და ევროპულ ოჯახში შესვლას ტრადიციები ხელს არ უშლის. საამისოდ იაპონელები, კორეელები და ჩინელები შეიძლება გავიხსენოთ, რომლებმაც საზოგადოების მოდერნიზაცია ტრადიციების შენარჩუნებით მოახდინეს.

რეცენზია

როლანდ თოფჩიშვილი

**საქართველოს მემორიალური კულტურა –
ქართული ეთიკური კულტურის მნიშვნელოვანი
მახასიათებელი**

(რეცენზია ელდარ ნადირაძის საღოქტორო
დისერტაციაზე „საქართველოს მემორიალური
კულტურა“)

პირველმა ორმა ოპონენტმა საფუძვლიანად
მიმოიხილა სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა.
ამდენად თავს აღარ შეგაწყენთ სადოქტორო
დისერტაციის ამ მხარეზე საუბრით. წინასწარ
აღვნიშნავთ, რომ საქმე გვაქვს მნიშვნელობან სამეცნიე-
რო გამოკვლევასთან, რომლის აგტორიც უდავოდ
იმსახურებს მეცნიერებათა დოქტორის მაღალ
სამეცნიერო ხარისხს. ქართული ეთნოგრაფიული
მეცნიერების ფუძემდებელი აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია
ოცნებობდა იმ დროზე, როდესაც ქართული ხალხური
კულტურის ყველა მონაპოვარი სათანადო და მაღალ
მეცნიერულ დონეზე იქნებოდა შესწავლილი. არაერთი
სფერო ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ყოფისა
შესწავლილია, ბევრიც – შესასწავლი. ასეთ
მონოგრაფიულად გამოსაკვლევ სფეროს წარმოადგენდა
საფლავის ქვები ანუ საქართველოს მემორიალური
კულტურა. ქართული ეთნოლოგის ეს სფეროც დღეს
ელდარ ნადირაძის მიერ სათანადოდ მაღალ მეცნიერულ
დონეზეა შესწავლილი. აქევ უნდა აღინიშნოს, რომ
მეცნიერი მხოლოდ ისტორიულ-ეთნოლოგიური კვლევით
როდი შემოიფარგლა. მან ეს პრობლემა კომპლექსში
გამოიკვლია, ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მონაცემებს
პლიუს არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული მონაცემები.

ელდარ ნადირაძეს პრობლემის შესწავლა მთლად ცარიელ ადგილზე როდი მოუხდა. ქართული საისტორიო, ეთნოლოგიური და არქეოლოგიური მეცნიერების წარმომადგენლებმა აღნიშნულ პრობლემას არაერთი ნაშრომი უძღვნეს, დასახეს კვლევის მიმართულება. დისერტაციი ყვალა მათგანს სათანადოდ მიუზღდავს, რომელთა შორის არიან ე. თაყაიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, გ. ბოჭორიძე, გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე, ლ. მუსხელიშვილი, ლ. ბოჭორიშვილი, გ. ლომთათიძე, ს. ბედუკაძე, ვ. ჯაფარიძე, რ. შმერლინგი, ი. მეგრელაძე, ს. მაკალატია, გ. ჯალაბძე და სხვ. მიუხედავად ამისა, საფლავის ძეგლთა მონოგრაფიულ შესწავლას გარკვეული სირთულეები ახლდა თან, ის დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა. საჭირო იყო საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ პროგნოზიაში საველე მუშაობის ჩატარება. ასეთ კვლევა-ძიებას ნეცნიერმა თხუთმეტ წელზე მეტი მოახდომა, რის შედეგადაც წარმოდგენილია უტყუარი და იმ რაოდენობის ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა. საველე მუშაობის სირტულე იმაშიც მდგომარეობდა, რომ სადისერტაციო ნაშრომის ავტორს ველზე უშუალოდ უნდა მიმოქიდა საფლავის ძეგლები, მოეხდინა მათი გაწმენდა, ფიქსაცია, აღქერა, ფოტოგრაფირება, ეპიტაფიების გადმოწერა, შემდეგ მოხრობელებთან ეთნოგრაფიული მასალების ჩაწერა.

სადისერტაციო ნაშრომში მიღებულია არაერთი მნიშვნელოვანი დასკვნა, რომლებიც სათანადო ყურადღებას იმსახურებენ, არ შეიძლება არ დაეთანხმო ავტორს, რომ საფლავის მნიშვნელობა ბევრად სცილდება პრაქტიკულ მიზნებს და იგი დიდ სიმბოლურ დანიშნულებას იძენს, რომ სამარხი აღგილი სამშობლოს ცნებას აძლიერებს. გასახიარებელია დებულება, რომ სამარხებისადმი თაყვანისცემა დამახასიათებელი იყო რა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხისათვის, ამისაგან განზეარც ქარტველები იდგნენ.

ავტორი სრულად სამართლიანად საფლავის ძეგლების ძირითადი ნაწილის ჩვენამდე მოუღწევლობას საგარეო ფაქტორით ხსნის. მტერი მხოლოდ სახლებს როდი უნგრევდა ქართველებს, მხოლოდ ბალ-ვენახებს როდი უკაფავდა, ის ხშირად სასაფლაოსაც იავარქმნიდა, როგორც დამადასტურებელს ძველი, ადგილობრივი მოსახლეობის ნაკვალევისა. ამასტანავე, ისიც უნდა ადგნიშნობ, რომ მემორიალური კულტურის ძეგლები საშუალებას გააძლევენ ჩვენს ტერიტორიაზე დავადგინოთ მოსახლეობის შიდა თუ გარე მიგრაციული მარშრუტები, რასაც ავტორი სათანადოდ ახდენს.

სადისერტაციო ნაშრომში ხაზი აქვს გასმული იმ გრემოებას, რომ მემორიალური ძეგლები ზოგჯერ მნიშვნელოვან ცნობებს გვაძლევენ ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური მდგრმარეობის შესახებ. საფუძვლიანი და მისადებია საფლავის ძეგლების დისერტანტისეული ქრონოლოგიური გამიჯვნა. ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში თან მოყვა ჯვრიანი სტელების გავრცელება, რომლებიც V-VI საუკუნეებიდან ინტენსიურად ჩნდებიან. ამავე დროს, მიადებია დასკვნა იმის შესახებ, რომ ეს ჯვრიანი სტელებილოგიკური გაგრძელებაა იმავე ტიპის ქვებისა, რომლებიც უფრო ადრე დასტურდებოდა. სადისერტაციო ნაშრომში ერთმანეთს შედარებულია მთიულეთში, კაიშაურის ველზე მიკვდეული X საუკუნის სტელა და საფლავის ქვა შიდა ქართლის სოფელ ჭარებიდან, რომელიც ასევე X საუკუნით თარიღდება და რომელიც ხარაიძეების საგვარეულო სამარხის კუთვნილება იყო. პირველი მეორესთან შედარებით უფრულობით ხასიათდება. სრულიად სამართლიანად ელდარ ნადირაძე ამ ორ სტელას შორის განსხვავებას ქრისტიანობის გავრცელების დონით ხსნის. ცნობილია, თუ რაოდენ ძნელად და ნელა შედიოდა საქართველოს მთაში ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენები.

სადისერტაციო ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ადრეფეოდალურ პერიოდში მემორიალური ძეგლებიდან უპირატესად სტელები და სტელების ტიპისანი იყო

გავრცელებული, შედარებიტ ნაკლებად ლოდები, რომელთა გავრცელება უფრო ხშირი ხდება გვიანვეოდალურ პერიოდში. გვიჩნდება კითხვა: ეს ხომ არ იყო გამოწვეული იმით, რომ ლოდს დროის ხანგრძლივ პერიოდში შემონახულობის ნაკლები შანსი გააჩნდა, ვიდრე სტელას?

შეუძლებელია არ აღვნიშნოთ იმ მნიშვნელოვანი დასკვნის შესახებ, რომელიც დისერტაციებს ზოომორფული ძეგლების (ცხენებისა და ცხვრის ქანდაკებები) შესახებ აქვს გამოთქმული. მან სამარტლიანად უარყო ის მოსაზრება, რომლითაც ამ ნიმუშებს უკავშირებდნენ საქართველოში თურქული ტომების გაჩენას. დასაბუთებულია, რომ ზემო და ქვემო ქართლში გავრცელებული ზოომორფული ქანდაკებანი ხასიათდებიან ქართული ტრადიციული ხელოვნებისა და ხელოსნობის ნიშნებით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ასეთ ძეგლებზე ამოტვიფრული ქართული ეპიტაფიები და ქრისტიანული სიმბოლოებიც იკმარჯებას.

მისაღებია სადისერტაციო ნაშრომის ავტორის მიერ მოცემული მემორიალურ ძეგლთა კლასიფიკაცია. ელდარ ნადირაზე სრულიად სამარტლიანად ერთგარ თავშეკავებას იჩენს, როდესაც არ განსაზღვრავს თუ როდის რა ტიპის საფლავის ძეგლი აღიმართა პირველად. სრულიად სამართლიანად სტელები და სტელისებური ძეგლები, რომლებიც თითქმის მთელ საქართველოში იყო გავრცელებული ქრისტიანობამდელი კულტურისადმია მიკუთვნებული. თუმცა ქრისტიანობამ ისინი როდი უარყო, მან მიიღო, შეითვისა და საკუთარი ელფერი და იერი მისცა. ამ თვალსაზრისით ე. წ. „ბოლნური მედალიონით“ შემცული სტელების დასახელებაც იკმარჯებას.

მთელ საქართველოში იყო გავრცელებული ლოდები. ავტორს გამოვლენილი აქვს ამ უძველესი მემორიალური ძეგლების უამრავი ნაირსახეობა დაწყებული დაუმუშავებელი ქვიდან, დამთავრებული ბრწყინვალე ორნამენტებით და რთული სიუჟეტებით შესრულებული. მისაღებია ელდარ ნადირაძის დასკვნა,

რომ ლოდების პვეთაში სრულყოფილად გამოჩნდა ხალხური ხელოვნების მთელი შესაძლებლობანი, რელიგიური შეხედულებანი, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ურთიერთობის მნიშვნელოვანი მომენტები და ქართველი ხალხის ესთეტიკური განვითარების დონე. ავტორმა გამოავლონა საფლავის ქავთან დაკავშირებული მდიდარი ტერმინოლოგიაც. ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცვეს ფართო ლოდებს, რომლებიც ორი მიცვალებულისათვის, ხშირად ცოლ-ქმრისათვის იყო გაძნეუტვნილი, ვფიქრობთ, რომ ასეთი ლოდების გაკეთების საჭიროება მხოლოდ იმ სემთხვევაში ჩნდებოდა, როდესაც წყვილი ერთდროულად გარდაიცვლებოდა. საფლავის ლოდებში განსაკუთრებით გამოყოფს ე. წ. „კუბო-ქვებს“, რომლებიც, როგორც ადნიშნულია, ატარებენ იმ კუბოს ფორმას, რომელშიც მიცვალებულია ცასვენებული. აქ შეიძლება დასმულიყო კითხვა: როდიდან ჩნდება საქართველოში კუბო. გვაძლევს თუ არა „კუბო-ქვები“ ამ ტვალსაზრისით რაიმე დასკვნის გამოტანის საშუალებას?

მთელ საქართველოში ადასტურებს სადისერტაციო ნაშრომის ავტორი საფლავის ძეგლთა მესამე ტიპს – „ქვაჯვარებს“. ქვაჯვარებისადმი მიძღვნილი მონაკვეთიდან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ელდარ ნადირაძის დასკვნა, რომ ქვაჯვარები საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაშიც ვრცელდებოდა, რაც საფლავის ამ ძეგლთა საქართველოში ძლიერი ტრადიციის გამოყენებით იყო გაპირობებული. რაც მთავარია, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ დაღესტანში მოძიებულ ასეთ ძეგლებზე ქართული ასოებით ამოკვეთილი შეწყალების შემცველი ეპიტაფიებია ამოკვეთილი. ელდარ ნადირაძე სათანადო ყურადღებას მიაქცევს მატურებს („ფეხზემდგომ“ ძეგლებს), შენობის ტიპის ძეგლებს, ქანდაკებებს, რომლებიც ასევე საყოველთაო ქართული მოვლენა იყო.

სადისერტაციო ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული საფლავის ძეგლთა ეპიტაფიებს, რომლებიც მრავალი ძვირფასი ცნობის

შემცველია, არამარტო საისტორიო და ეთნოგრაფიული მეცნიერების, არამედ ლინგვისტური თვალსაზრისითაც. ეპიტაფიებით ხშირად საშუალება გვეძლევა გავარკვიოთ ამა თუ იმ რეგიონის ადრინდელი მოსახლეობა. საყურადღებოა მათზე ამოკვეთილი გვარსახელები და სახელები და მრავალი სხვა მნიშვნელოვანი საკითხი. ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ სადისერტაციო ნაშრომში ეპიტაფიების საკითხი უფრო ვრცლად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. მოყვანილი უნდა ყოფილიყო სხვადასხვა სოციალური ფენის საფლავის ქვების ეპიტაფიათა მეტი ნიმუში. ავტორს, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ასეთი ეპიტაფიები დიდი რაოდენობით აქვს თავმოყრილი და ამ საკითხზე სპეციალური ნაშრომის დაწერაც არ იქნება ურიგო.

მნიშვნელოვანია სადისერტაციო ნაშრომის მეოთხე თავი – „მემორიალურ ძეგლთა სიმბოლიკა“. ავტორი გამოყოფს 11 ტიპის სიმბოლოს, რომლებიც ასახულნი არიან საფლავის ძეგლებზე. ესენია: *ხახლი//ქქლებია, ჯვარი, ფრინჯელი, სოლარული სიმბოლოები, ხე, ძეგნარეული სამყარო, გვირგვინი, ვაზი და მტევანი, ცხვარი და კრავი, თმები, სამეურნეო და საპრომოლო იარაღები, თვეზი, ფერების სიმბოლიკა*. მისადებია ავტორის დასკვნა, რომ „*საქართველოს მემორიალურ ძეგლთა სიმბოლიკის შესწავლამ გამოარკვია მჭიდრო კონტაქტი ქრისტიანულ კულტურასთან. განსაზღვრა თუ რამდენად ორგანული და ახლობელი იყო მისთვის წმინდა წიგნები და საეკლესიო ლიტერატურა. დააფიქსირა წარმართული რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ის ნაკადი, რომელიც შეერწყა ქრისტიანულ აზროვნებას““. ამასთანავე, ვფიქრობთ, მეტი არგუმენტირება სჭირდებოდა თმის სიმბოლოს ავტორისეულ ახსნას. ალბათ, ამიტომაცაა, რომ თმების სიმბოლურობის შესახებ ავტორი მხოლოდ ვარაუდით კმაყოფილდება.*

ჩვეულებრივ, როდესაც ამა თუ იმ ნაშრომს კითხულობ, თითქმის ყოველთვის ჩნდება სურვილები და შენიშვნები. სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ამ მხრივ

ოპონენტს ნაკლებ შანსს უტოვებს. მაგრამ ჩვენ მაინც გვაქვს ერთი სენიშვნა, რომელიც უმნიშვნელოდ არ მიგვაჩნია. როდესაც ნაშრომის კითხვა დავიწყეთ, ვფიქრობდით, რომ ერთი მონაკვეთი მიძღვნილი იქნებოდა იმ ცენტრებისადმი, სადაც საქრთველოში მემორიალური კულტურის ზეგლები კეთდებოდა. ყველგან ყველგან ხომ არ იყო ასეთი ძეგლების გაკეთების შესაძლებლობა. ყველა ცენტრი გარკვეული რაოდენობის მოსახლეობას ემსახურებოდა. ამ ტვალსაზრისით საჭურადღებო იქნებოდა ნაშრომში ნაჩვენები ყოფილიყო ამა თუ იმ ასეთი სახელოსნო ცენტრის გავრცელების არეალები. ამასთანავე, ისიც ცნობილია, საქართველოში ცნობილი იყვნენ გვარები, რომელთათვისაც მემორიალური ძეგლების კეთება პროფესიას წარმოადგენდა. ისინი, გარდა საფლავის ძეგლთა კეთებისა, სხვა არავითარ სამეურნეო საქმიანობას არ ეწეოდნენ. მაგალითად, შიდა ქართლში, დღევანდელი კასპის რაიონში მკვიდრობდა მალაციძეების გვარი, რომლებიც მთლიანად საფლავის ქვების/ლოდების კეთებით იყვნენ დაკავებული. აღნიშნული გვარის წარმომადგენლები არ მისდევდნენ არც ხვნა-თესვას, არც მესაქონლეობას. ვფიქრობთ, სადისერტაციო ნაშრომში, რომელიც ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევაა, ასეთ საკითხებზე ვრცლად უნდა ყოფილიყო საუბარი.

სადისერტაციო ნაშრომის პლიუსია ის, რომ მას ცალკე ახლავს დანართი ილუსტრაციებისა, რომელიც სრულ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს მემორიალური კულტურის შესახებ. სასურველი ქნებოდა დისერტაცია ასევე დანართის სახით თანხლებოდა სქემა-რუკები, რომელზედაც იქნებოდა ამა თუ იმ მემორიალური ძეგლის გავრცელების სისმირე. იგივე შეიძლება ითქვას საფლავის ქვებზე გამოსახული სიმბოლოების შესახებ და სხვ.

ელდარ ნადირაძის საკვალიფიკაციო ნაშრომი დაწერილია შესანიშნავი ქართული ენით. ავტორისეული წერის სტილი და მანერა უკან მიბრუნების საშუალებას არ გიტოვებს, რადგან მასში გასაგებად და ნათლად

არის ჩამოყალიბებული ყოველი მოსაზრება, მსჯელობა თუ დასკვნა.

სადისერტაციო ნაშრომთან სრულ შესატყვისობაშია ავტორეფერატი, რომელშიც ნათლადაა გადმოცემული ავტორის მიერ მდებული დასკვნები, სიახლე.

რეცენზია უნდა დავამთავრო იმ სიტყვებით, რომლებითაც დავიწყე. ელდარ ნადირაძე უდავოდ იმსახურებს ძიებულ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის მაღალ სამეცნიერო ხარისხს, რადგან ჩვენს წინაშეა ქართველი ხალხის ისტორიულ-ეთნოლოგიური ყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტის – მემორიალური ძეგლების სრულყოფილი მეცნიერული მონოგრაფიული შესწავლის შესანიშნავი ცდა.

29 ოქტომბერი, 1998 წელი.

საარქივო ეთნოგრაფიული მასალები

რუსულან ხარაძე

სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია
1945 წელი (ეთნოგრაფიული მასალები)

ზემო სვანეთის რაიონის დასახლებულ ადგილების სია.
1937 წელი.

კომლთა რაოდენობა

I. უშგულის სასოფლო საბჭო

- | | |
|---|----------------------------|
| 1. ზესხვა 10კ., 2. ცანა 18, 3. ჟიბიანი 25, 4. ჩვიბიანი 10, 5. | ჩაჯაში 22, 6. მურყმელი 33. |
|---|----------------------------|

II. კალის სასოფლო საბჭო

- | | |
|---|--------------------------------|
